



## ამაო გარჯა სიყვარულისა

### სიყვარულის უპირატელო პიესა

„ამაო გარჯა სიყვარულისა“ ერთი იმ თხუთმეტ პიესათაგანია, შექსპირის სიცოცხლეშივე რომ გამოქვეყნდა (1598 წ.). თანახმად ზოგიერთი მკვლევარის ვარაუდისა, ნაწარმოები 1592-93 წლებში უნდა იყოს დაწერილი, როცა მასში აღწერილი თუ ნაგულისხმევი ამბები ახალი მომხდარი იყო.

პიესაში მკაფიოდ არის გამოვლენილი შექსპირის ახალგაზრდული მანერა (მითოლოგიურ სახელებზე სშირი მინიშნება, ისტორიულ პირთა სიტყვები); გართიმვისკენ განსაკუთრებული მიდრეკილება — ხალხური პოეზიის მსგავსად, ბოლოში დასკვნად მოწოდებული სენტენციების გართიმვა, რაც კომპოზიციურად კრავს ამათუიმ მონაკვეთს, ერთგვარად თავს უყრის სათქმელს, მთავარზე ამასვილებს ყურადღებას. ამ ნაწარმოებს ძალზე ბევრი აქვს საერთო შექსპირის სონეტების რთულ მეტაფორულ ენასა და განწყობილებებთან. ასევე ენათესავენ იგი შექსპირის ადრინდელ პიესებს („ორი ვერონელი“, „შეცდომათა კომედია“). აქ ჯერ კიდევ მძლავრობს მაღალფარდოვანი გამოთქმებით, სინთიმებითა და ეპითეტებით, მითოლოგიური პასაჟებით დამძიმებული ე. წ. „ეგვიპტური სტილი“, ინგლისელი რომანისტი და დრამატურგის ჯონ ლილის (1553-1606 წწ.) სახელს რომ უკავშირდება. აქვე უნდა შევნიშნოთ, ამავე კომედიაში შექსპირი აშკარად დასცინის აღნიშნულ სტილს, ხოლო „ჰენრი IV-ის“ I ნაწილში ეგვიპტის პაროდირება მომავლიდნებელი ხდება.

მკვლევარებმა თავიდანვე აღნიშნეს, რომ კომედიას „ამაო გარჯა სიყვარულისა“ გამოკვეთილი სიუჟეტი, რამდენადმე ხელმისაწიდი ფაბულა არ გააჩნია და ძირითადი ყურადღება მასვილონიერ შეხიტიკებზე, აზრის გამოთქმის ფილიგრანულ ხერხებზეა გადატანილი. იმასაც მიუთითებენ (ი. ტენი), რომ ლაპარაკის ამგვარი მანერა, ეს სიტყვიერი ფიგურირებები სრულიადაც არ ემყარება მწიგნობრულ ენას; აქ ჩანს ეპოქის ხასიათი — ასე მეტყველებდნენ შექსპირისდროინდელი ახალგაზრდა არისტოკრატები, მოსალენად ლონდონის სასეულანთქმულ ტავერნა „სირინოზში“ რომ უყვარდათ თავშეყრა.

შექსპირის შემოქმედებაზე და კერძოდ ამ პიესაზე, როგორც ცნობილია, სხვადასხვა დროს გამოთქმულა პარადოქსული, ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებანი. მაგალითად შეიძლება თუნდაც ჰეგელის დამოკიდებულება დაეასახლოთ. ერთ სტატიაში ჰეგელი მიმოიხილავს გერმანელი ესთეტიკოსის კარლ ზოლგერის ნააზრევს, შედარებით მკაცრად აკრიტიკებს მის გამონათქვამს შექსპირის სხენებულ კომედიაზე და აღნიშნავს, რომ ეს ნაწარმოები „იმდენადვე სუსტია მთლიანობაში, რამდენადაც ბანალურობითაა აღსაუხე მისი ცალკეული ნაწილები“. ჰეგელი სადავოდ ხდის ზოლგერის აზრს, რომ ამ პიესის კომიკურ ფორმაში გამოვლინდა შექსპირის პოეტური სიწიფე, „ვინაიდან პიესას ყველაზე ნაკლებად გააჩნია რაიმე საგანგებო მიმართულება და იგი სუფთა ირონიას ემყარება“. ჰეგელი არ უარყოფს ნაწარმოების ირონიულ ხასიათს და იქვე სარკასტულად შენიშნავს: „პიესა სუფთა ირონიას, მიმართული იმთ წინააღმდეგ, ვინც რაიმე ღირსებას ეძიებს მასში, რამეთუ ასეთი იმედების გაცრუება მართლაც შეიძლება ამ ნაწარმოების იუმორად მივიჩნიოთ“.

ჰეგელის დიდი ავტორიტეტი ვერ გახდის საცილობლად იმ ფაქტს, რომ აქ სიწართლე ზოლგერის მხარესაა და რომ „ამაო გარჯა სიყვარულისა“ ასეთ ნიჰილისტურ შეფასებას სრულებითაც არ იმსახურებს.

საგულისხმო ფაქტია „დოქტორ ფაუსტუსში“ ადრიან ლევერკიუნის ოპერას საფუძვლად უდევს შექსპირის სწორედ ეს კომედია. რომანის მთავარ გმირს, მის მიერ შემუშავებული ახალი მუსიკალური პრინციპების გამო, ჭარბად უნდა შეეტანა ოპერაში გროტესკისა და პაროდის ელემენტები, ხოლო საამისოდ ახალგაზრდა შექსპირის კომედია — თავბრუდამხვევი კალამბურებით გავსობილი პროზაული

დიალოგები და მონოლოგები, მუსიკისათვის ესოდენ საჭირო „ირავალმნიშვნელოვანი განმეორებები“ — უხვ მასალას აძლევდა.

თომას მანის შემოქმედების მცოდნენი მიუთითებენ, რომ შექსპირის აღნიშნულ კომედიაზე შემოსვებით არ გაუმსახვრებია „დოქტორ ფაუსტუსის“ ავტორს ყურადღება; აქ გარკვეული როლი ითამაშა ვაგნერის ბიოგრაფიამ, კერძოდ, შექსპირის ამავე კომედიის მოტივებზე დაწერილმა მისმა ოპერამ. მკვლევარები გამართლებულად, კანონზომიერ მოვლენად მიიჩნევენ ამ არჩევანს, ვინაიდან ჰუმანურ საწყისებს, მაცოცხლებელ ნიდაგს მოწყვეტილი ადრიან ლევერკიუნი თავად მოკლებულია ბუნებრივი, უშუალო გრძნობის გამოვლენას და იძულებულია ფორმის უკიდურეს დახვეწილობას, „არსებულის პაროდირებას“ მიმართოს.

სპეკილისტებს არავრთავს ალუნიშნავთ და თომას მანიც საგანგებოდ მიუთითებს, რომ ბერონის დაუღვრომელ ხასიათში (ამ სახელით ცნობილია რეალურად არსებული პიროვნება, მარშალი ბერონი, საფრანგეთში მიმდინარე რელიგიური ომების დროს, 1602 წელს, სიკვდილით დასჯილი) შექსპირმა ავტობიოგრაფიული შტრისები შეიტანა, ხოლო საფრანგეთის პრინცესას სეფექალის, როზალანის ვარგნობაში აღვიდა იცნობა ახალგაზრდა შექსპირის უსაზღვრო ტრფიალების საგანი, სონეტების ერთ-ერთ ციკლში გაღმერთებული შავგვრემანი მშვენიერება, თანაგრძნობა რომ არ აღირსა მის უკვდავყოფელს.

საერთოდ, შექსპირლოგთა მიერ კარგა ხანია დაძებნილია კომედიის პერსონაჟთა პროტოტიპები; მეფე ფერდინანდს აიგივებენ საფრანგეთის მეფე ჰენრი IV ნავარიელთან; საფრანგეთის პრინცესას დიპლომატიური მისია საეჭვოდ წააგავს ჰენრი ნავარიელის ცოლის, მარგარიტა ვალუას მოქმედებას, 1578 წელს ნიერაში ვითომდა შესარიგებლად რომ ეწვია „ბართლომეს დამის“ შემდეგ (1572 წ.). მასთან დაცილებულ მეუღლეს. იმასაც აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის ჭკვიანი, მომხიბლავი და მოსაზრებელი პრინცესა შექსპირმა შეგნებულად მიამსგავსა ინგლისის დედოფალ ელისაბედს. როგორც ცნობილია, კომედია ელისაბედის სამეფო კარზე იქნა წარმოდგენილი 1597 წელს, შობის დღესასწაულის აღსანიშნავად.

ასევე რეალური პიროვნება იყო პიესაში გამოყვანილი უცნაური ესპანელი არისტოკრატის დონ აურიანო დე არმადოს პროტოტიპი — ვინმე ანტონიო პერესი, რომელიც ხან ფილიპე II-ის, ხან ჰენრი IV-ის, ხანაც ელისაბედის კარზე იმყოფებოდა. იგი ცნობილია, როგორც მოხეტიალე ავანტიურისტი და პოლიტიკური აგენტი. ამ პერსონაჟის გვარში („არმადო“) შექსპირს გათამაშებელი აქვს ინგლისის ფლოტის მიერ ესპანელთა „უძლეველი არმადის“ განადგურების ფაქტი (1588 წ.). არმადო, ძირითადად, სატირული სახეა, შექსპირი დასცინის მის ყოვლად ბუნდოვან, ჩახვეულ-ჩახლართულ მეტყველებას, აზრის განითქმის უკიდურესად არაპირდაპირ მანერას, ესპანური ბაროკოს ლიტერატურას რომ ახასიათებდა. საბოლოოდ არმადო, მისი სიტყვა-პასუხი და საქციელი უფრო სიმბოლურს იწვევს, ვიდრე ზიზღს.

ჩვენა არ შევედგებით ცალკეულ პერსონაჟთა დახასიათებას; ამისათვის სასვებით საკმარისია თვით კომედიის ტექსტი. მკვლევარებს შეუმჩნეველი არ დაარჩენიათ ამ ნაწარმოების არაჩვეულებრივი სიმეტრიულობა, დიალოგთა თანმიმდევრობასა და პერსონაჟთა განლაგებაში რომ გამოიხატება. აქ ერთხელ კიდევ გვახსენდება გოეთეს აზრი, რომ შექსპირს ყველაფერი სიუჟეტში აქვს მოქცეული და უმცირესი ნაწილის ამოკლებაც კი მთლიანის დანგრევის საშიშროებას იწვევს.

ამ კომედიაში შეიტყუება ითქვას, უმაღლეს ხარისხამდე აყვანილი შექსპირის ერთ-ერთი უსაყვარლესი ხერხი — ბგერათა ერთგვაროვნებაზე დამყარებული სიტყვების თამაში, საგანგებო მიზნით გამოყენებული ალიტერაციები, რომელთა გადმოცემასაც მეტ-ნაკლები სისუსტით ვცდილობდით. თარგმანს ძალზე აძნელებდა მინიშნებებით აღსავსე გადაკრული ფრაზები, მოჩვენებით გაუგებრობაზე დამყარებული კალამბურები, რომელთა შესატყვისების პოვნა სხვა ენაზე უზირად არც ხერხდება. შექსპირის გმირებს უყვართ ფრთიანი გამოთქმების ბუკვალური მნიშვნელობით ხმარება; რაც მუდამ კომიკურ ეფექტს იწვევს. ამის არაერთი ნიმუში წინამდებარე კომედიაშიც გვაქვს (მაგ. ზოიეტისა და მარიას შესუმრებულ გააპექრებაში).

თავისი ხასიათით „ამაო გარჯა სიყვარულისა“ ე. წ. „ნიღბების წარმოდგენებს“ განეკუთვნება, კეთილად რომ ბოლოვდება და, ჩვეულებისამებრ, მეფისა და სხვა დიდგვაროვანთა გასართობად სასახლის სცენაზე დგამდნენ. უბრალო ჩაქითხვაც კმარა იმის გასაგებად, რომ აღნიშნული კომედია ასეთ ვიწრო ჩარჩოებში ვერ თავსდება და იგი მხოლოდ ამა ქვეყნის ძლიერთა საამებლად და თავშესაქცევადა არ დაწერილა. ეს არის სიყვარულის უჭკნობი და სიყვარულივით უბერებელი პიში, ქება ქებათა ოქროსფრთებიანი პატარა ღვთაებისა, ვინც დასაბამი, სახე და აზრი მისცა ქაოსში ჩაძირულ სამყაროს. ამ ყოვლისწამლევაც ვნებას ვერასოდეს დათრგუნავს მტვრიან ფოლიანტებზე დახრილი სქოლასტიკოსების ასკეტური გულმოდიგნება; არ არსებობს ჯებირი, ეროტის ოქროს ისრებით აფორიაქებული სისხელი რომ შეამაგროს...

ცალკე უნდა ითქვას კომედიის უადრესად ორიგინალურ, ძალზე ეფექტურ ფინალზე, სადაც ყოველგვარი გრძნობისგან დაწრეტილ, ბუტაფორიულ ხელოვნურობას დღის სინათლესავით უპირისპირ-

დება სოფლური ყოფის საოცრად ცოცხალი, მეტყველი სურათები; უნაზესი ფერებისა და მელოდის ჭეშმარიტად შექსპირული შესამება.

ანტონიო მაჩადო საგანგებოდ აღნიშნავს შექსპირის თარგმნის არაჩვეულებრივ სიძნელეს და ამის უმთავრეს მიზეზად მიაჩნია ლექსიკის განსაცვიფრებელი სიმდიდრე, თავისუფლება შექსპირის სინტაქსისა; შეფარული დუმილითა და მინიმუმებით სავსე ხატოვანი მეტყველება, სადაც მუდამ „მეტი იგულისხმება, ვიდრე ნათქვამია“.

ყოველ წამს მოსალოდნელია, ცოცხლად დაგმარხოს, სუნთქვა შეგიკრას გენიის გახვლებული რიტმით აგორებულმა სიტყვა-თქმათა ზვაგმა თუ კალაპოტი ვერ მოუძებნე მის თავაწყვეტილ, მაგრამ საოცარი შინაგანი კანონზომიერებით აღბეჭდილ მოძრაობას. შექსპირის მიმართ მართლაც ზედამოჭრილია გამოთქმა „თარგმანის ცდა“.

ამდენად, ამ კომედიის მთარგმნელი კმაყოფილი უნდა დარჩეს, მისმა ნამუშევარმა ოდნავ მაინც თუ აგრძნობინა მკითხველს დედნის სიღამაზე და მომხიბვლელობა.

დასასრულ, მადლობა გვინდა გადავუხადოთ ცნობილ ქართველ შექსპიროლოგს პროფ. ნიკო ყიასაშვილს, რომელმაც თარგმანზე მუშაობისას არაერთი სასარგებლო რჩევა მოგვცა.

მეზარ კვიციანი

### მოქმედი პირები:

ფერდინანდი, მეფე ნავარიისა.

ბერონი

ლონგვილი

დიუმენი

ბოიე

მარკადი

ლონ ადრიანო დე არმადო, ფანტასტიური ესპანელი

ნათანიელი, დიაკვანი.

ჰოლოფერნი, სკოლის მასწავლებელი.

რეგენი, პოლიციელი.

გოგრა, მასხარა.

ფარვანა, არმადოს პატი.

მეტყვე.

საფრანგეთის პრინცესა.

როზალაინი

მარია

კეთრინი

უკნეტა, სოფლელი გოგო, დიდებულები, მსახურები და სხვ.

მოქმედების ადგილი: ნავარა.

### მოქმედება პირველი

სცენა I. ნავარა. სამეფო პარკი.

შემოდიან მეფე, ბერონი, ლონგვილი და დიუნენი.

მეფე

დაე, დიდება, სიცოცხლეში რასაც ელტვიან სხვანი და სხვანი, დარჩეს ჩვენი საფლავის ფილებს, უსახურობას სიკვდილისას გვიმოკბდეს იგი; ამუამინდელი შემართება, წადილი ჩვენი დროს გაუმაძღარს აიძულებს დაგვდოს პატივი,

რომაც ბლაგვდება ცელი მისი, ფხალესილი  
და ვხდებით ასე მემკვიდრენი მარადისობის.  
სწორედ ამიტომ, მეომარნი — ასე მოგმართავთ,  
რადგან უშიშრად ეომებით საკუთარ ვნებებს,  
უკუაქციეთ სურვილები ამქვეყნიური —  
ძალაში დარჩეს ჩვენი ბოლო ბრძანებულება:  
მთელი მსოფლიოს საოცრებად იქცეს ნავარა,  
სასახლის კარი იქცეს მცირე აკადემიად,  
იქ მივეცემით ხელოვნებას უღრტვინველ ჭვრეტის.  
ბერონ, დიუმენ და შენ ლონგვილ, სწორედ თქვენ სამმა  
ფიცი მომეცით, რომ სამი წლით ერთად შევბმოდით  
მეცნიერებას, უყოყმანოდ დაგვეცვა ყველას  
წესდება ჩვენი, აღბეჭდილი ამა გრაფნილზე.  
ამგვარად, ფიცი ნათქვამია. ხელის მოწერა  
გაკლიათ მხოლოდ. საკუთარი ხელით მოაშთოხს  
საკუთარ პატივს, ვინც ეცდება სიტყვის გატეხას.  
თუ გასურთ ბოლომდე მიიყვანოთ განზრახვა მტკიცე,  
ხელმოწერებით დაამშვენეთ უღრმესი ფიცი.

#### ლონგვილი

მზად ვარ მივიღო ეს პირობა: სამი წლის მარხვა.  
სულის ზეობას მოასწავებს გვემა სხეულის.  
ვინც ჭამას მისდევს და მუცელზე ედება ქონი,  
ვინც ხორცს ალაღებს, უკნინდება აზრი და გონი.

#### დიუმენი

ჩემო ხელმწიფევ, დიუმენიც მორჩილი გახდა,  
ქვენა გრძნობები, სიამენი ამა სოფლისა  
მლაბალ სურვილთა ერთგულ მონებს გადაულოცა;  
ტრფობის, განცხრომის მიტოვება დროზე ჯობია,  
ამიერიდან მივენდობი ფილოსოფიას.

#### ბერონი

დადებულ აღთქმას მე იმდენად გავიზიარებ,  
მეფევ ბატონო, რამდენადაც ფიცი მოგვცით —  
თქვენთან დავყოფდი სამ წელიწადს და ვისწავლიდი.  
აქ კი მრავალი პირობაა უდემეტად მკაცრი,  
თუნდაც ასეთი: სამ წელიწადს ქალს არ შევხედო.  
არა მგონია, წესდებაში ასე ეწეროს;  
მერე: ღამეში უფლება გვაქვს — სამი საათი  
გვეძინოს მხოლოდ. არ მოვხუჭოთ მთელი დღე თვალი—  
მე კი გემრიელ, უშფოთველ ძილს ვერ შეველევი.  
მზადა ვარ, ღამეს ნახევარი დღეც მივაყოლო —  
არა მგონია წესდებაში ასე ეწეროს.  
გამიძნელებდა გადატანა ამდენ წვალების,  
მარხვა და სწავლა, აღარც ძილი, აღარც ქალები.

#### მეფე

თქვენ ხომ თვითონვე შემომფიცეთ პირობის დაცვა.

#### ბერონი

ნება მიბოძეთ, ხელმწიფეო, არ დაგეთანხმოთ:  
მე აქ დარჩენა რომ შეგვიცეთ, ეს მახსოვს ცხადად,  
დათქმული იყო სწავლისათვის სამი წლის ვადა.

#### ლონგვილი

ერთ პირობაზე დაფიცებას თან მოსდევს სხვებიც.

თუკი ასეა, მაშ ხუმრობით დამიფიცნია.  
სწავლის მიზანი საბოლოო გამაგებინეთ.

მეფე

რაიც ჭერ კიდევ უცნობია, იმის შეცნობა.

ბერონი

და რაც მოკვდავთა გონებისთვის დაფარულია?

მეფე

ღიას, ეს გახლავთ ღვთაებრივი ნაყოფი სწავლის.

ბერონი

რახან ასეა, ვფიცავ აღარ დავზოგო ძალა,  
ვისწავლო იგი, რასაც ჩვენი წესდება კრძალავს, —  
ვთქვათ: მოვიღვინო, გემირიელად დავნაყრდე, როცა  
ტაბუ ედება ღვთისა და ხალისს;  
ან როგორ უნდა მოვახერხო ღამაზის კოცნა,  
როცა ხსენებაც არ არის ქალის,  
მკაცრი პირობის როგორ შევძლო შენარჩუნება,  
ფიცი გავტებო, სიტყვა — არა, აი ცთუნება.  
თუ ამდენს შემძენს თქვენთან ყოფნა, სწავლა, მზადება,  
თუკი ამ ცოდნით სარგებელი მომემატება,  
არ გაძნელდება ერთგულების ფიცის დადება.

მეფე

ეს უშლის სწავლას, არ ჭირდება ამას ცილობა,  
გონებას გვართმევს, მოაქვს ფუჭი სიამტკბილობა.

ბერონი

მე გეთანხმებით, ამოა სიამე ყველა,  
ნიადაგ შრომა — უარესი, არ მოაქვს შველა,  
ჭეშმარიტების შუქს დაეძებს, წვალობს მავანი,  
წიგნებს ამოდ ჩაკირკიტებს, ღამეებს ათევს,  
შუქით ბრმავდება მზერა მათი ამპარტავანი.  
ნათელი, ნათლის მამებარი, თვით პარავს ნათელს;  
ასე რომ, ვიდრე ამ წყევლიადში ნათელს მოძებნი,  
თვით წაგერთმევა თვალის ჩინი ღვთის ნაბოძები.  
მეცნიერება მზეა ღიდი, მნათობი ცათა  
და ვერ შესწვდება თავხელური თვალეზი მათი;  
წიგნებში ქექვა წამებაა, კითხულობს ცოტა,  
ვინც უფრთხილდება მწიგნობართა ღირსებას, პატივს.  
ან რა შერჩებათ, ღამეების ბრწყინვაზე მეტი  
ვარსკვლავთმრიცხველებს, ვარსკვლავებს რომ ნათლავენ ცაში,  
ასევე უმზერს ცას ათასი ბრიყვი და ყბედი,  
რომ დადის ქვეყნად და არაფრის არ იცის ფასი.  
არაფერს ნიშნავს ბერის ცოდნა, არც რა მადლია  
და რასაც უნდა, სახელს არქმევს ყველა ნათლია.

მეფე

გონების ძალით წინ აღუდგა გონიერებას!

დიუმენი

იქცევა, როგორც სიკეთის მტერს შეეფერება!

ლონგვილი

პურეულს მარგლავს, სარეველას ტოვებს უკლებლივ.

ბერონი

გაზაფხულდება თუ ღაჩკა ბარტყმა ჭუკები.

დიუმენი

საით უმიზნებ?

ბერონი

ღროზე უნდა ყოველ ხილს ქება.

დიუმენი

რა პასუხია?

ბერონი

სიტყვა ჩემი სიტყვაში ჯდება.

მეფე

ბერონ, ყოფილხარ გაზაფხულის ყინვა მზაკვარი, ნერგებს რომ აზრობს, ბოროტება მისი მავარი.

ბერონი

ასედაც იყოს. არ დადგება ზაფხული ისე, სანამ ჩიტები არ იგრძნობენ ჭიკჭიკის მიზეზს. რად მინაროდეს ნადრევი მშობიარობა? აყვავებული არ უნდება შობადღეს ვარდი, მისის თვეში რად ვინატრო ქარბუქი მარდი, დანიშნულ ღროზე დამწიფდება ნაყოფი მზარდი. რა გვესწავლება, სწავლა ჩვენთვის გვიანი არი, არ ღირს ფანჯრიდან გადაძრომა, ღიაა კარი.

მეფე

შენ გასული ხარ თამაშიდან, მშვიდობით, ბერონ!

ბერონი

ვერ ვუღალატებ, ო მეფეო, ფიცხა და მირონს. თავაშვებული სიველურე როგორაც ვაქე, არა მგონია, ისე სათნო შეამკოთ ცოდნა, მჯერა ის ფიცი, იმ პირობას წარმოთქვამს ბაგე — სამი წლის მარხვას არ დავარღვევ, იცოდეთ, ოდნავ. კარგი იქნება თუ გრაგნილის წაკითხვას მაცლით, ხელის მოწერით განვამტკიცო კანონი მკაცრი.

მეფე

შენ ამ დათმობით დაიცავი ღირსება კაცის.

ბერონი

(კითხულობს)

„Item, თუ რომელიმე ქალი გაბედავს მიუახლოვდეს ჩემს სასახ-  
ლეს თუნდაც ერთი მილის მანძილზე“...  
ეს გამოქვეყნდა?

ლონგვილი

ოთხი დღის წინათ.

ბერონი

ვნახოთ სასჯელიც. (კითხულობს) „მას ენის ამოღებჯა არ ას-  
ცდება“. ვისი მუხლია?

ლონგვილი

ვისი და ჩემი.

ბერონი

რამ გაიძულათ ამის შეტანა?

ლონგვილი

რათა სასჯელი უმკაცრესი ახსოვდეთ მუდამ.

ბერონი

ძალზე მძიმეა, რაინდობას, კაცობას ზღუდავს.

(კითხულობს)

„Item თუ რომელიმე კაცთაგანი, ამ სამი წლის მანძილზე დაინახეს ქალთან მოლაპარაკე, მას მოუწევს იმგვარი საჭარო შერცხვენის ატანა, როგორის მოფიქრებაც კი დანარჩენ კარის-კაცებს შეეძლებათ“.

თავად დაარღვევთ ამ პირობას, რადგანაც ელჩად მოდის ასული ფრანგთა მეფის, მოგეხსენებათ; თვით გეტყვით სათქმელს, უურადლებას ინებებს თქვენსას — ზნესრული, სათნო, დიდებული, თავად მშვენება — რომ შეიწყალოთ, დაუბრუნოთ აქვიტანია, მოითხოვს მისი ავადმყოფი, უძლური მამა. მეფევ, ეს მუხლი სულ ამაოდ შეგვიტანია, ან თქვენთან არა ესაქმება პრინცესას ლამაზს.

მეფე

მგონი ავჩქარდით, საეჭვოა ჩვენი ქმედება.

ბერონი

ახეა მუდამ, სწავლას მოსდევს გადამეტება. გამარჯვებამდე, ცოდნა, ვიდრე თავისას იზამს, ადრე დასახულს ივიწყებს მიზანს. ვისრულდებოდა წადილს და რა გვჩვენებ მოგების ნაცვლად, ეს იგივეა — აღებული ქალაქი დაწვა.

მეფე

ამ პირობაზე უარი უნდა ითქვას დროებით, უკანდახევა აიხსნება საჭიროებით.

ბერონი

სამ წელიწადში ხამასამდე შემთხვევას დათვლი — საჭიროება გაიძულებს გატეხო ფიცი, თანდაყოლილი ვნებებისგან ღვთიური მადლი გვიხსნის მოკვდავებს, უსაზღვროა წყალობა მისი. სიტყვის გატეხას უყოყმანოდ დაიწყებს ყველა, საჭიროება გამოდგება მიზეზად, მხსნელად. მეც უყოყმანოდ გადავწყვიტე მოწერა ხელის; (ხელს აწერს). მოთმენა გვმართებს, ცთუნებანი მართლაც დიდია, ფიცის გამტეხელს შერცხვენა და მოკვეთა ელის. ვნებათა ცეცხლი სხვაზე ნაკლებ არ მიკიდია. რაც აქ წერია თუმცა ბოღვა მგონია მხოლოდ, სიტყვას გადავალ, ფიცს გავტეხავ ყველაზე ბოლოს. თუ გვეღირსება სასახლეში, ნეტა, გართობა?

მეფე

რატომაც არა. ეს ამბავი ნუ გედარდებათ; იცით — გვეწვია ესპანელი ჩვენ მოგზაური, კეთილშობილი ვაჟაკია, ამჟამად მოდის, ტვინი კი არა, თავში უდევს აზრების ზოდი.

იმათგანია, თავისი ხმის რომ ხიბლავს უღერა,  
მუსიკად ესმის საკუთარი ენის ქარტალი,  
მსაჭულად ირჩევს ამ ოქროპირს ბრუნდი, მართალი,  
როცა ჩხუბობენ, მისი სიტყვა სუყველას სჭერა.  
ოცნების პირმშო. არმადოა სახელი მისი.  
გვიამბობს ხოლმე, როცა სწავლით მოვიცელებით —  
როგორ იბრძოდნენ რაინდები დიდების ღირსი,  
ომში მოკლული შავგვრემანი ესპანელები.  
არ ვიცი, აზრი როგორია, ლორდებო, თქვენნი,  
მე კი, პირადად. მიუვარს მისი აზრების სმენა,  
კარის პოეტი იქნებოდა, მოგეცათ ლხენა.

ბერონი

ვიცნობ არმადოს, ცნობილია მისი წოდება,  
მიღებ-მოღება და მოღებზე თავგამოდება.

ლონგვილი

ისა და გოგრა გამართობებად თუ გვეუბლება,  
ჩაივლის სწავლა, როგორც სამი წლის გაქროლება.

შემოდის რეგვენი — პოლიციელი — ხელში წერილი  
უჭირავს, შემოყვება გოგრა.  
რეგვენი

სად ბრძანდება მისი ბრწყინვალეობა, ჰერცოგი?

ბერონი

აქ გახლავთ, ძმობილო. რა გნებავდათ?

რეგვენი

მე თავად წარმოვადგენ მის ბრწყინვალეობას, როგორც მისი  
უდიდებულესობის კონსტებლი; მაგრამ მინდოდა პირადად მენახა  
იგი.

ბერონი

სწორედ ეს გახლავთ.

რეგვენი

სენიორ არმე-არმე — მოწინააღმდეგე გესალმებათ. მოხდა საშინე-  
ლება. ეს წერილი გამცნობთ დანარჩენს.

გოგრა

თქვენო უდიდებულესობავ, აქ ჩემზეც ეწერება.

მეფე

სახელოვანი არმადოს წერილი.

ბერონი

რაგინდ მდაბიური იყოს აზრი, მაღალი ღმერთია მოწამე, წე-  
რილს არ აკლია ზეშთაგონება.

ლონგვილი

მაღალი ღმერთი და დაბალი ცა. ღმერთო, მოთმინება გვიწყა-  
ლობე.

ბერონი

მოვისმინოთ თუ სიცილისგან ვიკავოთ თავი?

ლონგვილი

მოვისმინოთ მორჩილად და ზომიერად ვიცინოთ. ან ნურცერთს  
ნუ გავაკეთებთ.



ბერონი

კეთილი და პატიოსანი. დაე თვით წერილის სტილმა მოგვცეს მხიარულების საბაზი.

გოგრა

საბაზი მე გახლავართ, სერ, ვინაიდან უაკნეტაა გარეული საქმე-ში. მე წამასწრეს.

ბერონი

რაზე წაგასწრეს?

გოგრა

ჩემს საქციელზე ანუ მოქცევაზე; სულ სამია: დამინახეს კოშკში, მასთან ერთად; დამინახეს მის გვერდით მჭდომარე, დამინახეს — როგორ მივდევი პარკში. ყველაფერი ეს ერთად თავმოყრილი, თანახმად წესდებისა, შეადგენს საქმეს. ამგვარად, ჩემი საქციელი არის საქციელი კაცისა, რომელიც ქალს ელაპარაკებოდა. მოკლედ — როგორც არის.

ბერონი

მერედა რა უნდა მოყვეს ამას?

გოგრა

გაანია, რა სასჯელს მოაყოლებენ. ღმერთო, შენ უშველე მართალ კაცს.

მეფე

დაუგდებთ ყურს წერილს?

ბერონი

ისე მოვუსმენთ, როგორც ქადაგს.

გოგრა

ისე უბრალოდ, როგორც ხორციელს უსმენენ წადილს.

მეფე

(კითხულობს)

„დიდო ხელმწიფევე, თვით ცის თალის ნაცვალო და ერთმმართველო ნავარისა, სულის ჩემის მფარველო და სხეულის მასაზრდობელო“...

გოგრა

გოგრაზე სიტყვაც არ თქმულა ჭერ.

მეფე

(კითხულობს)

„მოხდა ისე, რომ“...

გოგრა

მოხდენით ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მაგრამ ის თუ ამბობს მოხდაო, მართალი რომ ითქვას, თავად არაა ღირსი, რაიმე შეემთხვას.

მეფე

სიჩუმე!

გოგრა

მე მუდამ ჩუმადა ვარ, როგორც ყველა, ჩსუბში ჩარევას ვინც ვერ ბედავს.

მეფე

სმა, კრინტი!

გოგრა

სხვათა საიღუმლოზე, გემუდარებით.

მეფე

(კითხულობს)

„მონდა ისე, რომ შავი მელანქოლით შეპყრობილმა, გადავწყვიტე ჩემი შეჭირვებული გუნება გამოეკეთებინა შენს მაცოცხლებელ, სიჯანსაღის მომმადლებელ ჰაერს, ანუ როგორც ჭენტიმენები იტყვიან, გასეირნება ვინებე. რა დრო იყო? დაახლოებით ექვსი საათი, უამი, ოდეს ზვასტაგი ძალუმად ძოვს, ფრთოსნები მეტის ფაფაციციებით იკენკებიან, ხოლო კაცნი უსხედან შეჭამანდს, რომელსაც ვაზშამს უხმობენ. სულ ეს იყო, რაიც დროის თაობაზე შემეძლო მეთქვა. მიწაზედაც მოვახსენებთ — სად, ვგულისხმობ მიწას, რომელზედაც გავისეირნე. ეს გახლავს ეგრეთწოდებული შენი პარკი. ახლა ადგილი? ვგულისხმობ ადგილს, სადაც შევესწარი ურცხვ, ყოვლად უმსგავსო შემთხვევას, რომელიც იწოვს ჩემი ქათქათა კალმის წვერიდან ებონისფერ მელანს, რასაც აშუამად ზედავ, ჭვრტბ, უმზერ თუ აკვირდები. რაც შეეხება ადგილს, იგი მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთით, დასავლეთ კუთხეში. შენი სასწაულად მისწვეულ-მოხვეული ბაღის აღმოსავლეთისა. სწორედ იქ დავინახე ეს სულმდაბალი მეჭოგე, პირწმინდა არარაობა. შენი წვერილფენა გამართობი...“

გოგრა

მეე?

მეფე

(კითხულობს)

„ეს ტლუ, გაუთლელი ხებრე“...

გოგრა

მეე?

მეფე

„ეს თავცარიელი მონა“...

გოგრა

ისევ ჩემზეა?

მეფე

„რომელსაც, რამდენადაც მახსოვს, გოგრას ეძახიან“...

გოგრა

ო, მე ვარ.

მეფე

„ურთიერთთან და ურთიერთობაში, საწინააღმდეგოდ დადგენილი, გამოკვეყნებული ელიქტისა და ძალმოსილი კანონისა; ვისთან, ო, ვისთან — არა, არ ძალმიძს თქმა, ვისთან ერთად...“

გოგრა

ღიაცთან.

მეფე

„ჩვენი ღიდეღის, ევას ნაშიერთან, მდეღრთან; ანუ, უფრო გასაგებად ვატყვი შენი უღიდეღუღესობის მისახვედრად, ქალთან.

სამუდამო პატივისცემითა და მოვალეობის გრძნობით გამსჭვალული გიგზავნით მას, რათა მიაგოთ დამსახურებული სასჯელი, მან-თანვე გაახლებთ თქვენი უდიდებულესობის მსახურს ენტონი რეგვენს. — საუკეთესო რეპუტაციის, ზნეობისა და თავდაჭერის ადამიანს“.

რეგვენსი

ეს კი, ნება მიბოძეთ, აღვნიშნო, მე ვარ.

მეფე

„რაც შეეხება შაკნეტას — ასე ეძახიან იმ უსუსტეს ჭურჭელს, ზემოხსენებულ გლენსუქასთან რომ წავასწარი, მე იგი წავიჭირე, ვითარცა ჭურჭელი, შენთა კანონთა მრისხანებისა; თქვენი უდიდებულესობის მცირედი მითითებაც კმარა, რათა სამსჯავროზე წარმოგიდგინო. დავშთები შენი ერთგული მაქებარი, მსურვალე აღმსრულებელი მოვალეობისა,

დონ ადრიანო დე არმადო“.

ბერონი

ეს არც იმდენად გადასარევაა, როგორსაც მოველოდი, მაგრამ უკეთესი, რაც კი ოდესმე მსმენია.

მეფე

საუკეთესოა უარესთა შორის. აბა, გეთაყვა, თქვენ რაღას იტყვით ამაზე?

გოგრა

ქალის ამბავს ვაღიარებ, სერ.

მეფე

ბრძანება არ მოგისმენიათ?

გოგრა

უნდა გამოვტყდე, ისე გაფაციცებით ვუსმენდი, რომ ყველაფერი გამომეპარა.

მეფე

გამოცხადებული იყო, ერთი წლის პატიმრობა უწევდა, ვისაც ქალთან წაასწრებდნენ.

გოგრა

ქალთან არავის დავუნახივარ, სერ, ქალიშვილთან ვიყავი,

მეფე

ის ბრძანება ხომ ქალიშვილებსაც ეხებოდა?

გოგრა

რისი ქალიშვილი, მეფე ბატონო, ქალწული იყო.

მეფე

ეს არ ცვლის საქმის ვითარებას, ბრძანება ქალწულებზეც ვრცელდება.

გოგრა

რახან ასეა, მე უარვყოფ მის ქალწულობას, გოგოსთან ვიყავი.

მეფე

ვექვობ, ეს „გოგო“ რამეში წაგადგეთ.

გოგრა

ეს გოგო რალაცაში წამადგება, სერ.

მეფე

ახლა, ჩემო კარგო, განაჩენი უნდა გამოგიცხადოთ: ერთი კვირა ქატოსა და წყალზე უნდა დაგსვან.

გოგრა

მე კი ვამჯობინებდი, ერთი თვე ცხვრის მწვადზე და ფლავზე შელოცნა.

მეფე

თქვენი გუშაგი დონ არმადო იქნება თავად.

ბერონ, მიგვარეთ მას პატიმარი,

ახლა წავიდეთ და აღვასრულოთ,

ერთად რომ დავდეთ, ის მტკიცე ფიცი.

(მეფე, ლონგეილი და დიუმენი გადიან.)

ბერონი

მე, თავს მოვიჭირი, პატიოსანს ვიძლევი სიტყვას,

მასხრად აგდება არ ასცდება ამ ფიცს და კანონს.

წამოდი, ვაჟბატონო.

გოგრა

პატიოსნებისთვის ვიტანჯები, სერ. პატიოსნებას გეფიცები, ჟაკნეტასთან ვიყავი, პატიოსან გოგოსთან. ამიტომაც სიამტკბილობით დაგცლი, მწარე თასო კეთილდღეობისა. ერთი დღე იქნება და კვლავ გამიღიმებს ნაღველი. მანამდე კი აქ უნდა იჯდე, მწუსარებავ.

(გადიან.)

ინგლისურიდან თარგმნა ემზარ კვინტანიუვილიმა.

გაგრძელება იქნება.



# ქვეთავის თავის

უილიამ ზემსპირი

## აქამ გარჯა სიყვარულისა

სურათი II. პარტი.

(შემოღიან არმადო და მისი პატი, ფარვანა).

არმადო

ბიჭუნა, რაზე ეტყობა დიდსულოვან ადამიანს მელანქოლია?

ფარვანა

პირველ ყოვლისა, იმაზე, რომ მოწყენილია.

არმადო

ეს ხომ ერთი და იგივეა, ჩემო პაწიავე.

ფარვანა

არა და არა; ისევე არა, ჩემო ბატონო.

არმადო

მერედა რითი ანსხვავებ ნაღველსა და მელანქოლიას, ნაზო კაბუკო?

ფარვანა

ურთიერთმსგავსი გამოვლინებით, უხეშო სენიორ.

არმადო

რატომ უხეში სენიორი? რისთვის უხეში სენიორი?

ფარვანა

რატომ ნაზი კაბუკი? რისთვის ნაზი კაბუკი?

არმადო

ასე იმიტომ მოგმართე, ნაზო კაბუკო, რომ ეს ეპითეტო ესაღბება შენს ნორჩ ასაკს, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ ნაზი.

ფარვანა

მეც იმიტომ დაგიძახებ უხეში სენიორი, რომ ეს გამოთქმა უფერება თქვენს მხცოვან ასაკს, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ უხეში.

არმადო

მშვენიერია და მოხდენილი.

ფარვანა

რისი თქმა გსურდათ, სერ? მშვენიერი ვარ და მოხდენილად ვლაპარაკობ თუ მოხდენილი ვარ და მშვენიერი ლაპარაკი ვიცი?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ციკარი“ № 12

არმალღო

შენ მშვენიერი ხარ, როგორც პატარა.

ფარვანა

პატარათი ვყოფილვარ მშვენიერი, რადგან პატარა ვარ. მოხდენილი რალაზე?

არმალღო

მოხდენილი იმიტომ, რომ მოქნილი ხარ.

ფარვანა

საქებრად შეუბნებით ამას, ჩემო ბატონო?

არმალღო

გაქებ, რამდენადაც ღამისხურტ.

ფარვანა

ასე გველთევზასაც შევაქებლი.

არმალღო

ნუთუ გველთევზა საზრიაანია?

ფარვანა

გველთევზა მოქნილია.

არმალღო

შე იმის თქმა მინდოდა, სიტყვა-პასუხი გაქვენ მოქნილი, პირდაპირ სისხლს მიღულებს.

ფარვანა

შს უკვე ნამღვილი პასუხია, სერ.

არმალღო

მეჭავრება, როცა ვინმე ამტუზება წინ.

ფარვანა

(განზუ)

სულ საპირინიროს ლაპარაკობს: ეტყობა, ჭვრის ტუზები არა სწვალობენ.

არმალღო

მეფეს სიტყვა მივეცი, სამ წელიწადს ვინწავლო მასთან ერთად.

ფარვანა

თქვენ ერთ საათში შესძლებლით უველაფრის სწავლას, სერ.

არმალღო

შეუძლებელია.

ფარვანა

მიოხარით, რამდენი იქნება სამჭერ ერთი?

არმალღო

ანგარიში არ მეხერხება, ეგ შედუქნის საქმეა.

ფარვანა

თქვენ თავადიშვილი და მოთამაშე ბრძანდებით, სერ.

არმალღო

უნდა ვალიარო, ორივე ვარ; ერთიცა და მეორეც ამშვენებს სრულყოფილ ადამიანს.

ფარვანა

მაშ მე დარწმუნებული ვარ გეცოდინებათ, რამდენია ერთად  
ორიანი და ტუზი.

არმალო

მათი ჭამი ერთით მეტი იქნება ორზე.

ფარვანა

ის, რასაც მდაბიურად სამს ეძახიან.

არმალო

სწორია.

ფარვანა

ხედავთ, სერ, რა იოლად ითვისებთ. სამამდე დათვლა ისე ისწავ-  
ლეთ, სამჭერ არ დაგიხამხამებიათ თვალი, ახლა სულ ადვილია  
სიტყვა „სამს“ მივუყენოთ სიტყვა „წელი“ და სამ წელს ორ სიტ-  
ყავი ვისწავლით, ამას მოცეკვავე ცხენიც გატყვით .

არმალო

წელმიწვევით ზუსტი გამოთვლა!

ფარვანა

(გვერდზე)

რომლითაც ნული გამოდიხარ.

არმალო

შემდგომ ამისა უნდა გამოგიტყდე, რომ შეყვარებული ვარ. და  
რამდენადაც მეომარი კაცისათვის დამამდაბლებელია მიჯნურობა,  
იმდენად მდაბალი არსებაა ის ქალი, ვინც მე მიყვარს. ხმალი  
რომ მეშინებდა სიყვარულის საღმობათა დასათრგუნად და აღვი-  
რახსნილ ფიქრთაგან დამეხსნა თავი, საკუთარ ვნებას შევიპყ-  
რობდი და ვინმე ფრანგ კარისკაცს შევაძლევდი რაიმე ახალგაყო-  
ფონებული თავაზიანობის სანაცვლოდ. მძაგს ოხვრა და კვნესა;  
ვფიქრობ, არ გამიჭირდება კუბილონის აღკვეთა. დამაშოშმინე,  
ბიჭუნავ, დამისახელე დიდი ადამიანები, შეყვარებულები რომ  
იყვნენ.

ფარვანა

პერაკლე, ბატონო!

არმალო

ო, უნეტარესი პერაკლე! მეტი მაგალითები მჭირდება, ძვირფა-  
სო ბიჭუნა, მეტი განთქმული სახელები. ისეთები, ჩემო ყმაწვილო,  
გავლენა და წონა რომ ჰქონდეთ.

ფარვანა

სამსონი, ბატონო ჩემო! იმას მართლა ჰქონდა წონა და საკმაო  
წონაც, შეეძლო ქალაქის კარიბჭე მოეგდო ბეჭებზე და წაეღო. ის-  
იც შეყვარებული იყო.

არმალო

ო, რვალად ჩამოსხმულო, მტკიცედ აღნაგო სამსონ! მე გჯობნი  
რაპირის ხმარებაში, როგორც შენ კარიბჭის ზიღვაში მაჯობებდი.  
ვინ უყვარდა სამსონს, ძვირფასო ფარვანავ?

ფარვანა

ქალი, ბატონო ჩემო!

არმალო

რანაირი ტემპერამენტის?

ფარვანა

ოთხივესი ან სამის, ან კიდევ ორის, ან ერთის იმ ოთხიდან.

არმადო

ზუსტად მითხარი, რანაირი ტემპერამენტი ჰქონდა.

ფარვანა

ზღვის წყალივით მწვანე, სერ.

არმადო

მერედა ოთხ ტემპერამენტში ასეთი ურევია?

ფარვანა

თავად წამიკითხავს, სერ. თანაც ყველაზე უმჯობესია.

არმადო

მწვანე, რა თქმა უნდა, სიყვარულის ფერია, მაგრამ, ვფიქრობ, ამ ფერის მიჯნური მაინც არ უნდა შეერჩია სამსონს. ალბათ ჭკუის გამო უფრო შეიყვარა ის ქალი.

ფარვანა

სწორი ბრძანებაა, სერ. იმ ქალს მწვანე ჭკუა ჰქონდა.

არმადო

ჩემს შეყვარებულს უბიწო თეთრი და წითელი ფერი დაკრავს.

ფარვანა

ჭრელი ფერების მიღმა, ჩემო ბატონო, ჭრელი ზრახვები იმალება.

არმადო

ამისხენი, კარგად ამისხენი, ჩემო ღრმად განსწავლულო ბიჭუნა.

ფარვანა

მამაჩემის გონებავ და დედაჩემის ენავ, შემწედ მეყავით!

არმადო

რა ტაბილად დაღადებს ბაღლი, რა ამოდ და აღგზნებით.

ფარვანა

ვისაც სახეზე ფერი აღევს წითელი, თეთრი, ვერ შეატყობენ თუ რამე სცოდა; გაფითრებაა შიშისა და შეკრთომის ხვედრი, ლოყებს აწითლებს სირცხვილი ცოტა.

ცოდვის აღმური აღბედილა თუ შიშის ზაფრა, ვერას შეატყობ დაღლილი ცქერით, დაბადებიდან ერთდროულად სახეზე აკრავს — სიწითლე, ფითრი — ორივე ფერი.

ფრიად დამაფიქრებელი ლექსი გახლავთ, ბატონო, თეთრი და წითელი ფერების თაობაზე.

არმადო

მითხარ, ბიჭუნა, გსმენია მეფისა და მათხოვრის ბალადა?

ფარვანა

სამი საუკუნის წინათ დაიღო ქვეყნიერებამ საამისო ცოდვა, ეს ბალადა მაშინდელია. მეექვსეა, ამჟამად იპოვოს კაცმა; რომც აღმოჩნდეს ხადშე, არა მგონია, ტექსტმა ან მოტივმა რაიმედ ივარგოს.



არმადო

მე მინდა, ახლებურად დავამუშავო ეს სიუჟეტი, რათა ჩემი უკანდახევა შთამაგონებელი მაგალითით გავამართლო. ბიჭუნა, მე მიყვარს სოფლელი გოგო, იმ მოლაპარაკე ცხოველთან, გოგრასთან რომ შევისწარი პარკში. იგი ნამდვილად ღირსია.

ფარვანა

(გვერდზე)

გაროზგვისა; ან უკეთესი მიწნურისა, ვიდრე ჩემი ბატონია,

არმადო

მიმღერე, ბიჭუნა, ჩემი სული სიყვარულმა დაამძიმა.

ფარვანა

ძალზე გასაკვირია, თქვენ ზომ საქმაოდ მსუბუქი ქალი გიყვართ.

არმადო

იმღერე-მეთქი, გეუბნები.

ჭერ კეთილ ვინებოთ და ეს ხალხი გავატაროთ.

შემოლიან რეგვენი, გოგრა და ჟაკნეტა.

რეგვენი

სერ, მისი უდიდებულესობის სურვილია, რომ თქვენ გაუწიოთ ოგრას მეთვალყურეობა; თავის ნებაზე არ მიუშვათ და ნურც სულს ამოხდით; ისე გააკეთეთ, რომ კვირაში სამი ღლე იმარხულოს. რაც შეეხება ამ ქალბატონს, პარკში უნდა დავიტოვო; შემროხედ გამწესეს. კარგად ბრძანდებოდეთ.

არმადო

სიწითლით გავცემ თავს, ქალიშვილო!

ჟაკნეტა

რაო, მამაკაცო!

არმადო

ბოსელში მოგაკითხავ.

ჟაკნეტა

აქვეა, ახლოს.

არმადო

ვიცი, სადაც არის.

ჟაკნეტა

რა ჭკვიანი ბრძანდებით, ლორდ.

არმადო

საოცრებებს მოგიყვები.

ჟაკნეტა

მაგ სახით?

არმადო

მე შენ მიყვარხარ.

ჟაკნეტა

მომისმენია ეგ სიმღერა.

არმადო

მაშ ასე, ნახვამლის.

ჟაკნეტა

გზაც იქით გქონია.

რეგვენი

წამო, ჟაკნეტა, დავიძრათ.

(რეგვენი და ჟაკნეტა გადიან)

არმადო

არამზადავ, იმ შენი ცოდვების გამო მანამ უნდა იმარხულო, ხანამ პატიებას ეღიროს.

გოგრა

კეთილი, სერ, იმედი მაქვს, მარხვას ცარიელი კუჭითაც შევინახავ.

არმადო

მძიმე სასჯელი გელოდება.

გოგრა

ამის გამო მე უფრო მაღლიერი დაგრჩებით, ვიდრე თქვენი შინაემები, ასე მსუბუქ განამრჯელოს რომ აძლევთ.

არმადო

წაიყვანე ეს არამზადა და ჩაამწყვდე.

ფარვინა

აბა, წამოდი, კანონის დამრღვევო მონავ.

გოგრა

ნუ დამამწყვდევენ, სერ; თავისუფალი შევინახავ მარხვას.

ფარვანა

არა, სერ, სად გაგონილა მარხვა და თავისუფლება. შენ ციხე გელოდება.

გოგრა

ასე იყოს. მაგრამ თუ ოდესმე კვლავ ვიხილე ჩემი ნაღველის მხიარული ღღერები, ზოგიერთი დაინახავს.

ფარვანა

რას დაინახავს ზოგიერთი?

გოგრა

არა, არაფერს, ბატონო ფარვანა, იმას, რასაც დაინახავენ. ტუსალს არ მართებს ზედმეტი სიტყვაქუნწობა, ამიტომ არაფერს ვიტყვი. მაღლობა ღმერთს, მოთმინება მეც სხვებივით ცოტა მაქვს, ამიტომაც, შემიძლია მშვიდად ვიყო.

არმადო

მე მიყვარს თვით მდებალი მიწა, რომეზედაც იგი დაიარება, თელილი მისი კიდეც მეტად მდებალი ხამლებით, ნაბიჯთა წარსადგმელად მისი ყოვლის უმდაბლესი ფეხები რომ წარმართავს. გაშიჯნურება ფიცის გატეხას ნიშნავს, ეს კი სიცრუის უმთავრესი ნიშანია. არსებობს კი ჭეშმარიტი სიყვარული თუ მას სიცრუე ურევია. სიყვარული ავი სულია, სიყვარული თვით ეშმაა, არ არსებობს უფრო ბოროტი ანგელოსი, ვიდრე სიყვარულია. სიყვარულმა აცთუნა სამსონი, მას კი გასაოცარი ღონე ჰქონდა; მანვე შეაცდინა სოლომონი, ნამდვილი ბრძენკაცი. კუპიდონის ისარს ჰერაკლეს კვერთხი ვერ გაუძლებს და, მითუმეტეს, ესპანელის დაშნა რას დაუდგება. პირ-

ველი და მეორე საბაზი გამოსაწვევად არ გამოადგება **passado**-ს იგი უპატივცემულოდ ექცევა **duello**-საც არად აგდებს; იგი შეურაცხყოფილია, ბაღს რომ ვეძახით, მაგრამ ზეიმობს, რადგან მამაკაცებს იმორჩილებს. მშვიდობით, შემართება; ჟანგმა შეგქამოს, დაშნავ; იყურე, დაფდაფო; თქვენი პატრონი შეუვარებულია. დიას, იგი გამიჯნურდა. მეოხად მესავ, ჯადოქარო შეუფევ ლექსისა, რადგანაც მწამს, სონეტების შეთხზვას დავიწყებ. გამოიგონე, გონება; წერე, კალამო; მზადა ვარ, ვეება ფოლიანტები ავაესო.

(გადიან)

1. დარტყმა, ვარდნა (იტალ.)
2. დუელი (იტალ.)

ინგლისურიდან თარგმნა ემზარ კვიტაიშვილმა

გაგრძელება იქნება



# სსსრ თაჯიკისთვნი

უილიამ უეკსპირი

## ამომ ბარჯა სიყვარულისა

მიმამიღება მორე

სურათი 1. პარტი

შემოდის საფრანგეთის პრინცესა, რომელსაც თან ახლავს სამი ქალბატონი — როზალანდი, მარია, კეთრინი, ბოიეტი და ორი სხვა დიდებულიც.

ბოიეტი

პრინცესავ, სწორედ ეხლა გმართებთ სიმაღლე სულის. დაფიქრდით, მეფემ — მამათქვენმა — ვინ გამოგზავნა, ვის კარზე, ვისთან, ამ ელჩობის ჩაა მიზანი: თქვენ, ღირსეული და საქვეყნოდ პატივდებული, აქ მოგავლინათ, სწორუპოვარ ნავარეღთან სალაპარაკოდ, ვინც კაცური სრულყოფილების არის შემკვიდრე ერთადერთი. საქმე ეხება, აღარც მეტი და არც ნაკლები — აქვიტანიას — დედოფლის მზითევს. უნდა ხარჯთ მომზიბლაობა, იყოთ გულუხვი, ვით ბუნება, რომელმაც ასე დაუწოგავად მოგამადლოთ სიმშვენიერე, დანარჩენ ქალთა დასაჩაგრად და საზიანოდ.

პრინცესა

ძვირფასო ლორდო, გარეგნობა, ფერი ჩემი თუმცა არაფრით გამოირჩევა, არ დამპირდება თქვენი ქება ფერად-ფერადი. მშვენიერებას კაცის თვალი აფასებს მხოლოდ და არა ენა ბაქია ვაჭრის. ეს ქება ნაკლებ მამაყუბს, ვიდრე თქვენ თქვენი სურვილი მძაფრი — დაიმკვიდროთ ბრძენის სახელი, ჩემს განდიდებას შეაღიეთ თქროპირობა. მაგრამ ჭერ საქმე მოვითავოთ, კეთილო ლორდო, არ შეიძლება არ იცოდეთ — მთელს ქვეყანაში დაირხა ხმები, ნავარეღმა დასდოო ფიცო — სწავლას შეწიროს სამი წელი, ამ ხნის მანძილზე, ვერ მიეასლოს ვერა ქალი მის მყუდრო სადგომს. სწორედ ამიტომ, ვიდრე ჩვენით მივადგებოდეთ აკრძალულ კარებს, გვსურს შევტყოთ მეფის განზრახვა — ბრძანოს, რამდენად ეამება სტუმრობა ჩვენო. ვიცით რა თქვენი ღირსება და მამაცობანი, შუამავლად გირჩევთ, გადაეცით როგორმე მეფეს —

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 10, 11.

ასული ფრანგთა ხელმწიფისა შეხვედრას ითხოვს.  
ველარ მოიომენს დაყოვნებას საქმე საშურო,  
პირადად მინდა ხელმწიფესთან მოთათბირება.  
იჩქარეთ ამბის გადაცემა, ხოლო მანამდე  
მის განჩინებას მორჩილებით დაველოდებით.

ბოიეტი

ოქვენს დავალებას სიამაყით დახვედრა შეენის.

პრინცესა

სამო გახლავთ სიამაყე, მით უფრო — ოქვენი.  
ხომ ვერ შეტყობდით, ვინ არიან დანარჩენები,  
აღოქმა რომ დადეს გულმოდგინედ მეფესთან ერთად?

პირველი დიდებული

ერთ-ერთი ღირსი ლონგვილია.

პრინცესა

პირადად იცნობთ?

მარია

მე ვიცნობ. იგი გავიცანი ნორმანდიაში,  
დიდებულ ქორწილს ვესწრებოდი, ღორღ პერიგორი  
ჭეკ ფალკონბრიჯის პირმშვენიერ, ლამაზ ასულზე  
ქორწინდებოდა. იქ შევხვდი ლონგვილს.  
საუკეთესო თვისებებით გახლავთ შემკული,  
უზადო მცოდნე ხელოვნების, ომში — მამაცი.  
აკეთებს, რისი გაეთებაც მოესურვება.  
მისი სიქველის ბრწყინვალეობას ერთი აქვს ლაქა,  
ოუკი შებღალვა შეიძლება სიამაყისა;  
დაწყვილებია ნება მკაცრი მახვილ გონებას,  
დაუნდობლად კვეთს და სხეპავს გონება ბასრი,  
ბრალი იმისი, ვინც გაბედავს და დაუღებია.

პრინცესა

ღხინი, ლაციწვა ყვარებია, თუ არა ვცდები.

მარია

ღიღი ხუმარა ვინმეაო, ამბობენ სხვებიც.

პრინცესა

აღრე ყვანაილობს მსგავსთა ნიჭი, აღრევე ჰქენება.  
დანარჩენები ვინ არიან?

კეთრინი

ყრმა ღიუმენი,

ზრდილი, სიკეთის მოყვარული, თავადაც უყვართ.  
ღიღი შეეძლოს ბოროტება, არას ჩაიღენს,  
თუ მოინდომა, ბოროტებას სიკეთედ აქცევს,  
ნომხობლავია, რომც ნასახი არ ჰქონდეს ჰკუის.  
ის აღენსონთან გავიციანი, რომ სასახლეში  
ვყოფი სტუმრად, მაგრამ ვატყობ, რომ ოდნავადაც  
ვერ გადმოგვით ღირსებანი ღირსეულ კაცის.

როზალანა

მათივე წრიდან იმ დიდებულ საკრებულოში  
ერთიც ერია, მახსოვრობა თუ არ მღალატობს,  
ზირინი ერქვა, მხიარული იყო უზომოდ.  
თუმცა ხუმრობის მან იცოდა ზომა, საზღვარი,

მე მსგავსი კაცი არ შემხვედრია,  
ფეხები გახლავთ შემწე მისი ჭკუა-გონების,  
ფეხლაფერს, რასაც იხილავენ, უმალ აწვდიან,  
ვით ოხუნჯობას ლალს და მხიარულს.  
მზად არი ენა — დახვეწილი და გაწაფული —  
სიტყვებს, ხუმრობის შესაფერისს, შეარჩევს ისე,  
ხანშიშესულებს სიამეს გვარის მისი მოსმენა,  
ყმაწვილკაცები მოხიბლულნი მისჩრებოიან, —  
რას იტყვის იგი, მოხდენილი, ტკბილმოუბარი.

პრინცესა

ღმერთო გვარადეთ, კეთილებო! როგორც ეტყობა,  
შეუკარებელი უნდა იყვნენ, იმდენად აქვს,  
იმდენი ღობა დაანარჩეს თავიანთ რჩეულს.

პირველი დიდებული

მა, ბოიეტიც.

პრინცესა

როგორია პასუხი, ლორდო?

ბოიეტი

ნავარულს თქვენი მობრძანება სცოდნია უკვე,  
თითონაც, სხვებიც, უმკაცრესი რომ დადეს აღთქმა,  
მზად იყვნენ თქვენთან შესახედრად, კეთილშობილნი.  
ჩემს იქ მისვლამდე. მე ახლახან გავიგე მხოლოდ:  
ჩემს მინდორში ურჩენია დარჩენა თქვენი —  
თითქოსდა ალუა შემოარტყით სამოყფელს მისას —  
ვიდრე გატეხოს დადებული საქვეყნოდ ფიცო  
და უკაცრიელ სასახლეში შეგიპატოოთ.

(ქალები ნიღბებს იკეთებენ.)

შემოდინ მეფე, ლონგვილი, დიუმენი, ბერონი და მათი თანმზ-  
ლებნი.

აი, თვით მეფეც.

მეფე

მშვენიერო პრინცესავ, კეთილი იყოს თქვენი სტუმრობა ნავა-  
რელის სასახლეში.

პრინცესა

„მშვენიერს“ უკანვე გიბრუნებთ; სტუმრად კი ჭერჭერობით  
ვერ ჩავთვლი ჩემს თავს. თალი ამ სასახლისა, ძალზე მაღალია სათ-  
ქვენოდ, ხოლო გაშლილ მინდორზე სტუმრობა ფრიად მამდაბლებს  
მე.

მეფე

თქვენ შეგიძლიათ იყოთ სტუმარი, ჩემი სასახლის.

პრინცესა

თუკა ასეა, მაშ წავგიძეხით.

მეფე

საქმე ის გახლავთ, ძვირფასო ლედი, მე ფიცო დავდე.

პრინცესა

ღეთიშობლის კალთა დაგიფარავთ, გატეხეთ ფიცო.

მეფე

ფიცს ვერ დავარდევ ჩემივე ნებით.

პრინცესა

მხოლოდ თქვენივე ნებით მოხდება ფიცის გატება.

მეფე

არ იცის თქვენმა მოწყალებამ, რას ითხოვს ჩემგან.

პრინცესა

ჩემო ხელმწიფე, მირჩევნია არცოდნა ბრძნული,  
ვიდრე იმ ცოდნით უმეტრების დადასტურება.  
გავიგე, აღთქმა მიგიციათ განდევნილობის.  
დიდი ცოდვაა ამნაირი ფიცის დადება,  
არანაკლები — დარღვევა მისი.  
ახლა კი უნდა მომიტევოთ კადნიერება;  
მასწავლებელს რომ ვასწავლიდე, ეს არ შემფერის.  
ჰქენით სიკეთე, წაიციოხეთ თქვენთან ჩამოსვლის  
მიზეზი, მალე მიპასუხეთ ჩემს სათხოვარზე.

(აწვდის გრაგნილს.)

მეფე

იმდენად მალე, რამდენადაც მე შემეძლება.

პრინცესა

რაც უფრო ადრე მიპასუხებთ, ადრევე წავალ,  
ხოლო თუ დავრჩი, აღთქმას თქვენსას ძალა ეცლება.

ბერონი

მე და თქვენ ხომ არ გვიცეკვია ბრახანტში ერთად?

როზალინი

მე და თქვენ ხომ არ გვიცეკვია ბრახანტში ერთად?

ბერონი

არ შეეკვება, რომ ასე იყო.

როზალინი

მაშ რად დაგპირდათ შეკითხვა ფუჰი?

ბერონი

ზედმეტად ჩქარობთ.

როზალინი

თქვენი შეკითხვით დევი მკარით და ამაჩქარეთ.

ბერონი

თქვენ ტყინი ვიხურთ და მომქანცველ პენებას ვხედავ.

როზალინი

მანამ, იცოდეთ, შიგ ტალახში მოვისვრი მხედარს.

ბერონი

რა დროა ახლა?

როზალინი

როცა ბრიყვი იძლევა კითხვას.

ბერონი

მშვენიერება შერჩენოდეს თქვენს ნიღაბს დიდხანს!

როზალაინი

სახეს გულისხმობთ ამ ნიღაბში, არის აშქარა!

ბერონი

მინდა გისურვოთ სატრფოების მთელი ლაშქარი!

როზალაინი

ამინ, უველაზე თანახმა ვარ, თქვენზე კი არა.

ბერონი

რახან ასეა, წავედი, კმარა.

მეფე

მე მატუობინებს მამათქვენი ასი ათასი  
კრონის გადახდას; ეს ამ თანხის ნახევარია,  
მან რომ ისესხა მამაჩემისგან  
და მერე ომებს მოახმარა გაუთვებელს.  
მე ან მამაჩემს თუნდ მიგველო აქ ნახსენები  
თანხა, თვალითაც რომ არ გვინახავს,  
ერათი ამდენი თქვენზე რჩება, რაშიც გირაოდ  
დავითოვებდით იმ ნახევარ აქვიტანიას,  
თუმც, კაცმა რომ თქვას, არც ღირს ამდენი.  
ხოლო თუ ახლა მამათქვენი — ხელმწიფე ფრანკთა —  
გადახდოდა მთელი ვალის თუნდაც ნახევარს.  
უღაპარაკოდ დავუთმობდი აქვიტანიას.  
და ადვადგენდით ახლობლობას, მეგობრულ კავშირს.  
მაგრამ, იტუბა, ის ნაკლებად ფიქრობს ამაზე,  
პირიქით, ჩემგან ელოდება ასი ათასი  
კრონის მიცემას, ხოლო როცა მე ჩავაბარებ  
ამ ასათასს, მუისვე მითმობს აქვიტანიას,  
არავითარი არ დარჩება თავად უფლებმა.  
მე კი, პირადად, სხვა რაიმეს ვაძგობინებდი;  
აქვიტანიას — ღონემხდელს, დაუძღურებულს —  
ბევრად მერჩივნა მამაჩემის მიმელო სესხი;  
ძვარჯასო ლედი, ოდნავ მაინც რომ იყოს ახლოს  
სურვილი მისი გონივრული მოთხოვნისაგან,  
მე დავიხედვი, თუნდაც თქვენი მშვენიერის ხაზრით.  
და საფრანგეთში კმყოფილი დაბრუნდებოდით.

პრინცესა

წარმოუდგენლად დაამცირეთ თქვენ მამაჩემი,  
თქვენი ღირსებაც დამდაბლა ამ საქციელმა  
უარყოფთ უოვლად უკადრისად მის მიღებას,  
რაც პატიოსნად გადახდილია.

მეფე

დავიფიქრავდი, არაფერი მსმენია მსგავსი.  
თუ სიმართლეში დამარწმუნეთ, უკან გიბრუნებთ  
აქვიტანიას ან ამ თანხას.

პრინცესა

სიტუვა სიტუვაა.

ზოიეტ, მეფეს შეგიძლიათ თქვენ წარუდგინოთ  
ის ხელწერილი, მამ.მისის ხაზინადართა  
დამოწმებული.

მეფე

სი.მოვნებით.



ბოიტი

მინდა გაუწუოთ, ქალბატონო, პაკეტი, სადაც  
ის ხელწერილი და სხვა მსგავსი საბუთებია,  
არ ჩამოგვსვლია ჯერჯერობით. ხვალ მოგერთმევათ.

მეფე

მე მოხარული ვიქნებოდი. ვნახავ საბუთებს,  
რისი დათმობაც შეიძლება უველაფერს დავთმოთ.  
ახლა კი დროა, პატიოსან ჩემს მოწვევაზე  
მომცეთ დასტური, არ შებღალავთ პატიოსნებას,  
უფრო და უფრო დამშვენდება ღირსება თქვენი.  
რახან კარიბჭეს სასახლისას ვერ ვადმოსცდებით,  
აქ, ამ მინდორში, მშვენიერო პრინცესავ, ისე  
მიგიღებთ, თითქოს ჩემი გული დამეთმოს ბინად,  
თუმცა სასახლის დასშუღლია სავანე მყუდრო.  
თქვენმა სიკეთემ მამატიოს, ახლა ნახვამდის.  
ხვალ უსათუოდ მოგიწახვლებთ.

პრინცესა

სულ იღვგრძელეთ, არ მოგაკლოთ წუალობა ღმერთმა!

მეფე

უველა სურვილის ასრულებას გისურვებთ ერთად.  
(მიდის ამალითურთ).

ბერონი

ღეღი, მე მსურდა თქვენთვის საკუთარი გული წარმოგედგინა.

როზალანდი

წარმოდგენილი მაქვს, როგორც იქნება, სიამოვნებით დავხე-  
დავდამ.

ბერონი

მინდოდა მოგესმინათ მისი კვნება

როზალანდი

სულელი, ავად ხომ არ არის?

ბერონი

გულთ ვარ ავადმყოფა.

როზალანდი

სისხლი გამოუშვი ცხელო.

ბერონი

სისხლის გამოშვება შევდიხ?

როზალანდი

ჰო, სიტყვას დაენდე ჩემსას.

ბერონი

მამ თეალი მაძგერე ნემსად.

როზალანდი

ჭობდა გამეუარა დანა.

ბერონი

ო, ღმერთო, მიმეტებთ განა!

ბოზალანი

ვერ გეტყვი, იცოცხლო დიდხანს.

ბერონი

მადლობა როგორღა გითხრა.

(განზე გადაგება).

დიუმენი

არ ვიცნობ იმ ქალს, მკლავს წადილი წრეგადასული.

ბოიეტა

კეთრინი ჰქვია, ალანსონის გახლავთ ასული.

დიუმენი

მშვენიერია. კარგად გნახეთ, ბატონო ჩემო.

(გადის).

ლონგვილი

აი, რხ, თეთრი რომ აცვია, ვინ არის ნეტავ?

ბოიეტა

ვინ უნდა იყოს, ქალი გახლავთ, თავადაც ხედავთ.

ლონგვილი

ვიცი, ქალია, რას უხმობენ, შითხარ, სახელად.

ბოიეტა

ერთი სახელი ჰქვია მხოლოდ, მიქერს გამხელა.

ლონგვილი

შითხარით ვისი ქალიშვილია.

ბოიეტა

როგორც მსმენია — საყუთარ დედის.

ლონგვილი

პირდაპირ ვეტყვით — ყოფილხართ უბედი.

ბოიეტა

ბატონო ჩემო, ნუ ბრაზობთ ასე;

ასული გახლავთ ფალკონბრიჯისა.

ლონგვილი

ხომ ხედავთ — უკვე დამიცხრა ბრაზი.

რა მშვენიერი, სათნო ქალია.

ბოიეტა

სწორედ ასეა, რაც მართალია.

(ლონგვილი გადის).

ბერონი

ეს ვინღა არის, რომ ხურავს ქუდი?

ბოიეტა

როზალანი, რა ნახეთ ცუდა.

ბერონი

გასათხოვია თუ გათხოვილი?

ბოიეტი

რაც არი, თავად იცის უოველი.

ბერონი

დავშთები თქვენი მოყვარული, ნახვამდის ახლა!

ბოიეტი

„მწვიდობით“ ჯობდა, თქვენ მოგიწევთ შეხვედრაც, ნახვაც.  
(ბერონი გადის, ქალები ნიღბებს იხდიან.)

მარია

ესეც ბერონი. ხუმარაა განთქმული იგი;  
ხუნრობად მოსდის უოველი სიტყვა.

ბოიეტი

ხუმრობა მისი არის ფუფე სიტყვების რიგი.

პრინცესა

მწვენიერად ტუქსავთ, ეკუთვნოდა სწორედ ვინება.

ბოიეტი

გულით მიწლოდა მასთან შებმა და შერკინება.

კეთრინი

ორი რაინდის დუელი ცხარე!

ბოიეტი

ჯობდა, რომ გეტყვათ — ცხვარი.  
მე ბატკანი ვარ, უნდა ვიგემო  
თქვენი ტუჩების ცვარი.

კეთრინი

თქვენ ცხვარი ხართ და მე — სამოვარი,  
გქონიათ პირის გემო.

ბოიეტი

საუკეთესო საბალახოა  
(კოცნას დაუპირებს) .

კეთრინი

არა, პირუტყვო ჩემო.

განა საერთო საბალახო ვარ, ერთიც მეყოფა მწუქმსად.

ბოიეტი

მაშ ვის ეკუთვნის ეგ სამოვარი?

კეთრინი

მე და ფორტუნას ჩემსას.

პრინცესა

ორი მახვილი ჭკუის არ ღირს შეხლა, კამათი,  
რა უნდა მოგვცეს ერთმანეთში დაღვრილმა სისხლმა,  
აჯობებს — მეფეს, მის მწიფნობრებს დავატუდეთ რისხვად.

ბოიეტი

ჩემს მხედველობას არაფერი დაემალება,  
გულის დაღადისს ამხელს თვალეები.  
უძუქმელია, ავად არის ნავარიელი.

**პრინცესა**

კი მაგრამ რისგან?

**ბოიეტი**

ტრფობის აღი ტანჯავს ძლიერო.

**პრინცესა**

რაა ნიშანი?

**ბოიეტი**

ხმას არ იღებს, დამდგარა უფრად,  
ანთებულ თვალთა დარბაზებში სურვილი უჩანს.  
გული მეფისა აქათია, შენი ხატება  
შიგ აღბეჭდილა, სიამაყე თვალს ემატება,  
ენა იმისი, აღრე დუმილს გადაჩვეული,  
ახლა ბორძიკობს, მხედველობად არის ქცეული.  
უნარი ხილვის... მისკენ ილტვის გრძნობა უოველი,  
მშვენიერების რომ შეიგრძნონ შუქი ცხოველი.  
და ეს გრძნობები მეფის თვალში ისე მოჩანან,  
ბროლის ქურჭელში როგორც თვლები პათიოსანი.  
გვერდით ჩავლილი შეჩერდები საუილლად, რადგან  
ბროლი უბრუნებს ელვარებას თვითველ მათგანს.  
მის მოწყურებულ თვალებს სატრფოს სწადია ნახვა,  
სახის მინდორზე აწერია სურვილი, ზრახვა:  
აქვიტანია შენი იყოს, მთლიანად ვითმობ,  
ოღონდ შაგემე ერთი კოცნა, აღერსი, სითბო.

**პრინცესა**

კარავისაქენი ბოიეტი მონაა ნების...

**ბოიეტი**

ვთქვა უოველივე, რაც იხილეს თვალბმა მეფის.  
პირე ვარ მისი თვალბნისა და ამის გარდა,  
ტუულის არ იტყვის ენა ჩემი, სულ ამბობს მართალს.

**მარია**

გეტყობა ძველი მაქანკლობა, რა ქსელღებს ხლართავ.

**კეთრინა**

ბაპაა ჩვენი ბოიეტი თვითონ ამუროს.

**როზალიანა**

ვენერა, სახით, მხოლოდ დედას დამგვანებია,  
რადგანაც მამა მახინჯი ჰყავს და უამურო.

**ბოიეტი**

გესმით თქვენ ჩემი, გიჟმაუებო?

**მარია**

არა.

**ბოიეტი**

რას გეტყვით, იცით?

**მარია**

ღუა მოვეე, კმარა.

**ბოიეტი**

თქვენ დამატებავთ ჭირსა და ვარამს.

(გადიან).

გოგამედება მისამი

სურათი 1. პარკი.

შემოდინ არმადო და ფარვანა.

არმადო

მიმდერე, ბიჭუნავ, აღაგზენე სმენა ჩემი.

ფარვანა

კონკოლინელი

არმადო

საუცხოო მელოდიაა. ვასწი, უნაზესო ულორტო ხიუმაწვილიხავ. აპა, გამომართვი გასადები, გაათავისუფლენ ის გლეხუჭა და აქ მომგვარე სასწრაფოდ. მისი ხელით ბარათი მინდა გავუგზავნო შეუვა-ვარებულს.

ფარვანა

თქვენო კეთილშობილებავ! არა ვსურთ, ფრანგულად მოინადი-როთ სატრფოს გული?

არმადო

ეს რაღას ნიშნავს? ფრანგულად უნდა ვემუსაიფო?

ფარვანა

არა, ჩემო სათაყვანებლო ბატონო! თქვენ ენის წვერით უნდა სტვენდეთ და ჩამუხლული ცვიკვადეთ, თან თვალები ატრიალოთ, ნოტა ნოტას მიაყოლეთ, ხან უფლიდან ამოსტკვით, თითქოს გადაუ-ლაპეთ სიყვარული, ოდეს ამ სიყვარულს უგალობდით, ხანაც — ცხვირიდან, თითქოსდა შეისუნთქავთ სიყვარულს, ოდეს მას უნო-სავთ, ქული ისე უნდა გქონდეთ ჩამოფხატული თვალეზზე, როგორც ფარდულა ჩამომხობილი დაზღუნე, ხელები ჩაფართხუნებულ ფილე-ტზე გადაიჭვარდინეთ, შამფურგაყრილ კურდღელივით, ან ჭიბე-ტში ჩაიწყვით, როგორც ძველებურ სურათებზე გამოხსნულ მამაკა-ცებს აქვთ; და კიდევ, დიდხანს ნუ დაუოვნდებით ერთ მოტივზე, იმწამსვე ახალზე გადადით. აი, ამგვარი ხერხებითა და ფანდებითა ახამენ მახეში მშვენიერ ქალებს, რომლებიც უამისოდაც მოტუქ-დებოდნენ; მამაკაცები ამით ხდებიან საუურადღებონი — უურად-ღეთ ჩემი სიტყვა — ამიტომაც, მრავალი ადგას ამ გზას.

არმადო

როგორ დაავროვე ამოდენა გამოცდილება?

ფარვანა

გროში დაკვირვების ფასად.

არმადო

თუმცაღა... თუმცაღა...

ფარვანა

დავიწყებულია აჩუ-ცხენი.

არმადო

ჩემს სიყვარულს ეძახი აჩუ-ცხენს?

ფარვანა

არა, თქვენო კეთილშობილებავ, აჩუ-ცხენი კვიცია, თქვენი შეუ-ვარებული კი, ადვილი შესაძლებელია, გახედნილიც იყოს. ხომ არ დაგვიწყუნიათ შეუვარებული?

არმადო

თითქმის.

ფარვანა

ზარმაცე შეგირდი ზეპირად, გულდაგულ უნდა ისწავლოთ.

არმადო

გულდაგულაჲ ვისწავლე და გულშიც ჩავიბეჭდე, ჩემო ბიჭუნავ!

ფარვანა

და გულს გარეთაც, თქვენო კეთილშობილებავ, სამთავე შემოდ-  
ლია დავიმტკიცოთ.

არმადო

რა უნდა დამიმტკიცო?

ფარვანა

თუ ბიჭი ვარ, დავიმტკიცებ; თანაც სათითაოდ, ამავე წამს. გუ-  
ლით იმიტომ გიუვართ იგი, რადგან თქვენი გული ვერ მიეახლებო-  
მას; გულში — იმიტომ, რომ თქვენი გული მის სიუვარულშია გახ-  
ვეული, გულს გარეთ კი იმიტომ გიუვართ, რომ საკუთარ გულს  
ტოვებთ, ვინაიდან იმ ქალს ვერ ეუფლებით.

არმადო

და ეს სამივე, ჩემზეა.

ფარვანა

სამჯერ სამიც რომ იყოს, არაფერი გამოვიდოდა.

არმადო

მომიყვანე ის გლეხუტა. წერილი უნდა გავატანო.

ფარვანა

შესაფერი ამანათია: ვირს ცხენი მიუვა ელჩად.

არმადო

რაო, რა თქვი?

ფარვანა

არაფერი, სერ, აჯობებდა ეს ვირი ცხენზე შეგესვათ და ისე გა-  
გეგზავნათ, საშინლად ზანტია. წავედი.

არმადო

ღაღი გ'ზა არ გიღევს, გავარდო.

ფარვანა

ტყვიასავით გავჭანდები, სერ.

არმადო

ამით რისი თქმა გინდა, ჩემო მახვილგონიერო ბიჭუნა? განა  
ტყვია მძიმე, ტლანჭი, მოუხეშავი ლითონი არ არის?

ფარვანა

Minime!, ღირსეულო მოძღვარო, ან, უკეთ რომ ვთქვათ, მოძ-  
ღვარო, ნამდვილად არა.

არმადო

მე ვამბობ — ტყვია ზანტია.

ფარვანა

თქვენ ძალზე ჩქარობთ, სერ, ამას რომ ამბობთ: განა ზარბაზნის  
ლულდიდან გასროლილი ჭურვი ზანტია?

არმადო

ტკბილო კვამლო რიტორიკისავ! მე ზარბაზნის ლულას შემედა.

1 ყველაზე ნაკლებად (ლათ).

რა, თავისი თავი — ყუმბარას. ასე რომ შენი თავი უნდა ვერსოლო  
იმ შეჯოგეს.

ფარვანა

მაშ გამისროლეთ, მივფრინავ.

(გაღის).

არმადო

რა გამჭრიახი უმაწვილა, მეტყველი ლაღაღ!  
დასტური მომცა, ოსვრას ვუთელი მე ზეცას მაღალს;  
ო, სიმაჰაცვე, შენ დამტოვე და სევდა მაღაღეს.  
დაბრუნებულა დესპანი ჩემი.

(შემოდინ ფარვანა და გოგრა).

ფარვანა

სასწაული, ჩემო ბატონო, გოგრას წვივი მოუტეხია.

არმადო

რასი გჳირდება ეგ ქარაგმები, გამოცანები, პირდაპირ შეგონება-  
ზე გადადი, რა დროს წვივია.

გოგრა

რისი ქარაგმა, რისი გამოცანა, რა ქონება, რა შეგონება. მხო-  
ლოდ მრავალძარღვა, ერთი ჩვეულებრივი მრავალძარღვა მომეცით,  
სერ. არც ქონება მინდა და არც შეგონება, სერ, მხოლოდ მრავალ-  
ძარღვა.

არმადო

სინდისს გეფიცები, ვააცინებ კაცს. შენი სისულელე ნაღველს  
მიქარვებს; ფილტვები ისე მაქვს დაქიმული, უადგილოდ მეღიმიება.  
ო, მომიტევე, ჩემო მთიებო. ამას ქონება და შეგონება ერთმანეთში  
ერევა.

ფარვანა

ეს სომ ჭკუათმყოფელსაც აერეოდა, სერ, განა ქონება და შე-  
გონება ერთი არ არის?

არმადო

ო, არა, პაუო! შეგონება დასკვნაა, რადგან,  
იგი ფენს ნათელს და განმარტავს ქარაგმად ნათქვამს.  
მაგალითს გიტყვი:

მაიმუნი, კრაზანა და მელა,

კენტი გახლავთ, რომ შეეკრიბოთ ყველა.

ეს იგავია. ახლა — შეგონება.

ფარვანა

შეგონებას მე დავურთავ. ერთი ხელახლა თქვით იგავი.

არმადო

მაიმუნი, კრაზანა და მელა,  
კენტი გახლავთ, რომ შეეკრიბოთ ყველა.

ფარვანა

საკმაოა, მიემატოს ბატი,  
წუვილს მოგვცემდა ჩვენ შეეკრება მათი.  
ახლა მე წამოვიწყებ იგავს და თქვენ შეგონება მიადევნეთ.

მაიმუნი, კრაზანა და მელა,  
კენტი გახლავთ, რომ შეეკრიბოთ ყველა.

არმადო

საკმაოა მიემატოს ბატი,  
წუვილს მოგვცემდა ჩვენ შეეკრება მათი.

ფარვანა

საუცხოო რამ არის, ბატი გერგოთ შეგონებად. უკეთეს ვერც  
ისურვებდით.

გოგრა

ბატი მიჰყიდა ბიჭმა პატრონს, საქმეა ცხადი!  
სერ, ნუ ინადვლებთ, თუ მსუქანი გამოდგა ბატი.  
ივაჭრა, ყველა ვააცურა, ყველას უგანა  
და შეგონებად დაითრია ბატი მსუქანი.

არმალო

რას მოვაყოლებთ, უკველივე დავიწყეთ რითი?

ფარვანა

გოგრა დაკოქლდა და ტკივილი აწუხებს დიდი,  
ეს გამცნეთ, თქვენ კი შეგონება მომთხოვეთ მუისვე.

გოგრა

დიას, შე ვწუხდი, მრავალძარღვას ვითხოვდი რიდიო,  
როდესაც ბატი შეგონებად მოგვიდათ ბიჭმა;  
ეს იყო თქვენი ვაჭრობის მიჯნა.

არმალო

მომიყვეთ როგორ მოიტება გოგრამ წვივი.

ფარვანა

შე მოუყვები ამას ვრძნობით.

გოგრა

შენ ხომ ეს არ ვიგრძენია, ფარვანავ, ამაზე მე ვიტყვი შეგონებას.  
აქეთ მოგზაობდი, თუმც მერჩია სადგომი ცივი,  
ზღურბლზე დავეცი, მოვიტეხე შე — გოგრამ — წვივი.

არმალო

გთხოვთ, მეტად ნულარ შევეხებით ამ საგანს.

გოგრა

სანამ აღარაფერი დარჩება ჩემი წვივისაგან.

არმალო

გოგრაჲ, შე მინდა — შენ თავისუფალი გაგზადო.

გოგრა

რა მაცვია, რომ გამხადოთ. მე ბატის სურნელი მომდის, იმას  
ვამჯობინებდი შეგონებად.

არმალო

სინდისს გეფიცები, განზრახული მაქვს გაგათავისუფლო, დავის-  
ხსნა. შენ ხომ დატუსაღებულნი იყავი, დამწვედეთუმი, გაკოპილი,  
შეკრული.

გოგრა

ახეა ქეშმარიტად. მამ თქვენ ჩემი საფლარათო ზეთი უკველი-  
ხართ და გამხსენით.

არმალო

შე შენ თავისუფლებას განიჭებ, საპრობილედან გამომყვებარ;  
ამის საფასურად მხოლოდ ერთს გთხოვ: ეს ბარათი უაქნეტას გადა-  
ეცი. გოგნის ქალს (აწვიდის წერილს). ესეც გასამრჯელო, საუკეთე-  
სო დასტური ჩემი სინდისისა, რომ ხელქვეითებს მუდამ ვასაჩუქ-  
რებ. აბა, ნოწვევი, პეპელავ.

(გადის.)



ფარვანა

როგორც დახაწუხის — გაგრძელება. სენიორ გოგრა, მშვიდობით.

გოგრა

ო, ჩემო ერთო ციციქნავ, ჩემო ჩახაულაპო!

(ფარვანა გადის.)

ახლა ვნახთ რაღას ნიშნავს მისი გასამრჯელო. გასამრჯელომ ლათინური სიტყვა უოფილა და სამი ფარტინგი ღირებულა. სამი ფარტინგი-გასამრჯელო. „რა ღირს ეს ზონარი?“ — „ერთი პენსია“. „არა, მე გასამრჯელოს ვადაგისხით“. აი ეს შესმისი გასამრჯელო ვაცილებით უკეთ შღერს, ვიდრე ფრანგული კრონი. უამსიტყვოდ არა-ფერს ვიყიდი და გაყიდი.

(შემოდის ბერონი.)

ბერონი

ჩვენს საუვარდელ, ცუდლულტ გოგრას ვახლავარ, სწორედ რომ დროზე შეგხვდი.

გოგრა

მითხარით ღვთის გულისათვის, რამდენი ალისფერი ღღნტი მომივა გასამრჯელოთი?

ბერონი

მერედა, რამდენია გასამრჯელო?

გოგრა

რა უნდა იყოს, სერ, სამი ფარტინგი.

ბერონი

ჰოდა, ამრეშუმიც სამი ფარტინგისა მოგივა.

გოგრა

დიდად გმადლობთ, თქვენო ბრწყინვალეზავ! ღმერთო იყოს თქვენი მფარველი.

ბერონი

დაიცა, ბიჭო, საქმე მაქვს შენთან. კეთილმო მონავ, თუ გსურს გული მომიგო ჩემი, ის აღასრულდე, რაც უნდა გთხოვო.

გოგრა

კი მაგრამ როდის?

ბერონი

ამ საღამოსვე.

გოგრა

ნუ ვეღარდებათ, ავასრულებ. კარგად მენახეთ.

ბერონი

შენ ხომ არ იცი, რა დავააღებ?

გოგრა

შევასრულებ და მეცოდინება.

ბერონი

უშაქის კერძო, ეს მანამდე უნდა იცოდებ.

გოგრა

ხვალ დილით უნდა მივადგე თქვენს ბრწყინვალეზავს.

ბერონი

ეს ამ საღამოსვე უნდა გაკეთდეს.  
მისმინი, მონავ, დავალება ასეთია:  
მალე პრინციესა სანადიროდ გამოვა პარკში,  
მასთან იქნება ერთი ლედი, კეთილშობილი.  
ვისიმე ბაგე თუ უნაზესს წარმოთქვამს ბგერებს,  
მხოლოდ მას სახელს, როზალიანს მას ექაზიან.  
გაიხმე უაზრე და ქათქათა, ფაფუკ ხელებში  
მიეც ბარათი საიდუმლო. აჰა, შენ ჯილდო;  
ახლა კი ვასწი.

(აძლევს შილინგს).

გოგრა

ჯილდო! ო ტკბილო ჯილდო! ჯობიარ ვასამრჯელოს; თერთმეტი  
პენსთა და ერთი ფარტინგით ზეტი ხარ; სანუჯვარი ჯილდო! ყვე-  
ლაფერს ზუსტად ვადაკეთებ, სერ, როგორც მიბრძანეთ. ჯილდო —  
ვასამრჯელო!

(გადის.)

ბერონი

დალაზეროს ეშმაკმა, ნამდვილად შეეყვარებული ვარ; თანაც მე,  
სიყვარულს ძალღალდაც რომ არ ვაგდებდი.

მე, ვინც ვასაქანს არ ვაძლევდი ოხვრებს ვნებიანს,  
კრიქაში ვიდექ, მეთვალყურე ვიყავი ღამის;  
არა მგონია, მედიდური მომღვაირი უმაწვილს  
ისე სასტიკად მოქცეოდეს, როგორც მე — იმ ბიჭს.  
თვალახვეული, ჭირვეული, ბრმა და მტირალა, —  
გოლიათ-ჭუჭა კუბადონი, ბერი უმაწვილი,  
რითმების გამგე, გადაქდობილ მკლავთა ბატონი,  
მეფე ოხვრათა და კვენესათა, მირონცხებული,  
უსაქმურთა და უმადურთა ძველი მფარველი,  
მრისხანე პრინცი კაბეზისა, შარვალთ ხელმწიფე,  
იმპერატორი ერთადერთი, მთავარსარდალი  
ახურებულთა. ო, სისუსტეც, სულმოკლეობაც.  
ამ დიდ ლაქარში მე კაპრალი ვიქნები მხოლოდ,  
მასხარასავით რომ ვატარო ფერები მისი.  
როგორ? მე მიყვარს? ვიხვეწები და ცოლად შერთვა  
მინდა იმ ქალას, ვინც გერმანულს წააგავს საათს,  
მუდამ რომ ითხოვს შევეთებას და მუდამ ტყუის,  
სწორად არასდროს არ მუშაობს, ამ მაჩვენებელს,  
დრო რომ აჩვენოს, თავად უნდა ჩვენება გეზის!  
ფაცი გავტეხე, უარესი ეს არის ყოვლის,  
სამი ქალიდან უარესი მე შეეყვარე.  
ქერთშიანი ახტაჯანი, სეფელწარბა ერთი,  
თვალეების ნაცვლად ბურთულეები უელავს კუპრის.  
ვიფიცავ ზენას, თვით არგუსიც ვერ დააჯავებს,  
თავზე რომ ადგებს, როგორც ცვეელი და საჭურისი.  
მე კი ამ ქალზე ახე ეკვენენი ვღარაჯობ, ვუცდი!  
ვლოცულობ მასზე! ასეთია ადნათ სასჯელთა, —  
გადამიხდა კუპიდონმა სამაგიერო,  
რადგან მის ძალას — მცირეს, სასტიკს — არად ვაგდებდი.

(გადის.)

ინგლისურიდან თარგმნა მამზარ კვიტიანიძემ

გაგრძელება იქნება

უილიამ ზემსპირი

## აქამ გარჯა სიყვარულისა

მოამბეღება მართხა

სურათი 1. პარკი.

შემოდან პრინცესა, როზალანო, მარია, კეთრინი, ბოიტი, დიდებულეზი, ამაღა და მეტყვევ-

**პრინცესა**

ნეტავი მეფე ხომ არ არის, დაუზოგავად რომ მიაჭენებს ცხენს ციცაბო მწვერვალისაკენ?

**ბოიტი**

აჲ მგონია, რომ მეფე იყო.

**პრინცესა**

ვინც უნდა იყოს, აღზევება გვინგნა სულის. მაშ, ბატონებო, ხაჭმეს ჩვენსას დღეს მოვითავებთ, შაბათისათვის საფრანგეთში გავემგზავრებთ. ძმარ მეტყვევევ, მიგვასწავლე ბუნქნარო, ხაღაც ჩავსაფრდებოდით, მკვლელობანას გავაჩაღებდით.

**მეტყვევ**

აქვე, სულ ახლოს, იმ ქაღის პირას, საუკეთესო ხანადირია.

**პრინცესა**

მრავალი მეტრფის, ნადირობის მე ვარ ტრფიალი, ამაღ მისურვე ნადირობა საუკეთესო.

**მეტყვევ**

გთხოვთ მომიტევოთ, ეს არ უთქვამს ენას და ზავს.

**პრინცესა**

უჲან იბრუნებ სიტყვას შენსას, ამარდ მაქე? ხანმოკლე იყო, ვაი ქებას, დიდებას აგეთს.

**მეტყვევ**

თქვენ წარმტაცო ხართ.

**პრინცესა**

ვერ მიაღწევ შექებით მიზანს; ქება რას არგებს, სილამაზე აკლია ვისაც



აბა, ეს სარკე, შენ სიმართლის ყოფილხარ მთქმელი:  
(ფულს აძლევს მას)  
ჯილდო ზიიდე ჩემს ლანძღვაში, სხვას რაღას ელი.

**მეტყუვე**

გაქვთ გარეგნობა, მონატული ნაირფერებად.

**პრინცესა**

დახე, ჯილდოთი შევიძინე მშვენიერება.  
პირმოთნეობა, ყალბი ხოტბა ჩვენს დროში ხდება!  
მოწყალები ხელი, თუნდაც გონჯი, მიითვლის ქებას.  
შნად ვარ სიკეთე: ვკლა და ვსოცო. მოგზიდავ, მშვილდო.  
ნადირობაში უწყალო ვარ, არაფერს ვინდობ.  
არ დავამცირებ მონადირის სახელს სრულიად,  
თუ ავაცდინე, აქ მიწეში სიბრალულია.  
თუ ვტყორცნე, ვიტყვი, გამოჩენა მინდოდა თავის,  
ამად მოკალი, არ მქონია განზრახვა ავა.  
ახე იქცევა, ვინც ფუქ სახელს გაეციდებო,  
დანაშაულის სათავეა ყალბი დიდება.  
უაზრო ხოტბა ნეტარება გვეგონა სრული,  
პატივისათვის ლამის ეშმაკს მივყიდოთ სული.  
ოღონდ შემაქონ, შნად ვარ ირმის დავღვარო სისხლი,  
თუმც სიძულვილი ოღნავადაც არა მაქვს მისი.

**ბოიეტი**

განა ქებისტვის არ ელტვიან ძალაუფლებას  
ანჩხლი ცოლები, რომ მორჩილნი ვახადონ ქმრები?

**პრინცესა**

მხოლოდ ქებისტვისი და ვინც შესძლო ქმრის დამონება,  
უნდა ვახსენოთ ისინი ქებით.

**შემოდის გოგრა**

აბა, მოვიდა ერთი წვერიც მათი ამქარის.

**გოგრა**

სადამო მშვიდობისა ყველას. მითხარით, ღვთის გულისათვის,  
რომელია თქვენში მთავარი, თავიანი ქალი?

**პრინცესა**

ამას შენ თითონაც მიხვდები, ძმობილო, სხვები უთავოდ იქნე-  
ბიან დარჩენილნი.

**გოგრა**

ის ვინც უმთავრესია და უმაღლესი?

**პრინცესა**

უმსუქნესი და უგრძესი.

**გოგრა**

უმსუქნესია და უგრძესი? სწორი სიტყვაა.  
რომ ჰქონდეს თქვენს წელს მოქნილობა ჩემი გონების,  
შემოგწვდებოდათ, თქვენც, სარტყელი ამ გოგონების.  
თქვენა ხართ თავი? ყველა ქალზე თქვენ ხართ მსუქანი.

**პრინცესა**

მითხარით, ბრძანეთ, რისი თქმა გინდათ.

**გოგრა**

ლორდი ბირონი როჯალაინს უგზავნის ბარათს.



### პრინციპა

ო, წერილია? ვით მის დობილს, მომეცი ჩქარა.  
კეთილო მაცნევ, განზე გადექ. ბოიექ, გახენ  
შენ ეს ბარათი.

### ბოიექი

მზად ვარ თქვენი სამსახურისთვის.  
აქ შეცდომაა. მისამართი შეშლია მაცნეს.  
უაქნეტასია ეს ბარათი.

### პრინციპა

არაფერია.  
სანთელს კისერი მოუგრინებ, შეუდექ კითხვას.

### ბოიექი

(კითხულობს)

ვფიცავ ზენას, ექვგარშეა, რომ შენ ლამაზი ხარ; სრული ჭეშმა-  
რიტებაა, რომ მშვენიერი ხარ; სილამაზეზე ლამაზო, მშვენიერებაზე  
მშვენიერი, თვით ჭეშმარიტებაზე ჭეშმარიტო, შეიბრაღე მამაცი  
ვასალი შენი. დიდსულოვანმა და სახელგანთქმულმა მეფე კოცდებუ-  
ამ მშერა მიაპყრო მავნესა და პირწავარდნილ მათხოვარას — ზე-  
ნელოფონს. აი, ვის ჰქონდა უფლება ეთქვა: „veni, vidi, vici“;  
რაც მდაბიოთა ენაზე გადატანილი (ო, მდაბალო, ბნელო ენავ!) ნიშ-  
ნავს: მიველ, ვნახე, გავიმარჯვე. მივიდა — ერთი; ნახა — მეორე;  
გაიმარჯვა მესამე. ვინ მივიდა? — მეფე. რისთვის მივიდა? — რომ  
ენახა. რისთვის ნახა? — რომ გაემარჯვა. ვისთან მივიდა? — მათ-  
ხოვარასთან. ვინ ნახა? — მათხოვარა. ვისზე გაიმარჯვა? — მათხო-  
ვარაზე. საბოლოო შედეგი — გამარჯვებაა. ვის ღარჩა გამარჯვება? —  
მეფეს. ტყვე გამდიდრდა. ვის მხარეზეა სიმდიდრე? — მათხოვარა-  
სი. კატახტროფა ქორწილში გამოვლინდება; ვისი მხრიდან? — მე-  
ფის მხრიდან. არა, ორივეს მხრიდან ერთში ან, ერთის მხრიდან  
ორივეში. მე მეფე ვარ; ამაზე მეტყველებს შედარება. შენ მათხო-  
ვარა ხარ, ამას ადასტურებს შენი მდაბიო წარმოშობა. შემიძლია  
გიბრძანო შეუვარება? შემიძლია. შემეძლო თუ არა ძალის დატა-  
ნება? შემეძლო. შეგვედრებო თუ არა სიყვარულს? ამას კი ვაპი-  
რებ, რაში გაცვლი მაცნეს ძონძებს? ჩასაცემელ-დასახურზე. სიტყვებს?  
ტიტულებზე. შენს თავს? ჩემზე. ველი რა პასუხს, ვიბილწავ ტუჩებს  
შენს ფიხებზე, თვალებს — შენს სახეზე, გულს — შენი სხეულის  
უფელი ასოთი.

ვშთები მარად ერთგული შენი სამსახურისა.  
დონ ადრიანო დე არმადო“.

საბრალო კრავო, დაგეცემა არჩეულ ზვარაკს;  
გესმის? ღრიალებს ნემეის ლომი;  
მეფურ თათებში გაუწექი მორჩილად, წუნარად,  
დაცხრება მაშინ, შენთან ლაღი თამაშის მდომი.  
ნურას ეცდები, შებრძოლება ჩაგივლის უქმად,  
განრისხებული მტაცებელის გახედები ლუკმა.

### პრინციპა

ნეტა ვინ არი მამლაყინწა თავადერილი,  
ვინ ქარაფშუტამ გამოგზავნა მსგავსი წერილი?

### ბოიექი

თუ არ მეშლება, ნაცნობია ენა და ხელი.

### პრინციპა

წედან დახედეთ, თქმა ამისა არ არი ძნელი.



**ბოიეტო**

არმადო ვახლავთა, ესპანელი, მონარქოს დარი,  
უნდა გართოს, მხიარულში, სამეფო კარი, —  
მეფე და სხვებიც, მწიგნობარსა.

**პრინცესა**

(გოგრას)

შენზეა სიტუვა.

ვინ გზავნის წერილს?

გოგრა

ჩემი ლორდი, ვა უკვე ითქვა.

პრინცესა

გვითხარ, ვის უნდა მისცე და ვისვან?

გოგრა

ბატონიხვან, ქაღმატონს ჩემსას.

პრინცესა

გვამცნე სახელი ორივესი; კაცს და ქალის.

გოგრა

ბერონი, ჩემთვის მოვლენილი, მსხნელად და ფარად,  
ფრანგთა ბანოვანს — როზალიანს — უგზავნის ბარათს.

პრინცესა

შეგშლია, სხვისი წერილია. ახლა წავიდეთ.

(როზალიანს)

შენაც მიიღებ მალე წერილს.

პრინცესა და მისი ამაღა მიდის.

**ბოიეტო**

ნეტა ვინ ისვრის, ნეტა ვინ ისვრას?

როზალიანი

გაგანდოთ ვინაც ისვრას?

ბოიეტო

თქვი, ფეხადგმულო მშვენიერებაფ.

როზალიანი

ვინ და მფლობელი ისრის.

ხომ საუცხოო ნათქვამია.

ბოიეტო

რქოსანზე ვხედავ ნადირობას, ღირსი ხარ ქებისა.

შენ თუ გათხოვდი, დახვადება, იცოცხლე, რქები.

ხომ საუცხოო ნათქვამია.

როზალიანი

ახლა მე უნდა გავისროლო.

ბოიეტო

სად გუავთ ირემი?

როზალიანი

რქების მიხედვით, თქვენ ხართ ჩემი ნანადირევი.

ხომ საუცხოო ნათქვამია.



**მართა**

დანებდით, შუბლი გახიზვრატათ. თავად ვარ მოწმე.

**ბოიეტი**

მას, შედარებით, დახლა მოხვდა. მეც მარჯვედ ვტყვორცნე.

**როზალანინი**

მარჯვედ ტუორცნაზე განდა ერთი ძველი მინამღერი ვითხრა, რომელიც ჭერ კიდევ ფრანგთა მეფის, პაპინის, ხელღრწაში აუო წვერებაანი?

**ბოიეტი**

მეც შემოძლია ასეთივე მინამღერით გაბასუხო, რომელიც ჭერ კიდევ ინგლისის დედოფლის, ჯანეერას, პატარაობაში კაი დედაბერი აუო.

**როზალანინი**

(მღერის)

სროლა არ გცოდნია, სროლა არ გცოდნია, მინაწში მოხვედრა, შენ ჩემო ლამაზო,

**ბოიეტი**

მე თუ ვერ შევძელი, მე თუ ვერ შევძელი მინაწში მოხვედრა, სხვა აზამს ამასო.

(როზალანინი და კეთრინი გადიან).

**გოგრა**

მინაწში მოხვდა, მინაწში მოხვდა ამას არ უნდა ფიცად

**მართა**

გასოცარი ვახლავთ სიუხსტე; სროლა ორივემ იცის

**ბოიეტი**

რისი სროლა და რისი მინაწი სროლას ნიშანი უნდა! ისარს სამიწენ სპირდება ზუსტი, რომ არ წავიდეს ბრუნდად.

**მართა**

ქალზე შორიდან მოწოდეთ მშვილდი, არ მიგიწვდებათ ხელი

**გოგრა**

ახლოს დადქით, მაშინ მოხვედრა აღარ იქნება ძნელი.

**ბოიეტი**

თუ ვერ ივარგა ჩემმა მარჯვენამ, თქვენივე ხელი მიხსნის,

**გოგრა**

ჯობს თქვენი ხელით სამიწისაკენ მიმართოთ წვერი ისრის.

**მართა**

რა უწმაწური ლაპარაკია; ბილწი აქვთ სიტყვებს გემო.

**გოგრა**

ამას ისრებით ვერას დააკლებთ; ჩოგნის აჯობებს ცემა.

**ბოიეტი**

ვაითუ ცუდად შევასკდრე ბოლოს; მშვიდონით, გოტო ჩემო (ბოიეტი და მართა გადიან).

**გოგრა**

გაუთღელია და ტუტის იერი დაკრავს!



სწორედ ამიტომ შევასურეთ ბატონი მაგრაღი  
 მახვილი სიტყვის, სუმრობათა მოღის მდინარე;  
 ზუსტი და სხარტა, თან უხეში, თან უწყინარი.  
 არმაღო! ის კი დახვეწილი მოარშიყუა.  
 როგორ მძებება ქალს, მარაოს რარიგად აწვდის;  
 ვით კოცნის ხელზე, ეფიცება როგორი განცდით.  
 ანდა რა ჭკუის კოლოფია ნამცეცა პაფი  
 გინდ ზრდილობაში გაეჭიბრე, გინდ სიტყვის თქმაში.  
 ე-მე-ჭვი.

(გოგრა ვაღის.)

სურათი მეორე. პარკი.

შემოდინ ჰოლოფერნი, ნათანიელი და რეგენი.

ნათანიელი

დიდად კეთილშობილური თავშესაქცევია, ღმერთმანი, სინდისი  
 შემიძლია დავიმოწმო.

ჰოლოფერნი

ირემი, როგორც დანახეთ, sanguis იყო, წმინდა სისხლისა,  
 შაქარა ვაშლივით მწიფე, ძვირფას ქვასავით რომ ჰკილია coelum-ის  
 — ცის, კაბადონის, ზესენელის ყურზე და უცებ მათალისავით ეცემა  
 terra-ს — მიწის, ნიადაგის, აუალოს პირს.

ნათანიელი

ქემშარცხად, ბატონო ჰოლოფერნი, ეპითეტები ისე მოხდენილად  
 შეარჩიეთ, თვით სწავლულს რომ შეეფერება, მაგრამ, გარწმუნებთ,  
 სერ, ირემი კი არა, ახლადრქამაპურილი ნუკრი იყო.

ჰოლოფერნი

მამაო ნათანიელ, haud credo.<sup>2</sup>

რეგენი

haud credo არ ყოფილა, ნუკრი იყო.

ჰოლოფერნი

რა სიველურია! ერთგვარი ინსინუაცია, მოწყობილი in via —  
 გზაზე ახსნა-განსარტებისა, რომ facere<sup>3</sup> — მოკცეს რეპლიკა,  
 უკეთ astentare — ჩაწვდეს თქვენს ზრახვას, რათა ასეთი გა-  
 უწვრთნელი, გაუშალაშინებელი, დაუხვეწელი, გაუხეღნელი ან, უფ-  
 რო სწორად, უწიგნური, ან კიდევ უფრო სწორად უნიადაგო ხერ-  
 ხებით ჩემი haud credo ირემს დაუპირისპიროს.

რეგენი

მე ისა ვთქვი, რომ ნადირი haud credo კი არ ყოფილა, ნუკრი  
 იყო.

ჰოლოფერნი

ორგზის დადუღებული სირკვენე, bis coctus!  
 ო, უზრდელობავ, უსახური რადა ხარ ასე!

ნათანიელი

ჩვენსავით, წიგნის მან არ იცის გემო და ფასი.  
 როგორც იტყვიან, ქალაღა არ უჭამია, მელანი არ დაუღევია;  
 გონებას მისას საზრდო არ ნიუღია, იგი ცხოველივითაა, რომელ-  
 ხაც მხოლოდ უმდაბლესი შეგრძნებები გააჩნია.

1 სისხლი (ლათ.)  
 2 არა მჯერა (ლათ.)  
 3 გაკეთება (ლათ.)



სურვილს ადგვიძრავს უნაყოფო ხეთა იერი —  
სწავლის ნაყოფით მულდამ დავრჩით ჩვენ მადლიერო.  
უმჯობესია, ბაქია და სულელი ვიყუე,  
ვიდერ ვიხილო, როგორ სწავლობს ამგვარი ბრიყვი.  
მე მაინც ვიტყვი omni bene!, ნათქვამი არი:  
ზღვას გადურჩები, მაგრამ ზოგჯერ დაგახრჩობს ცვარი.

რეგვენი

ორო ბრძენკაცო, იქნებ მითხრათ, ვისზე უვებიათ:  
„როცა კენი დაიბადა, ერთი თვის ყუო,  
მეხუთე კვირა მერე აღარ მომატებია“.

პოლოფერნი

დიქტინაზე, ძვირფასო რეგვენო, დიქტინაზე.

რეგვენი

დიქტინა რაღაა?

ნათანიელი

სახელწოდება თებესი, მთვარის, მანგისა.

პოლოფერნი

როცა ერთი თვის იყო ადამი, ერთი თვის იყო მთოვარეც ძველი,  
ხუთი კვირისაც ვერ გახდა იგი, კაცს ხუთჯერ ოცი ერგუნა წელი.  
სახელის შეცვლით არსი არ იცვლება.

რეგვენი

სწორი ბრძანებაა, სახელის შეცვლით გარსი არ იცვლება.

პოლოფერნი

ღმერთო დიდებულო მე ვთქვი, რომ სახელის შეცვლით არსი  
არ იცვლება.

რეგვენი

მეც იმას ვამბობ, რომ სახელის შეცვლით მარსი არ იცვლება;  
მთვარეც, ერთი თვისაზე მეტი არასდროს არ არის. გარდა ამისა,  
იმას მოვახსენებდით, რომ შვლის ნუკრი პრინცესამ მოკლა.

პოლოფერნი

სერ ნათანიელ, გნებავთ სახელდახელოდ შეთხზული ეპიტაფია  
წაგიკითხოთ იმ მოკლულ ნადირზე? უვიცებს გავუწიე ანგარიში და  
პრინცესას ნანადირევს შველი ვუწოდე.

ნათანიელი

Perge,<sup>2</sup> ძვირფასო პოლოფერნ, perge, იმედია უხამსობას არ  
გამოურევთ.

პოლოფერნი

სიტყვების თამაშია ერთგვარი, სიმსუბუქე შემოაქვს.

პრინცესას ნასროლს აღარა შველის,  
შეტოკდა ნუკრი შველის.  
არის ძახილი: დაჭრა თუ არა,  
ყველა თავისას ელის.  
არის გნაისი უურისწამლები  
და მეძებრების ყველა, —  
თავგანწირული ნახტომი შველისა,

1 ყველაფერი კარგია (ლათ.)  
2 განაგრძე (ლათ.).



უველა რაღაცას უვება.  
 საბრალო ნადირს ბეჭეზზე აწის  
 დადი პრინციხას ბრაზის,  
 რისი ნუკრიო, ქილიკობს ზოგი —  
 წლის იქნებაო ასის.

ნათანიელი

გაქანებული ნიჭია!

რეგენი

(გვერდზე)

გამოცალე, არ გაგიტანოს.

პოლოფერნი

ნიჭი, რომლითაც მე დამაჭილდოვა ბუნებამ, ძალზე. ძალზე უბრალოა; ესაა დაუოკებელი, თავაწუვეტილი წარმოსახვა, სადაც უბვად ირევა — ფორმები, ფიგურები, ხატები, საგნები, აწრები, მიხედვრები, მოძრაობები, ცვალებადობანი. მათი ჩასახვა მესხიერების კუნჭულში ხდება, pia mater-ის საშო აღმოაცენებს და ხელსაყრელი შემთხვევა სჭირდებათ, რომ დაიბადონ. ერთი კია, ეს ნიჭი მხოლოდ მაშინ იფურჩქნება, თუ სიმახვილე არ აკლია. ამ მხრივ, მადლობის მეტი არაფერი შეუძლებს.

ნათანიელი

ბატონო ჩემო, მადლობას ვწირავ უფალს, თქვენი თავი რომ მოგვივლინა, ამასვე აკეთებს ჩემი შრეველი. მათს ვაყებს საუცხოოდ დამოძღვრავთ, არც ქალიშვილები დარჩებიან ვულნაკულუნნი. თქვენ კეთილი წვევრი ხართ ჩვენი სამწყუსოსი.

პოლოფერნი

Mehercle,<sup>2</sup> თუ მათს ვაყებს საზრიანობა არ აკლიათ, აღარ დასჭირდებათ დამოძღვრა, თუ უნარიანი გოგონები ჰყავთ, ვმუნარს არ დავუარგავ. თუმცა. vir sapit qui pauca loquitur.<sup>3</sup> რომელიდაც ქალი გვენახმება. შემოდიან ქაენტა და გოგრა.

ქაენტა

დიდა მშვიდობისა, ჩვენო მოძღვარო.

პოლოფერნი

მეცხვარეთ? სადაური მეცხვარე ვარ, რა შემატუო მეცხვარის?

გოგრა

პატივცემულო მასწავლებლო, მოცხარო, ასე თქვა, რითია მოცხარი ცუდი ხილი?

პოლოფერნი

მეშ მოცხარი, არა? რა ენამოსწრებული უოფილა ეს პაწია ბელტი. ტაღისთვის საქამო ნაპერწკალი მოემევება, ღორისთვის კიდევ — მარგალიტი.

ქაენტა

მოწყალოე მამაო, დამდეთ პატივი და წამიკითხეთ ეს წერილი; გოგრამ ეაღმომცა, დონ არმადოს გამოგზავნილი გახლავთ. გემუდარებთ, წამიკითხეთ.

1 ტუინის გარსი (ლათ.)  
 2 ჰერაკლეს ფფიცავ (ლათ.)  
 3 ბრძენაკცი ცოტას ლაპარაკობს (ლათ.)



Fauste, precor gelida, pecus omne sub umbra ruminat<sup>1</sup>

...და ახე შემდეგ. ომ, კეთილო ძველო მან-  
ტუდლო მე შემოდლა ისევე მოგმართო, როგორც მოგზაურები მი-  
მართავენ ვენეციას:

•Venegia, Venegia,

Chi non te vede, non te pregia<sup>2</sup>.

ძველო მანტუდლო, ძველო მანტუდლო ვინაც შენი ფასი არ  
იცის, არ უფასობს — დო, რე, მი, ფა.

მომიტყვეთ, ხერ, რა შინაარსისაა წერილი ანუ უფრო სწორად,  
როგორც მორაციუსი ამბობს თავის, რა ჰქვია, ღმერთო ჩემო, ლექს-  
ებში?

ნათანიელი

დაახ, ლექსებში და საქმიად ოსტატურშიაც.

პოლოფერნი

გთხოვთ წამოკითხოთ რომელიმე სტროფა, ბეკარი, სტრაქიონი.  
Lege, domine<sup>3</sup>.

ნათანიელი


(კითხულობს)

თუ ვუფაღატი, რაღად მივცე ხიუვარულს ფიცო,  
მშვენიერებას ერთგულდებას ჰქონა ფასი.  
თავს ვუღაღატი, მაქვს შენდამი მე რწმენა მტკიცე,  
მუხად ვიდები, შენთან ხუსტა ვუოფილვარ ვაზი.  
თვალები შენს საოცარი და ღრმა წიგნია,  
ცოდნას წუარო და ხიამენა თვალებში ბრწყინავს.  
შეიცნობ, ვატყვა — ცოდნისათვის მე მიმიგნია;  
განსწავლულაა, შენი ქება შეიძლო ვინაც;  
შენს დანახაზე აღტაცებას ბრივე თუ მაღავს,  
მაქვს საამაუო, სიღამაზე მე შენი მესმის.  
ეღვა და გრგვინვა რომ ტრაღებს თვალებში წევსის,  
უძალ მუსიკად გადიქცვა, უნაზეს ალაღ.  
ო, ღვთაებრივო, ხიუვარული შემანდობს შენს,  
მშვენიერება რომ შეგიქმე მოკვდავს ენით.

პოლოფერნი

თქვენ მახვილებს სწორად არ უხვამთ და გამოთქმა გეშლებათ:  
წება მიზომით დავხედო კანცონეტას. აჰ, ერთადერთი, მარცვალთა  
რაოდენობაა დაცული. ხოლო დახვეწილობა, სიმსუბუქე, ოქროს კა-  
დენცია პოეზიისა — caret<sup>4</sup> ამ საქმის ოსტატი ოვიდოს ნაწონი  
აუო. რატომ უწოდებდნენ ნაწონს? ამიტომ რომ უნოსვით აგებდა,  
წარმოსახვის ნაწ უვავილებს, შემოქმედების ცეცხლს. Imitari<sup>5</sup>  
არაფერს ნიშნავს. მიზაძვით მწვეარიც ბაძავს თავის პატრონს, მა-  
შუნი კიდევ — მომვლელს და ვახვითქული ცხენა — თავს მხე-  
დაარს. მაშ, ქალწულებრივო damosella,<sup>6</sup> თქვენ გეკუთვნით ეს ბარათი?

1 ფაუსტი, გვედინი, სანამ ჯოგი გრილოში ბალახობს (ლათ).  
2 ვენეციაჲ, ვენეციაჲ, ვისაც შენ არ უნახიხარ, მან შენი ფასი არ  
იცის (იტალ.).  
3 წამოკითხეთ, ბატონო ჩემო (ლათ).  
4 არ არის (ლათ).  
5 მიზაძვა (ლათ).  
6 ქალწული (დამახინჯ. ფრანგ.).



ქაქეტა

ლიახ, სერ, ბატონი ბირონი მიგზავნის, უცხოელი პრინცესა ერთ-ერთი დიდებული.

პოლოფერნი

მისამართს მინდა დაგხედო: „თოვლივით ქათქათა ხელში უმშვენიერეს ქალბატონ როზალანს“. ერთს კიდევ გადავუღებ თვალს წერილს, ვისგანაა გამოგზავნილი. „თქვენი უკეთილშობილესობის ერთგული მსახური ბირონი“ სერ ნათანიელ, ბირონი მეფესთან შეფიცულთაგანია; ეს წერილი მან უცხოელი პრინცესის ამალის ერთ-ერთ წევრს გაუგზავნა და შემთხვევის წყალობით თუ დანიშნულეზის მიხედვით აქ მოხვდა. აბა, გავარდი, ჩემო კარგო, პირდაპირ მეფეს მიეცი ხელში ეს წერილი; ამას დიდი მნიშვნელობა ექნება. გამომშვიდობებზე ღროს ნუ დაკარგავ; ამ მოვალეობისაგან გათავისუფლებ, მშვიდობით.

ქაქეტა

ძვირფასო გოგრა, გამომეყვი ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, სერ.

გოგრა

შენთან ვარ, ჩემო გოგონი.

(გოგრა და ქაქეტა გადიან).

ნათანიელი

სერ, თქვენ ისე მოიქცით, როგორც ღვთისმოშიშს ეკადრება, ძალზე ქრისტიანულად; და, როგორც ერთი წმინდა მამა ამბობს:

პოლოფერნი

სერ, ნუ მიხსენებთ წმინდა მამას; მე მაშინებს გადამეტებული ქება. მოდი ისევ ლექსს დავუბრუნდეთ: მოგეწონათ, მამაო ნათანიელ?

ნათანიელი

საუცხოოდაა დაწერილი.

პოლოფერნი

დღეს ჩემი შეგირდის მამასთან მომიწევს სადილობა. თუკი, ქამად დასხდომამდე, იმ სუფრის კურთხევას იწებებთ, მენდეთ — ზემოხსენებული უმაწვილის ანუ შეგირდის მშობლებზე მე გავლენა მაქვს — თქვენ benvenuto! იქნებით; მე იქ დაგიმტკიცებთ, რომ ეს ლექსი უსუსურია და პოეზიის მადლის, ნიჭისა და შთაგონებისა არაფერი სცხია. გთხოვთ გამიწიოთ: მენახეობა.

ნათანიელი

დიდად გმადლობთ. საღვთო წერილში ნათქვამია, რომ მენახეობა ცხოვრების სისარულია.

პოლოფერნი

ქეშარიტად, საღვთო წერილი აქაც შეუმცდარია. (რეგვენს) სერ, თქვენაც ვეპატიებებით; ძალიან გთხოვთ არ გამაწბილოთ: pauca verba.<sup>2</sup> წავედით. ბატონები თავიანთთვის ერთობიან, არც ჩვენ გვაწყენს გართობა.

(გადიან.)

სურათი III. პარკი

შემოდის ბერონი. მარტოა. ხელში ქალაღი უჭირავს.

1 სასურველი სტუმარი (იტალ.)  
2 უსიტყვოდ (ლათ.)



ბერონი

მეფე ირემზე ნადირობს: მე — საკუთარ თავზე. ისინი ფსიქოპოხვევ მახეს: მე კი თავად ჩავვარდი წებოში და ამოვიფისე. ამოფისვა. რა ბინძური სიტყვაა. რაღას ვიზამ, დამიჭექე, სევდავ! ახე ამბობენო, თქვა მასხარამ, მეც ასე ვამბობ და მეც მასხარა ვარ. წყალი არ გაუვა ამას. ღმერთმანო, სიყვარულს აიპასვივით შედეგა. აიქის ცხვრებს კლავდა, ის კი მე მკლავს — მე ცხვარი ვყოფილვარ. ისევ სწორად ვმსჯელობ. არ მინდა შეეყვარებული ვიყო. თუ ვჭექნო, მზადა ვარ ჩამომასრჩონ. მერწმუნეთ, არ მინდა. მაგრამ მისი თვალები ის თვალეზო რომ არა, არაფრით არ შევფეყვარებდი — მისი თვალეზო, რომ თვალის მე კა მხოლოდ იმას ვაკეთებ, ნაადაგ ვტყუო, ვატყუებ საკუთარ თავს. ღმერთია მოწამე, შეეყვარებული ვარ; სიყვარულმა მიმიჩვია ლექსების წერას და მეღანქოლიას. ამა, აჰა მაქვს ერთი ლექსთაგანი, აქვეა ჩემი მეღანქოლიაც. ერთი ჩემი სონეტი იმას უჭირავს ხელში. მასხარამ გაგზავნა იგი, სულელმა წაიღო და ქალბატონს მიერთვა: საყვარელი მასხარა, კიდეც უფრო საყვარელი სულელი, უსაყვარლესი ქალბატონი. ღმერთმანი არ ვინაღვლებდი, რომ სამივენი ჩემს ღღეში ჩავარდნენ. ერთი მათგანი აქეთ მოდის ქალაღიანად: ოხვრას და კვნესას ნუ მოუშლი, ღმერთო.

(ხეზე აძვრება.)

შემოდის მეფე, ხელში ქალაღი უჭირავს.

მეფე

ოოჰ!

ბერონი

ნამღვილაღ დაჭრილია. არ მოეშვა, ძვირფასო კუბიღონო. მარცხენა ძუძუს ძირში ძვერებია შენი ფრთიანი ისარი. რაღაც ხაიღდუმლოა.

მეფე

(კითხულობს)

აღრიან ღიღით ოქროსფერი სხივები მზისა,  
ვარღს, რომელზედაც მარგალიტად ბრჭყვიაღებს ნამი,  
ვერ უაღერსებს, ვერ კოცნის ისე,  
ვით შენი მზერა ღოყებს ჩემსას, დაცვარულს ღამით,  
ვერცხლი მთვარისა ვერ ჩაატანს სიღრმეში ტბათა,  
ვერ გაანათებს წიაღს წყლისას იმგვარი კღემით,  
ვით სახე შენი, ანთებული ეღვარე ხატად,  
სახე, რომელსაც ირეკლავენ ცრემღები ჩემი.

ხარ ყველა ცრემღში, მე თვალთაგან რომელიც მწყლებღა,  
თითო ეტღია, დაღენიღი, ცრემღი ყოვეღი,  
ყვეღაში ზისარ და სეირნობ შუქთა მთოვეღი  
და ჩემს ცრემღებში მოჩანს შენი ზეიმი, შვებღა.

ნუ შემეყვარებ, სულ მატირე, ვეღარას მარგებ,  
ჩემი ცრემღების დაიტოვე კამკამა სარკე,  
მეფეთა მეფავ; რა საოცარს ატარებ ჭაღოს.  
მოკვღავის ენამ შენი ქება ამაღ სცაღოს.

ვით შიღვანღინო სატრფოს ურვა. ხშირო ფოთღებო,  
თქვენთან დავტოვებ მე ამ წერიღს. თქვენ დაიფარეთ  
სიშმაგე ჩემი. აქეთ ვინ მოღის.

შემოდის ღონგეღი. ხელში ქალაღი უჭირავს.  
ეს ღონგეღიღა? ყური ვუღღო, კითხუღობს წერიღს.

ბერონი

მოკვმატებღა კიღევ ერთი, ჩემსავით შტერი.



ლონგვილი

მე ვარ, ვინც სიტყვას ვაღაფიდა.

ბერონი

ახე უჭირავს

ხელში ქაღალდი, უმბეველად ფიცი გატეხა.

მეფე

შეყვარებულს გავს. ამ სირცხვილში არა ვარ მარტო.

ბერონი

ახეა მუღამ; ლოთი ლოთზე ფიქრობს და დარღობს.

ლონგვილი

წუთუ მარველშია დავარღვიე აღთქმა და ფიცი?

ბერონი

დაწყნარდი. ორი შენნაირი მე თითონ ვიცი.  
შეავხებ ჩვენი სამეული. ხარ ბოლო ძელი  
სახარჩობელისა. ჩამოხრჩობა სამივეს გველის.

ლონგვილი

ვერ შეხძრავს შენს გულს, ჩემი ლექსი ძალზე მდარდა.  
მეუფევე ჩემი სიუვარულის, ჩემო მარია!  
ახლავი დავხევე. ეგებ ჯობდეს მოგწერო პაროზად.

ბერონი

ლექსი სირმაა იმ შარვლისა, ამურს რომ მოხავს.  
არ წაუხდინო სამოსელა.

ლონგვილი

რაც ფეხს ფეხს

(კითხულობს სონეტს)

მჭერმეტყველება ღვთაებრივი, შენი თვალბიხი,  
რომელსაც წინ ვერ აღუდგება ვერარა ძალა,  
ნეტავი ხომ არ მაძალეხდა მე ფიცის დალატს?  
არა ვგრძნობ ცოდვას და არც სასჯელს არ ვემალები.

მე ფიცი დავდე — არ შენახა უბრალოდ ქალი,  
შენ ქალღმერთი ხარ, ვინ დამწამოს ფიცის დაგმობა,  
მიწიერ აღთქმას ღვთაებასთან რა ეხაკმება,  
შენის წყალობით მომცილდება ცოდვა და ბრალა.

ფიცი სუნთქვაა, ხოლო სუნთქვა — ორთქლია ოდენ;  
მზეო მცხუნვარევე, როცა ჩემსას ათბობდი მწაბს,  
შენ ოხვივარი შეისრუტე აღთქმად და ფიცად,  
რომც გატყდეს ფიცი, ვერვიან მტყვეის, რაიმე ვცოდე.  
ბრყვასაც ექნება იმის ჭკუა — სიტყვა არ დამრახ,  
თუკი სამოთხე ეღიარებდა ამ ფიცის ნაცვლად.

მერონი

მონაა კერპის, მისთვის ხორცი ვამხდარა ხატო,  
დანრმავებულა, ეჩვენება ქალღმერთად ხატო.  
კვიშველი ღმერთო, გზას რომ ავცდილი ეს არის ცხადა.

ლონგვილი

ეს ვინ ვაღაცე? ჩუ, მოდიან, ხმა ისმის მათი.



(განყოფილება)

ბერონი

ღამალობანას თამაშობენ. ყველანი ასლა,  
ნახევარღმერთი ვიყო თითქოს, მე ვწვივარ მაღლა.  
ამ საცოდავთა საიდუმლოს მწაღია ნახვა.  
წისქვილს ტომარა მოემატა ო, რა წამია,  
ბა, ღიუმენიც! თეფშზე ოთხი ტყის ქათამია.

ღიუმენი

ო, ღვთაებრივო კატინა!

ბერონი

ო, შე მეტიჩარავ!

ღიუმენი

ვერ ნახავ უფრო ბეროვანს და უფრო ღამაზს.

ბერონი

ხორციელია; არ ჰირღება მტკიცება ამას.

ღიუმენი

თმები იმისი ეღვარებას დაჯახნის ქარვის.

ბერონი

ქვეყნად ყოვანი ქარვისფერი უნახავს არვის.

ღიუმენი

აშოლტილია, ვით კელარი.

ბერონი

იხარე ისემც;

ფეხმძიმელა აქვს თითქოს მხარი.

ღიუმენი

ანთია დღისებრ.

ბერონი

კი ემგვანება თუ ღრუბლიან ამინდში აღრი.

ღიუმენი

ამიხდეს ნატვრა!

ბერონი

ჩემიც გქონდეს, უფალო, ხათრი.

მეფე

ღმერთო კეთილო, მეც მაღირსე წყალობა უენი.

ბერონი

ამინ, მეც ასე! თხოვნას ღოცვაც ასეთი უენის.

ღიუმენი

დავივიწყებდი, მაგრამ სისხლში მიზის ცხელებად,  
ხელმწიფობს ჩემზე, აღარ ვიცი რა მეშველება.

ბერონი

ციებ-ცხელებამ თუ დაგტანჯა, გაუშვი სისხლი,  
საწებლის ჯამში ჩააქციე, თავს ამით იხსნი.

ღიუმენი

ერთხელაც მინდა წავიკითხო ეს ჩემი ოდა.

ერთხელაც ვნახავ, სიყვარულმა რამდენად სცოლა.

დიუმენი

(კითხულობს)

„ერთხელ, ო, ის დღე ხსოვნის ღირსია —  
სიყვარულისთვის სულ მაისია,  
გაშლილ მინდორზე, ბალახთა გვერდით,  
მე დავინახე ყვავილი ერთი.  
მივარდებოდა ნიავი უცებ  
და უკოცნიდა ხავერდის ფურცლებს.  
გახევებული ვიდექი სულმთლად.  
და შევნატროდი ლაფვარდის სუნთქვას.  
— ნეტავ მეც ასე, — აღმომხდა კვნესა, —  
ვეფერებოდე, ო, ლოყებს შენსას.  
მაგრამ მე აღთქმამ შემოიკრა ხელი,  
შენი მოწყვეტა საქმეა ძნელი.  
რად უნდა ფიცი მძიმე და მკაცრო,  
ვარდების კრფა შეშვენის ყმაწვილს.  
შენი გულისთვის, მიყავი მადლი,  
ფიცის გატეხას ცოდვად ნუ ჩათვლი.  
შენს გამო ზევსი — მეუფე ცისა —  
ზანგად ჩათვლიდა მეუღლეს თვისას;  
შენთვის მეფობას დათმობდა ნაცვალს,  
გადიქცეოდა მოკვდავად, კაცად“.  
გავაგზავნიდი. დავურთავდი ორიოდ ფრაზას,  
დამწვარი გული მიჭნურისა აღმოთქვამს რასაც.  
მეფე, ბერონი და ლონგვილი რომ იყვნენ ასე  
შეყვარებული, ვინაღვლებდი, მითხარით, რაზე,  
მომშორდებოდა, სამარცხვინო, შეუბლიდან ლაქა,  
ყველგან მართალი ვიქნებოდი — ექაც და აქაც.

ლონგვილი

(მოუახლოვდება)

ბოროტი ჩანხარ, გულმოწყალე ყოფილხარ ვიღრე,  
მწუხარებაში ამხანაგებს უწყალოდ თორღე.  
გაფითრდი! მე კი დამივლიდა სიწითლე მყისვე,  
ეს რომ მეთქვა და ჩემთვის ყური დაეგდო ვისმე.

მეფე

(მოახლოვდება)

ბოლა, გაწითლდი; დაშავე იგივე შენაც,  
იმას რომ თათხავ, შენ ორმაგი გეკუთვნის წყენა.  
შენ არ იყავი, ვინც მარიას წელან მონებდი,  
შეყვარებულმა რომ უძღვენი სატრფოს სონეტი?  
მკერდზე ვის ეწყო ჭვარდიდან, მითხარ, ხელები,  
რომ დაეჭირა გული ტრფობით განახელები?  
ბუჩქებში ვიყავ დამალული, გავიგე, რაც ხართ,  
თქვენ გაყურებით, ვწითლდებოდი ორივეს ნაცვალად.  
გაკვირდებოდით და ვისმენდი ლექსებს ცოდვიანს,  
ვნებით შეძრულეებს რა ოხვრა და კვნესა გცოდნიათ.  
ერთი „ოჰ“-ს ამბობს, „ო, ზევესო“, მეორე ყვირის.  
ერთ ქალს — ოქროს თმა, თვალნი უგავს მეორეს ირისს.

(ლონგვილს)

ფიცი გატეხე ამქვეყნიურ სამოთხის გამო.





**(დღეებში)**

ზევს აცთუნებდა თურმე თქვენი — ტურფა და ამო-  
ეს გაეგონა, რას იტყოდა ნეტავ ბირონი,  
ფიცის გამტენო, რომ ასეთი ხართ უპირონი?  
გაგამასხრებდათ, დაფრქვევდა ხუმრობას ბლომად,  
უნდა გენახათ მაშინ მისი ხარხარი, ხტომა.  
არ მსურს ქონება, მიჯობს მიწა გამისკდეს მაშინ  
თუ ამლაგვარად ჩავვარდები ბერონის უბაში.

**ბერონი**

**(დაბლა მოცოცავს)**

ღრთა ჩავიდე, ბირმოთნენი დავსაჯო, ვგვემო.  
თქვენთან ბოღში მომიხდია, ხელმწიფვე ჩემო.  
რადგან უყვარდათ, დაგმეთ ორი საბრალო ჭია,  
როს თქვენი გული ტრფობისათვის უფროა ღია.  
თქვენი თვალები ეტლებივით არ იყო განა?  
მათში ცრემლები ირეკლავდა პრინციხას ტანადს.  
ვერ მოგიწონებთ ამ საქციელს, ვერა და ვერა;  
მენესტრელების საქმე გახლავთ სონეტთა წერა.  
არა გრცხვენიათ? არ ხართ სავსე ტანჯვა-ვაებით,  
რომ სამივენი ამ საქმეში ერთად გაებით.  
ერთურთის თვალში ბეწვს ხედავდით ყველანი მცირეს,  
მე სამივეში აღმოვაჩინე ვეება ღირეს.  
ო, ღმერთო ჩემო, რა სულელურს შევესწარ სცენას,  
რა ოხვრა იყო, რა კვენსა და კბილების ღრქენა,  
ძლივს შევაკავე, შემომტყდარმა ტოტზე, სხეული,  
როცა ვიხილე ჩვენი მეფე, კოლოდ ქცეული.  
გმირი მერაკლე ვიოლინოს აწრიანებდა,  
ბრძენი სოლომონ საცეკვაო მოტავს მინებდა.  
ნესტორი ბიჭებს რიკ-ტაფელას ეთამაშებდა,  
ტიმონი ლაღობს, გაიხსენა მანაც ბავშვობა!  
ლიუმენ, მამცნე, ჩემო კარგო, რად ხარ მწუხარე?  
მითხარი, ლონგვილ, სევდას თავი რად მოუხარე?  
მეფეს რაღა ჭირს? მასაც სტიკვა გულ-მკერდის არე?  
ანებებთ წამალს?

**მეფე**

**ხუმრობაა ძალიან მწარე.**

ფარდა ახადე ცოდეებს ჩვენსას, საქვეყნოდ შევრცხვით?

**ბერონი**

ბირაქით, თავად წამიკიდეთ სირცხვილის ცეცხლი.  
არ შემილახავს ღირსება და ხინდისი ოღნავ,  
ფიცის გატეხა ამიტომაც მიმჩინდა ცოლვად,  
თავი მომჭერით, თქვენთან ძმობა აღარ მწაღია,  
თქვენი ხელობა მერყეობა და ლალატია.  
როდის გინახავთ, რომ დამეწყოს ლექსების წერა,  
მეხენემოს ქალზე, ერთი წუთი არ მახსოვს ჭერაც  
სიკობტავეზე დახარჯული. თქვენ როდის მნახეთ,  
შემექოს ქალის — ხელი, ფეხი, თვალი ან სახე,  
წარბი, წამწამი, სიარული, თეძო ან მხარი,  
მკერდი, ბარძაყი —

**მეფე**

წყნარად. მითხარ, ხალ მიიჩქარი?  
მხოლოდ ქურდი და ავაზაკი თუ გარბის ასე.



ბერონი

საფეხურებს შინადა განვრდილო, ნუ დგახართ გზაზე,  
შემოდიან ქაენეტა და გოგრა.

ქაენეტა

ლოცვა-კურთხევა მვენს ხელმოწებს.

მეფე

ხელში რას მალავ?

გოგრა

ჩაღატ ღალატა უნდა აყობ.

მეფე

რა უნდა ღალატს?

გოგრა

ანუ არაფერია.

მეფე

თუ არეიხთვის მოაქვს შიანი,  
შენც და ღალატიც მომწოდით, ვიდრე არას ცდიანი.

ქაენეტა

მოწყულე მეფეც, ამ ბარათის წაკითხვას ველოო,  
რატომღაც ეტყობს, ღალატს ხელაგს ნაწერში მდგდელია

მეფე

ბერონ, წაკითხე.

(ბერონი კითხულობს)

შენ ვინ გაღმობცა?

ქაენეტა

გოგრაა.

მეფე

შენ ვინ გაღმობცა?

გოგრა

ღუნ არზიდიომ, ღუნ არზიდიომ.

(ბერონი ხეგს წერტილს)

მეფე

რა გეზართება? რას ხილმბარ? რატომ ხეგ ქადალდს?

ბერონი

ხიხუღელღა. შიგ ვერაფერს იპოვი ახალს.

ლონგვილი

ღიჩდა წაკითხვა, ვაუბატონი აღელღა რაღატ.

ღიუშენი

(აყრფეს ნაფუშებს)

ბერონის გახლავთ. ხელმოწერაც იყოფენის ბერონს.

ბერონი

(გოგრას)

ჩემდა კირად ხარ გაჩენილი, ტუტუცო, შტერო.  
ღამნაშავე ვარ. ვაღიარებ.

მეფე

ვიდომ რატომო.



ბერონი

მეოთხე ბრიყვი მოგმამათო, ჩემო ბატონო.  
მეც და თქვენც მეფევე დიდებული, ისიც და ისიც, —  
ბაცაცები ვართ სიყვარულს, სიკვდილის ღირსი.  
ყველაფერს გეტყვიო. მოწმეები ზეღმეტი გახლავთ.

დიუმენი

წვეილი ვიქნებით.

ბერონი

მართალია, ოთხნი ვართ ახლა.  
გვრიტებო, წაღით.

მეფე

ბატონებო, იჩქარეთ. მარჯველ!

გოგრა

პატიოსნებო, აიბარგეთ, მტყუანნი — დარჩნენ.  
(ტყენეტა და გოგრა გადიან)

ბერონი

მოდით, ერთმანეთს მივეახლოთ ჩვენ ხაკოცნელად!  
ერთად ვიყავით, როგორც სისხლს და სხეულს შეფერებს,  
ცა სახეს გვიხსნის, ზღვის საქშეა მქცევე-მოქცევა;  
ჭედლის ხისხლი არ დაჰყვება ნებას ბებერებს.  
დაბადებიდან, ჩვენს ბუნებას ერთგულად ვიცავთ,  
არ შევასრულებთ, ფიცი მულამ დარჩება ფიცად.

მეფე

ნუთუ მიჯნურის ბარათია იხ ნაკუწები?

ბერონი

რად მკითხავთ? ვისაც როზალიანს მოუწევს ნახვა,  
მორჩილი მკერდით განერთხმება მიწაზე უცებ,  
როგორც ველურა ინდიელი, მზეს რომ სცემს თაყვანს.  
არწიეს თვალი, ზვიალი და მეფური მზერა,  
მისი ცაურა სახის ხილვა თუკა ენება,  
ბრწყინვალეებისგან დაბრმავდება, მე ასე მჭერა.

მეფე

რა საჭიროა ეს ხიშმაგე და აღტკინება?  
ჩემი სიცოცხლე, ჩემი სატრფო მთვარეა ბაღრი; —  
მასთან ვარსკვლავის შეღარება აღარ გაბედო.

ბერონი

მაშ ბრმა ვყოფილვარ და არაფრის მცოდნია ყალბი.  
არ გათენდება, რომ არ იყოს ჩემი სახედო.  
შეზავებული სილაშაზის ქაღო ფერებით,  
როგორც ბაზრობა, სახე მისი არის მდლდარი,  
ყველა ღირსება ბრწყინავს ერთი მშვენიერებით,  
ვერავინ ნახოს მასში ნაკლი ვერავითარი.  
ოქროპირებო, თქვენი ნიჭი მასხეხეთ დღი —  
თუმც არა ენა მოქარგული დაკარგავს ძალას!  
გჭკარმა აქოს საქონელი, რომელსაც ყიდის;  
ის კი აქარბებს ყველა ხოტბას; შექება ბლალავს.  
ასი წლის მწირსაც, მისთა თვალო დაბუგავს ციცებლი,  
ორმოცდაათ წელს დაიფერთხავს ბეჭები მჩატე.  
ბებრის ყავარჯენს, წამში, ჩვილის აკვანი შეცვლის,  
მშვენიერება აღამიანს ხელახლა ბადებს.  
მზეა ნათელი, არ ჭირდება იმას ქებანი.



მეფე

ებონს მაგონებს სატრფო შენი, შავია ისე,  
ბერონი

ღვთაებრივ ნერგად მიმიღია მაშინ ებონი,  
არ დავიწუნებ, მყავდეს ცოლი ასეთი ხისა.  
მსურს დავიფიცო, მომიტანეთ ბიბლია მალე!  
როგორ ვიწამო მათი ეშხი, მათი სინაზე,  
ვინც არ მიბაძავს ჩემი სატრფოს ცეცხლოვან თვალებს,  
ვისაც სიშავე არ ექნება როზალაინის,

მეფე

პირიქით არის! ჯოჯოხეთის ფერია შავი,  
შავად ზიშნიმებს საპურობილე და ლამე ქუფერი;  
სილამაზე კი ღვთაებრივი ნათელით მყვავის.

ბერონი

ანგელოზს რომ გავს, ის ეშმაკი გვაცოუნებს უფრო.  
თუ სატრფოს ჩემსას სახე შავად აქვს შებურვილი,  
მხოლოდ იმიტომ — გლოვობს: ყალბი თმა და ფერები  
თაყვანისმცემელთ აღანთებენ მძაფრი სურვილით.  
ის გაჩნდა ნიშნად შავი ფერის მშვენიერების.  
ო, იგი შეცვლის დღეის მოღას — ცრუს, სათაკილოს;  
ლოყებლაუღაუას შედეგილიად ჩათვლიან მრავალს;  
მრავალი ქალი, ველარავინ რომ ვერ გაკილოს,  
მიბაძავს მას და შეიღებავს პირსახეს შავად.

დიუმენი

ამიტომ სცხიათ მეტუხრებებს, ეტყობა, მური.

ლონგვილი

მუნახშირენი ბრწყინვალეობას ბაძავენ მისას.

მეფე

ზანგნი სიშავით ტრაბახობენ, წაიღეს ყური.

დიუმენი

არ ხმარობს სანთელს, წყვილიაღს შუქი მიეცა დღისა.

ბერონი

წვიმაში შიშით ველარ გავლენ თქვენი ქალები,  
რომ არ მოშორდეთ საღებავი, წაუხლეთ ნირი.

მეფე

თქვენი ლამაზი წვიმას ნურსად დაემალემა,  
პირდაპირ გეტყვით, არ აწყენდა დაბანა პირის.

ბერონი

განკითხვის დღემდე მის მშვენიერებას შევაქებ მღაგავს.

მეფე

ის დაგაფუთებს იმ დღეს ყველა ეშმაზე მეტად.

დიუმენი

პირველად ვხედავ — აფახებდნენ ამდენად ნაგავს.

ლონგვილი

ღამხედე ფეხზე, მერე სატრფოს შეხედე ნეტარს.  
(იჩვენებს თავის ფეხსაცმელს)



**ბერონი**

შენი თვალებით რომ მოაგო კილითი კიდე  
ქუჩები, იგი ძლივს გაივლის ამაყი რხევით.

**დიუმენი**

ო, მთელი ქუჩა აიხედავს ქვევიდან ზევით,  
თითქოსდა თქვენი ქალბატონი თავდაღმა ვლიდეს.

**მეფე**

ყველა ჩვენგანი, ხომ ცხადია, მიჯნური გახლავთ.

**ბერონი**

სწორედ ასეა; მას ცოდვებიც ვწილთ ზიარი.

**მეფე**

კმარა ლაუბობა; დაგვიმტკიცებს ბერონი ახლა,  
რომ სიყვარული ჩვენი იყო კანონიერი.

**დიუმენი**

მიზეზი გვინდა გამართლების, გვითხარით იგი.

**ლონგვილი**

რამე ისეთი მაგალითი, რომ დავრჩეთ წმინდად;  
გვინდა ეშმაკი გავაცუროთ, გვასწავლე სრკივი.

**დიუმენი**

ცოდვილთ მალამოდ რომ დაეღოთ

**ბერონი**

რამდენიც გინდათ.

ყური დამიგდეთ, რაინდებო სიყვარულითა,  
მოლით, განვსაჯოთ ფიცი ჩვენი, თავდაპირველი.  
რაიც ჩვენ დავთქვით — მარხვა, სწავლა და უქალობა —  
მეფური ყრმობის, უკადრისი არის ლაღატი.  
შეძლებთ კი მარხვას? საამისოდ თქვენი კუჭები  
ძალზე ნორჩია, არ აგცდებათ დასნეულება.  
ო, ბატონებო, როცა ფიცი მიიღეთ სწავლის,  
ყველა თქვენგანმა ჭეშმარიტი უარყო წიგნი.  
გამუღმებული შეგიძლიათ ოცნება, ჰვრება?  
თქვენ ხელმწიფეო, თქვენა და თქვენ, შეიძლებთ განა  
გარეშე ქალის ღვთაებრივი სილამაზისა,  
ბოლომდე ჩაწვდეთ ცოდნის არხის სრულყოფილებას?  
ქალის თვალთაგან მე ამგვარი გამომაქვს აზრი:  
ფუძეა უოვლის, წიგნები და აკადემია,  
პრომეთემ მათში მოიპოვა ცეცხლი ნამდვილი.  
წიგნების ქექვა უთავბოლო, მუდამ კირკიტი  
სიცოცხლეს აუთოხბს, გვეყენება ძარღვებში სისხლი  
ისევე, როგორც მოგზაურსაც ეცლება ქანცი  
და უძღურდება, შორი გზები თუ მოიარა.  
ფიცით, რომლითაც აიკრძალეთ დანახვა ქალის,  
თქვენი თვალების უღალატეთ დანიშნულებას,  
აგრეთვე ცოდნას, თქვენი ფიცის მიზეზთა მიზეზს.  
რომელ მეცნიერს შეუძლია, ქალის თვალებზე  
ღრმად გვაგრძობინოს სილამაზე, მშვენიერება.  
ბოლოსდაბოლოს, ცოდნა ჩვენი დანამატია,  
მუდამ თან დაგვდევს, სადაც ჩვენ ვართ, იქვეა იგიც.  
ამდენად — როცა ქალს ჩაახედავთ თვალებში გზნებით,



განა მაშინვე არ ვხედავთ ცოდნას ხაკუთარს?  
 სწავლაზე აღთქმა დაგვიღია ჩვენ, ბატონებო,  
 ხოლო ამ აღთქმით უარვევად ვიგნებო ჩვენ.  
 ხაღდა მიაგნებთ, ხელმწიფეო, ანდა თქვენ, ირნი,  
 დაჩლუნგებული და მძიმე ჭვრეტით,  
 ცეცხლოვან ლექსებს, ასე უხვად რომ შთაგაგონეს  
 ლამაზ მოძღვართა ეშხიანმა, მწველმა თვალებმა,  
 ზოგა ცოდნა ტლიანა, უქმად ქვედლება ტვინში,  
 უნაყოფოა, მწირო იცის მან მოხაგალი,  
 არაფერს აძლევს ხაზღაურად ნაჭაფარს, მაშვრალს.  
 ის სიყვარული, რომ გვასწავლეს ქალის თვალებმა,  
 რადი ღარჩება მხოლოდ ტვინში გამოკეტილი,  
 ამოძრავდება უმალ ყველა სტიქიის ძალით,  
 ფიქრის სისწრაფით დაუფლის სხეულს.  
 გაგვიორკეცებს უფველგვარ უნარს,  
 რაც მათ თვისებებს გაცილებით აღემატება.  
 ხილვის უნარხაც, გახაფარს, ეს აძლევს თვალებს,  
 შეყვარებულის თვალთა შუქი აბრმავებს არწივს.  
 უმცირეს ბგერებს იჭერს ყური შეყვარებულის,  
 რაც მოღარაჭე ქურღას ხმენას გაუნხლტებოდა.  
 უფრო რბილია სიყვარული და მგრძნობიარე,  
 ვიდრე მოქნილი, რბილი რქები ლოკოინასი;  
 შეყვარებულს გემოვნებით აქარბებს ბახუსს,  
 სიამაღით კი უტოლდება იგი ჰერაკლს,  
 მზად არის, ხეზე რომ აცოცდეს მესხეროდების.  
 გონიერია მსგავსად ხფინქსის; ტკბილმშოვანია,  
 ვით ახოლონის ქნარა, მიხივ თმით გაწყობილი.  
 როცა ღლაღებს სიყვარული, სხვა ღმერთთა ხმები  
 ცაზ აფნანას უგალობენ და აძინებენ.  
 პოეტო კალამს ნელს არ კიდებს საწერად, ვიდრე  
 არ შეერგვა მელანს ოხგრა სიყვარულისა,  
 მერეღა ხიბლავს ლექსი მისი ველურის სმენას,  
 ხასოებას და მორჩილებას უნერგავს ტირანს.  
 ქალის თვალთაგან მერ ამგვარი გამომაქვს აზრი.  
 მათში პრამეთეს ტეშმარტოც ცეცხლს გიზგიზებს,  
 მათშია ჩვენი წიგნები და აკადემია,  
 მათით ხაზრდოობს, მათგან სწავლობს სამყარო მთელი,  
 ვერვინ მიაღწევს მათ გარეშე სრულყოფილებას.  
 სიგჟეთ თუო უარის თქმა, ძმანო, ქალებზე,  
 სიგჟეთ არის ერთგულდება ამგვარი ფიცის:  
 სიბრძნისა გამო, იმგვარ სიბრძნის, რომ უყვარს ყველას;  
 სიყვარულისა, ყველასათვის რომ არის ხათნო;  
 კაცების გამო, ეს ქალები რომეღთაც შექმნეს;  
 ქალების გამო, კაცობა რომ გვადირსნეს კაცებს—  
 დავთმით ეს ფიცი და ჩვენ ჩვენი ვეპოვოთ თავი,  
 თუ შევიანხეთ, ხაკუთარ თავს დავკარგავთ მაშინ.  
 კურთხეულია აშნაირი ფიცის ღლატი.  
 ჩვენზე სიკეთე, მოწყალება მიიღო ზენამ,  
 ვის გაუყვია მოწყალება და სიყვარული.

მეფე

კუბიდონს ვუხმობი ბრძოლის ველზე, ჯარისკაცებო!

ბერონი

დროები მაღლა შეტევაზე გადახვლა გვმართებს;  
 ძირს დავცემთ ყველას. ამ უღმობელ შეტაკებაში—  
 უნდა გვახსოვდეს — ჩვენი მტრების მზე დავაბნელოთ.



გვეყო ლაუხობა; გადავწყვიტოთ გვინდა თუ არა—  
ფრანგის ქალებთან გაარშეყება.

**მეფე**

გვინდა და კიდევ გავიმარჯვებთ. ხოლო მანამდე  
მათ გახართობად მოგვენახა იქნებ რაიმე.

**ბერძენი**

ზარეულ ყოფილია, გაცილებსა გვმართებს ქალებს;  
თითოეულმა მამაკაცმა მოკიდოს ხელი  
თავის მშვენიერს. ხოლო ხალხის  
რამე უცნაურ გახართობით შევიქცევთ ყველას,  
ამ მოკლე დროში რაც მოხერხდება.  
ღმინო, ცეკვა და მახკარადი, მარად და მარად,  
უძღვის სიყვარულს და გზას მისას ვარდებით ფარავს.

**მეფე**

აბა, წავიდეთ! ნუ დავკარგავთ, დრო რასაც ბჭვია,  
გამოვიყენოთ იგო, ვიდრე არ არის გვიან.

**ბერძენი**

Allons! Allons! იფქვს ვერ მოიშკის, ვინაც ღვარძლი დაუთესია,  
ხახორი მუღამ ზუსტი გახლავთ მართლმსაჭულებს.  
კაბა ერგება მოლაღატის, ძველი წესია,  
ეს უყილი ხაგანდური ხურდა ფულებით.

**(დადიან)**

1 **წიგნი (გრძელ.)**

ანტიკომუნისტური თარგმანი მშენარ კვიციანიძისა.

გაბრიელა იანა



უილიამ ზემსპირი

## აქამო გარჯა სიყვარულისა

მოკმედეგა მისუთი

სურათი I. პარკი.

შემოდინ ჰოლოფერნი, ნათანიელი და რეგვენი.

ჰოლოფერნი

**Satis quod suppicit!**

ნათანიელი

მადლობას ვწირავ უფალს თქვენი შექმნისათვის, სერ. სუფრაზე გამპრიახი და კეუსი სასწავლი იყო თქვენი საუბარი; საამო, გარეშე უხეშობისა, გონებაშეხილური, გარეშე გაქაქვისა, გაბედული, გარეშე თავხედობისა, განბმნობილი, გარეშე თავდაჭერებისა, მოულოდნელი, გარეშე ერესისა. ამას წინათ Quondam<sup>2</sup> მეფის ერთ ახლობელს ველაპარაკებოდი, რომლის სახელია, რომელსაც ჰქვია თუ ეწოდება დონ ადრიანო დე არმადო.

ჰოლოფერნი

Novi hominem tanquam te<sup>3</sup>. ზეიადი ბუნებისა, მტყუველება შეუვალი აქვს, ენა — აღესილი, გამოხედვა — მედიდური, სიარული ამპარტავნული. საერთოდ, მთელი მისი საქციელი პატივმოუვარული, ქარაფშუტული და ყოუოჩურია. იგი მეთისმეტად თავმოწონე, მეთისმეტად გამოწეპილი და გაფხორილი, მეთისმეტად უცნაური, და თუ შეიძლება ასე ითქვას, მეთისმეტად გაუცხოელებულია.

ნათანიელი

რა საუცხოო, რა მოხდენილი ებითეთია.

(იწერს თავის უბის წიგნაკში)

ჰოლოფერნი

მისი სიტყვამრავლობის ძაფი უფრო მოქნილია, ვიდრე მისივე მტკიცებათა თავი და თავი. მძაგს ასეთი უჯიათი მეოცნებენი, ასეთი გულჩათხრობილი და მოკირკიტე მოსაუბრენი; ამგვარი დამსახირებლები მართლწერისა, „სწავლის“ მაგივრად „სტავლას“ რომ ამბობენ, „ბავშვის“ მაგივრად „ბავშს“ წარმოსთქვამენ, „ვაჟაკის“ მაგივრად „ვაშაკს“ ბლუკუნებენ, „მასპინძელის“ ნაცვლად „მინძე-

1 კმარა, რაც საქმეთა (ლათ.).

2 როგორღაც (ლათ.).

3 მაგ კაცს შენწავით ვიცნობ (ლათ.).



ლის“ გაიძახიან; „პატივცემულს“ ასე ამოკლებენ — „პატ.“ ეს პირ-  
დაპირ საწინდრობაა (ისინი აღბათ „საინდრობას“ იტყოდნენ), **რა**  
საც მე სიგჟემდე მივყავარ: ne intelligis, domine? მრევს, **კაჟ**  
დან მშლის.

ნათანიელი

**Laus Deo, bone intelligo.**

ჰოლოფერნი

**Bone? Bene-**ს მაგივრად **bone**. პრისციანე დაგეჩაგრა, მაგრამ  
არა უშავს, გაუძღვებს.

(შემოდინ არმადო, ფარვანა და გოგრა)

ნათანიელი

**Vedesne, quis venit?**

ჰოლოფერნი

**Video et gaudeo.**

არმადო

(ფარვანას)

ვაზბატონო!

ჰოლოფერნი

**Quare?** ვაზბატონო და არა ვაზბატონო?

არმადო

კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა, მშვიდობიანო ხალხო.

ჰოლოფერნი

მოგესალმებით, მეომარო რაინდო.

ფარვანა

(გოგრას)

ესენი, ეტყობა, დიდ სიტყვიერ ლხინში არიან ნამყოფი და იქ  
აწაპნეს ნამცეცები.

გოგრა

ო, ესენი კარგა ხანია სიტყვიების ხურჯინიდან ნაყარ-ნუყარათი  
ნაყრდებიან. მე ის მიკვირს, სიტყვის მაგივრად, რატომ შენ არ ჩაგუ-  
ლაპა შენმა პატრონმა. შენ ხომ მთელი თავით ნაკლები ხარ ამ სიტყ-  
ვაზე — *honorificabilitudinitatibus*.<sup>8</sup> შენ მაინც უფრო იოლი ჩასაყ-  
ლაპი ხარ, ვიდრე ანთებული ქინწილი.

ფარვანა

ჩუმად, შეტაკება იწყება.

არმადო

(ჰოლოფერნს)

**Monsieur**, მიბრძანეთ, თქვენ ხომ წიგნიერი კაცი ბრძანდებით?

ფარვანა

რა თქმა უნდა ბაღდებს ანბანს ასწავლის. რა გამოვა ე და ბ შებ-  
რუნებით რომ დაეწეროს და რქები მივუხატოთ?

<sup>4</sup> გესმით, ბატონო ჩემო? (ლათ.).

<sup>5</sup> მადლობა ღმერთს, მშვენივრად მესმის (ლათ.).

<sup>6</sup> ხედავ. ვინ მოდის? — ვხედავ და მიხარია (ლათ.).

<sup>7</sup> რატომ? (ლათ.).

<sup>8</sup> ლათინური სიტყვიების უაზრო ჯამი.



პოლოფერნი

ბე, Pueritia,<sup>9</sup> თუკი რქები მივუხატეთ.

ფარვანა

ბეე, ბრიყვი ცხვარი, რქებიანი. ხედავთ მაგის განსწავლულობას.

პოლოფერნი

Quis, quis?<sup>10</sup> ვინ იგულისხმე ამ თანხმირებაში?

ფარვანა

ბოლოდან მოყვით და სამი ხმოვანი ჩამოთვალეთ. დანარჩენ ორს მე ვიტყვი.

პოლოფერნი

ახლავე მოგახსენებთ: უ, ო, ი.

ფარვანა

ე და ა. თქვენ დაგრჩათ რქა.

პოლოფერნი

ხმელთაშუა ზღვის ტალღების სიმლაშეს გეფიცებით, საუცხოო დარტყმა, სხარტი გამოხდომა გონებამახვილობისა — თვალის დახამხამება და მიწანშია მოხვედრილი. დიდად მახარებს ასეთი რამ. მესმის გონებამახვილობა!

ფარვანა

ყმაწვილმა გონებამოჩლუნგებულ ბერიკაცს რომ შესთავაზა.

პოლოფერნი

რა იგულისხმება ამ გადაკრულში?

ფარვანა

რქები.

პოლოფერნი

რა ბავშვურად მეტიტინები. წადი, ჩიკორი ატრიალდე.

ფარვანა

რქა მათხოვეთ და გამოვჩორკნი. Circum circa<sup>11</sup>. ვატრიალდე თქვენს სირცხვილს — კარგი რამ იქნება რქიანის რქისგან გამოთლილი ჩიკორი.

გოგრა

ერთი პენსიკ რომ გამაჩნდეს, ნამცხვრის ფულად მოგცემდი. აჰა, გამომართვი შენი ბატონის ნაბოძები გასამრჯელო. შენი იყოს, ტვინის გროშიანო ქისავ. მტრედის კვერცხო გონიერებისავ, ო, ნეტავ ღმერთს ენებებინა და თუნდაც ნაბიჭვარი ყოფილიყავი ჩემი — რას გაამხიარულებდი მამიკოს. გასწი! ჭკუა ისე გადაგდის, როგორც ნების გორა, სხვებს რომ თავში უდევს, იმდენი ფრჩხილში გაქვს, როგორც იტყვიან.

პოლოფერნი

ო, ჩემს ყურს ჩიქორთული ლათინური მოხვდა; ad unguem<sup>12</sup>-ის ნაცვლად — „ნების გორა“.

<sup>9</sup> ბავშვობა (ლათ.).  
<sup>10</sup> ვინ (ლათ.).  
<sup>11</sup> ირგვლივ (გარშემო). (ლათ.).  
<sup>12</sup> საესე (ლათ.).



არმადო

ბრძენკაცო, praeambula;<sup>13</sup> გავშორდეთ ამ ტუტუცებს. თქვენ ახწავლით იმ საქველმოქმედო სახლში, გორაკზე რომ დგას?

პოლოფერნი

ანდა mons, მალლობზე.

არმადო

თუკი თქვენ გესიამოვნებათ, ბორცვიც იყოს.

პოლოფერნი

ვასწავლი, sans question.<sup>14</sup>

არმადო

ხერ, მეფის უნეტარის სურვილი ვახლავთ, ნიშნად კეთილგანწყობისა და თავაწიანობისა, პრინციპს მისხავე კარავში მიესალმოს, დღის დასაღიერს, რასაც ბრბო ხალამოს ეძახის.

პოლოფერნი

დღის დასაღიერი, თქვენო კეთილშობილებავ, ზუსტი, შესაფერი-სი და ზედგამოჭრილია სადამოზე. სიტყვა საუცხოოდაა მოძებნილი, შერჩეული, საამოა და მოხდენილი, გარწმუნებთ, გარწმუნებთ.

არმადო

ხერ, მეფე კეთილშობილი რაინდი და ჩემი უახლოესი, მერწმუნეთ, ჩემი განუყრელი მეგობარია. ჩვენს სიახლოვეზე აღარ გავაგრძელებ სიტყვას. გთხოვთ ნუ იჩენთ ზედმეტ მოკრძალებას. გთხოვთ დაიხუროთ ქუდი. გადაუდებელი და საქმიანი საუბრების დროს, რომელთაც, შერწმუნეთ, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. თუმცა თავი დავანებოთ ამას. იმასაც მოგახსენებთ და კიდევაც დავიფიცავ, რომ მის უდიდებულესობას ხანდახან სიამოვნებას გვრის ჩემს უზადრუქ მხარზე დაურდნობა და თავისი მეფური თითებით აი ასე ეთამაშება ჩემს სახეზე წამოზრდილ ბალახ-ბულახს, ჩემს mustachio<sup>15</sup>-ს; თუმცა, ჩემო კეთილო, ამასაც მოვეშვათ. გეფიცებით, ზღაპრებს არა ვუვები. მისმა უდიდებულესობამ მრავალი და საგანგებო პატივი მიაგება თავის არმადოს, კაცს მეომარსა და მოგზაურს, მთელი ქვეყანა რომ შემოუვლია. მაგრამ ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. ყველაზე მთავარი ის არის, — გემუღარები, ჩემო ძვირფასო, ეს ამბავი საიდუმლოდ დარჩეს, — რომ მეფე მოწადინებულია, რათა მე პრინციპს, ამ მომხიბლავ ჩიტუნას, რაიმე წარმტაცი სანახაობა, წარმოდგენა, დღესასწაული, მიმოსობა ან ფეიერვერკი გავუმართო. ამდენად, რაკი უფრო მოვკარით, რომ მღვდელსა და თქვენ, ჩემო კარგო, გეხერხებათ ამნაირი თავაწყვეტილი და მჩქეფარე მხიარულება, გადავწყვიტე გაცნობილით და დახმარება მეთხოვა.

პოლოფერნი

ხერ, თქვენ შეგიძლიათ პრინციპს წარმოუდგინოთ „ცხრა გმირი“. მამო ნათანიელ, რამდენადაც ლაპარაკია წარმოდგენაზე, დღის დასაღიერს მოსაწყობ სანახაობაზე, რომელიც ჩვენი მონაწილეობით, მეფისა და ამ დახვეწილი, სახელოვანი და უგანათლებულესი დიდებულის ნებით, პრინციპს წინაშე უნდა წარმოვადგინოთ, „ცხრა გმირზე“ უკეთესს, ჩემის აზრით, ვერაფერს შევარჩევდით;

13 ჩაუარე (ლათ).  
14 უეჭველად (ლათ).  
15 წვერულვაში (ესპ.).

ნათანიელი

მერედა სად იშოვით იმნაირ ხალხს, ეს ვმირები რომ განახაზიერონ?

პოლოფერნი

იესო ძე ნავესი — თქვენ იქნებით; ალექსანდრე — მე; ეს ბრწყინვალე რაინდი — იუდა მაკაბელი, ეს გლეხუჭა თავისი მოსახლეშინდი კიდურების ანუ ტან-ფეხის გამო პომპეუს დიდის მაგვირობას გასწევს; პაუი — ჰერაკლე იქნება.

არმადო

მაპატიეთ, სერ; გეშლებათ: პაუი ხომ ამ ვმირთა-ვმირის ცერის-ტოლაც არ არის. მისი კვერთხის წვერზეც პატარაა.

პოლოფერნი

ინებებთ თუ არა უურის დაგდებას? იგი წარმოგვადგენს ჰერაკლეს პატარობას. მთელი მისი როლი გველის დახრობა იქნება. ამ შემთხვევისთვის მე მზად მექნება აპოლოგია.

ფარვანა

საუცხოოდ მოგიფიქრებიათ! თუ რომელიმე მაყურებელთაგანი დამისტვენს, თქვენ ამ დროს დაიუვირებთ: „უოჩად, ჰერაკლე; შენ უკვე გველს ახრჩობ!“ ამგვარად, წუენას სიამოვნებით შემიცვლით, ჩიისი გაკეთებაც ძალზე ცოტას შეუძლია.

არმადო

დანარჩენ ვმირებს რაღა ვუყოთ?

პოლოფერნი

ჩემდათავად სამს ვითამაშებ.

ფარვანა

სამგზის ვმირი რაინდი!

არმადო

ვითხრათ ერთი რამე?

პოლოფერნი

ვისმენთ.

არმადო

თუ ჩავვივარდა, პანტომიმა ვავითამაშოთ. ვთხოვთ მრმუყეთ.

პოლოფერნი

Via,<sup>16</sup> პატივცემულო გოგრა! ამ ხნის მანძილზე შენ სიტყვა არ დაგადრავს.

გოგრა

არც არაფერი გამიგია, სერ.

პოლოფერნი

როგორმე შევძლებთ შენს გამოყენებასაც.

გოგრა

მე შემიძლია როკვა, თამაში, ცეკვაში არ მყავს ტოლი, მუსხვე ფერხულში ჩავაბამ ვმირებს თუ ვავახურე დოლი.

პოლოფერნი

გასწი, სულელლო პატიოსანო, სცენას ავარდეს ბოლი.

(დადიან)

<sup>16</sup> დავიძრათ. (იტალ.).



პრინცესა

ჩვენ გავმდიდრდებით, ვიდრე წასვლის დამდგარა უამი, საჩუქრებს კვლავაც ასე უხვად თუ მოგვიძღვნიან. უღელმდე ჩაგვხვეს ბრილიანტებში. დახედეთ, მეფე რას მიგზავნის, შეუყვარებული.

როზალაინი

ნეთუ საჩუქარს არაფერი არ მოაუოლა?

პრინცესა

როგორ თუ არა! სიუვარული, ნათქვამი ლექსად, რისი დატევაც ფურცელმა შესძლო. გავხებულაა ორი გვერდი, მინდორი, არე, სადაც წერია „კუპიდონი“, ზედ ბეჭედი.

როზალაინი

თაფლის სანთელზე აღბეჭდილა ღვთაება ნორჩი, ხუთი ათასი წლისა გახლავთ უმწველი ჩვენი.

კეთრინი

ეშმაკის კერძი, ჩამოხრჩობის ღირსია სწორედ.

როზალაინი

შენ და მოგიკლა კუპიდონმა, მტერი ხარ მისი.

კეთრინი

მძიმე ნაღველი შთაუნერგა, დარდი, მოწყენა და მოკვდა ასე. უოფილიყო თქვენებრ მსუბუქი, თქვენსავით მკვირცხლი, მხიარული, დაუდგრომელი, იგი ბებია მოკვდებოდა. ეს თქვენ მოგიწევთ; დიდხანს ცოცხლობენ პატრონები მსუბუქი გულის.

როზალაინი

სიტყვა „მსუბუქში“ ბნელი ჩასდებ, გეტყოზა, აზრი.

კეთრინი

მსუბუქი ქცევა სილამაზეს აბნელებს ნეტარს.

როზალაინი

მეტი სინათლე, რომ ნათქვამის შეეძლო მიხვედრა.

კეთრინი

ამასობაში, იმდენს იზამთ, ჩააქრობთ სანთელს და დასრულება ჩემი სიტყვის მომიწევს ბნელში.

როზალაინი

საქმე უოველი სიბნელეში გიკეთებია.

კეთრინი

თქვენ მსუბუქი ხართ და არ ძალგიძთ მოქცევა ასე.

როზალაინი

ჰო, მსუბუქი ვარ, რადგან ნაკლებს ვიწონი თქვენზე.

კეთრინი

როდის უოფილა რომ ამწონეთ? თავს ნუ იწუხებთ.



როზალინი

აი, საწყუენი საზრუნავი ჩემიც მეყოფა.

პრინცესა

შესაფერი ხართ ერთმანეთის. ეს შენლაც კარგად გაითამაშეთ. შენაც გერგო, ვიცო, წყალობა, რაა და ვისგან, როზალინი?

როზალინი

ახლავე გიტყვით.

მე რო მქონოდა სიღამაზე თქვენი სადარი, ძღვენსაც უკეთესს მივიღებდი: დახედეთ, ნახეთ; ლექსია მხოლოდ, ამისთვისაც მადლობა ბერონს. არ არღვევს საზომს, ასეთივე სწორი რომ იყოს, რაც შიგ წერია, მე ქალღმერთი ვყოფილვარ მაშინ. ათას მშვენიერს, მზეთუნახავს მადარებს იგი. ო, ამ წერილში მოუხაზავს ჩემი პორტრეტი.

პრინცესა

მერედა თუ გვავს?

როზალინი

გარეგნულად, არა — ღირსებით.

პრინცესა

ღამაში ხარო მეღანივით — კარგი რამ არის.

კეთრინი

და მშვენიერი ისე, ვით მ ასომთავრული.

როზალინი

შენს ვალს საფლავში არ ჩავიტან, მიფრთხილდი, ნაზო, ჩემო წითელო კალენდარო და ოქროს ასოვ: ო, სახე როგორ დაგფარვია ამდენი ო-თი!

კეთრინი

შავი უვავილი ხუმრობისთვის, წუველა და შფოთი!

პრინცესა

შენ რა მოგიძღვნა დიუმენმა? თქვი, ნულარ მალავ.

კეთრინი

ეს ხელთათმანი, ქალბატონო.

პრინცესა

წყვილად თუ ცალად?

კეთრინი

წყვილია. რატომ დავუვიწყო ნამაგარი, ვებერთელა სატრფიალო ლექსიც აქ არი: პირმოთენობა უსაშველო მოდის ზღვახავით, ბრძნული აზრების და სიბრიყვის არის ნაზავი.

მარია

მე კი ლონგვილი უძვირფასეს მარგალიტს მიძღვნის, ბარათი მისი კილომეტრი იქნება სიგრძით.

პრინცესა

მიხვედრა შენი სურვილისა არ არის ძნელი, გერჩივნა, მძივი რომ მიგიელო წერილზე გრძელი.



მარია

ო, იმოდენა, ვერ იტყვადეს ორივე ხელი.

პრინცესა

მათ მახსრად ვიგდებთ, ჭკუით სავსე ჩვენ ვართ ქალები.

როზალინი

დე ხარჯონ ფული, სულელები არ გვებრალება.  
გამგზავრებამდე იმ ბირონის მინდა წვალება.  
ჩამავდებიან იგი ხელში თუნდ ერთი კვირა,  
სულ ვახობები, ვახვეწები დაცემულს, შტირალს, —  
დრო შეერჩია, შთაგონებას რომ ემონება,  
ფუჟე ლექსებზე დაეხარჯა ჭკუა-გონება.  
ჩემზე იზრუნებს დღენიადაც, არ უნდა დავა,  
ეს სამსახური სააჟაოდ დარჩება თავად.  
ო, ვისურვებდი, მასზე ძალა მქონოდა მეტი,  
თითონ თოჩინა უოფილიუო, მე — მისი ბედი.

პრინცესა

უფრო იოლი მოსათოკი არავინ არი,  
ვიდრე ჭკვიანი, ვისაც თავში დაუვლის ქარი  
და კარგავს ჭკუას. სიბრძნეს სკოლა აუენებს გზაზე,  
გონების შუქი სწავლულ სულელს ამშვენებს ასე.

როზალინი

უმაწვილებს ისე არ უბორგავთ სისხლი სრულიად,  
რამდენად ზრახვა უფროსების ავხორცულია.

მარია

სულელზე უფრო ნაკლებ იტყვი სულელი თუა,  
ვიდრე ბრძენკაცზე, ვინც კარგავს ჭკუას,  
სიბრძნის მოხშობა ძველებურად თუმცა სწადია,  
გამოლენჩება მისი, ამ დროს, უფრო ცხადია.

შემოდის ბოიქტი

პრინცესა

ბოიქტი მოდის, უხარია რაღაცა დიდად.

ბოიქტი

მოვკვდი სიცილით, პრინცესასთან შეხვედრა მინდა.

პრინცესა

რა ამბავია?

ბოიქტი

მოემზადეთ, იარაღს ხელი!

ჩქარა, ქალებო, თქვენს სიმშვიდეს ზიფათი ელის.  
ცოდნის ნიღბები მოლაშქრებებს სახეზე აკრავთ,  
მოდან, უცებ რომ დაგესხან, დაუხვდით მაგრად.  
მოუხმეთ ჭკუას! თქვენ საომრად აქვე დარჩებით,  
ანდა ბრძოლის ველს მიატოვებთ, როგორც ღაჩრებო.

პრინცესა

წმინდა დენისი ეომება კუპიდონს წმინდას,  
ვინ გვემტერება, თქვი, მსტოვარო, გაგება გვინდა.

ბოიქტი

ნეკერჩხლის ძირას წამოვწევი, მოვანებ ჩრდილი,  
თვალს მოვატყუებ, გავიფქვებ, მცირე ხნის ძილით;  
და ის-ის იყო, თავი მივდე მიწაზე მხოლოდ,

ფეხისმა მესმა, ჩემს განცხრომას მოეღო ბოლო;  
ჩემკენ მოდიან ხელმწიფე და მისი ამაღლა,  
უმაღლე ბუჩქებს მივაშურე, ახალ სამალავს.  
რაც მოვისმინე, არ დავმალავ იმას სრულებით,  
აქ გაჩნდებიან, სადაცაა, შენიღბულები.  
მათი მაცნეა მშვენიერი, ცულლუტი პაუი,  
გაწაფულია, ელჩად მოდის, წყენს ადენს ქვაში.  
ასწავლეს ქცევა და გამოთქმა, სხვანი და სხვანი.  
ასწავლეს — რა თქვას, როგორ უნდა ექიროს ტანი  
ამასთანავე, მათ განზრახვას ეს შიშიც ახლავს —  
არ დააზნოს ბიჭი თქვენი მშვენიების ნახვამ.  
თქვა მეფემ: „ნახავ, ანგელოზად რომელიც იშვა,  
თამამად იყავ, ენა რომ არ წაგართვას შიშვა“.  
მიუგო ბიჭმა: „ანგელოზის შევძლებ ატანას,  
მთავარი არის, არ აღმოჩნდეს იგი სატანა“.  
ბევრი იცინეს, ბევრი აქეს, მხარს ხელი დაკრეს,  
მამაც ხუმარას სიმამაცე შემატეს აგრე.  
ერთი ზითხითი იფიცავდა, იფხანდა იდაუვს:  
არა თქმულია მსგავსი რამე გაჩენის დღიდან.  
მეორემ დიდხანს ატაკაუნა ჭაერში ცერი,  
თან გაჰყვიროდა: „Vial ვერას დავგაკლებს მტერი“.  
მესამე ხტოდა: საქმეს კარგი უჩანსო პირი,  
მეოთხემ ლამის მოინდომა გაქიშვა უირის.  
მერე გაგორდენ, ფეხზე აღარ შეეძლოთ დგომა,  
დაოსდენ, გული შეუღონდათ, იცინეს ბლომად,  
ამდენ სიცილში მოეძალათ ნაღველი მწარე  
და მოხდა ისე — ბოლოს მართლა ცრემლები დვარეს.

#### პრინცესა

მოვლენ თუ არა? გავიხეიქე ყველას გულები.

#### ბოიეტი

უთუოდ მოვლენ. იქნებიან, თუ არა ვცდები,  
მოსკოველებად, რუსებზე თუ მოკავშირეები.  
მათ მუსაიფი, არშიუობა, ცეკვა ინდომეს;  
თვითეულს უნდა სიყვარული და რაინდობა  
აჩვენოს რჩეულს. ქალებს უმაღ იცნობენ, რადგან  
ხელში საჩუქარს უნახავენ, ბოძებულს მათგან.

#### პრინცესა

ასე ფიქრობენ? ვნახოთ ვისი დასძლევს გონება,  
ყველამ ნიღბები გავიკეთოთ, ქალბატონებო:  
რაგინდ გეხვეწონ, არ იფიქროთ ნიღბის აცლა,  
სახე ვერ უნდა დავინახოს ვერცერთმა კაცმა.  
ჰა, როზალაინ, დაიპირე ეს ჩემი ძღვენი;  
იხილავს მეფე, მოუნდება აღერსი შენი;  
შენსას მე მომცემ, თუ გავცვალებ ახე ძღვენები,  
როზალაინად ბერონს მუსხვე მოეკრევენები.  
თქვენც არ გაწუნდათ, მეგობრებო, ავგარი გაცვლა,  
ერთი დაგიწუებთ არშიუობას მეორის ნაცვლად.

#### როზალაინი

უნდა იხილონ საჩუქრებმა სინათლე მზისა.

#### კეთრინი

ხომ ვერ გვეტყოდით ამ გაცვლის მიზანს?





პრინცესა

მიწანი ჩვენი ჩაფუშვა იმათი მიწნის.  
ჩვენი დაცინვა გადაწვიტის და ლაფის დასხმა,  
იქეთ ვასწავლით — როგორ უნდა ავღება მასხრად.  
რა დარჩენიათ, გადაუსხნან უნდა გულგბი  
ცრუ შეუვარებულთ, არ ასცდებათ გაამაჰულება,  
კვლავ შეხვედრისას გავამასხროთ მათი ზრახვები,  
როს თავს დავუკრავთ და უნიღბოდ დავენახვებით.

როზალანო

ცმკვა თუ გვთხოვეს, ხომ დავთანხმდეთ, ხომ არა გვიჭირს.

პრინცესა

უმალ სიკვდილი ამჯობინეთ, არ გადავთ ბიჭი.  
ქათინაურებს დაგაყრიან უაღბს და გაცვეთილს;  
აქციეთ ზურგი, ხმას არ გასცემს თქვენგან არცერთი.

ბოიეტი

ამგვარი ზიზღი მოსპობთ, გულსაც სასტიკად ვატყენთ.  
დაავიწულებათ, ვერ იტყვიან თავიანთ სათქმელს.

პრინცესა

სწორედ ეს მინდა. ოდნავადაც არ შეეკვება —  
როლში თუ ერთხელ დაიბენი, იცის შეჩვევა.  
სიამოვნება უდიდესი არის ამაში,  
როცა სხვის თამაშს გაახუნებ შენი თამაშით.  
წინასწარ დათქმულს, მათ განზრახვის მასხრად ავიგდებთ,  
სირცხვილნაქამებს გავაბრუნებთ უკან რაინდებს.

(სცენის სიღრმიდან ისმის საყვირის ხმა.)

ბოიეტი

საყვირის ხმა. აიფარეთ ნიღბები ჩქარა.

(ქალები ნიღბებს იყეთებენ),

შემოდან შეგვანიანი მუსიკოსები, ფარვანა, როგორც დამწყები;  
მეფე და მისი დიდებულები ნიღბებში არიან, რუსული ტანსაცმელი  
აცვიათ.

ფარვანა

„სალამი ძვირფას სილამაზეს ამა მიწისა!“

ბერონი

სილამაზეზე ძვირფასია ფარჩა-ატლასი.

ფარვანა

„უმშვენიერეს ბანოვანთა წმინდა კრებულო“...

(ქალები ზურგს შეაქცევენ მას).

„რომელმაც ზურგი შეაქცია მოკვდავთა მზერას“...

ბერონი

თვალნი, შე არამზადავ, თვალნი.

ფარვანა

„რომელმაც თვალნი შეაქცია მოკვდავთა მზერას.  
ძა...“

ბოიეტი

ძალიან კი გაუტეე შენ.

ფარვანა

ძაღლო ზეცისანო, ისმინეთ ვედრება,  
დასშეთ...“



ბერონი  
 გახსენით, გაიძვერაჯ.  
 ფარვანა  
 გახსენით სხივოსანი თვალეზი,  
 სხივოსანი თვალეზი.

ბოიეტი  
 ამაოდ ელი გამოძახილს ამ ეპითეტზე,  
 „ქაღწუღებრივი თვალეზი“ ჯობდა.  
 ფარვანა

უპურს არ მიგდებენ, ამიტომაც ვიზნევი აგრე.  
 ბერონი  
 ესა ხარ მხოლოდ? სალახანავ, მომწყუდი თავიდან.  
 (ფარვანა შიღის).

როზალანინი  
 ბოიეტ, რა სურთ უცხოელებს, გაგვაგებინე,  
 თუ მათ იციან ჩვენი ენა, კარგი იქნება,  
 ერთმა მათგანმა ამ სტუმრობის გვამცნოს მიზანი.  
 ჰკითხე, რა უნდათ.

ბოიეტი  
 თქვით, რა გნებავთ პრინციპსაგან?

ბერონი  
 მხოლოდ მშვიდობა და მიღება თავაზიანი.

როზალანინი  
 რაო, რა უნდათ?

ბოიეტი  
 მხოლოდ მშვიდობა და მიღება თავაზიანი.

როზალანინი  
 უკვე მივიღეთ. შეუძლიათ გაბრუნდნენ უკან.

ბოიეტი  
 მიღებას მოვრჩით, დრო არისო თქვენი წასვლისა.

მეფე  
 ასე უთხარი, დაჯეცეთ-თქო მრავალი მილი,  
 რომ მასთან ერთად ამ მინდორზე ჩაგვევლო ცეკვით.

ბოიეტი  
 ასე ამბობენ, დაჯეცეთო მრავალი მილი,  
 რომ თქვენთან ერთად ამ მინდორზე ჩაველოთ ცეკვით.

როზალანინი  
 არ მჭერა რაღაც. შეეკითხეთ თუ რამდენ დუიმს  
 შეიცავს მილი. ვინც მრავალი გამოიარა,  
 იოლად იტყვის ერთი მილის განზომილებას.

ბოიეტი  
 მრავალი მილი რადგან ფეხით გამოგვიღიათ  
 აქეთ მომავალთ, პრინციპს სურს გაიგოს თქვენგან  
 თუ რამდენ დუიმს შეადგენს მილი.

ბერონი  
 დაღლილი ბიჭით ვუმოვადით-თქო, გადაეც ასე.



პრინციპსა გისმენთ.

ბოიქტი

როზალაინი

თქვით, რამდენი დაღლილი ბიჭი  
გადართვალეთ იმ მრავალი მილიდან ერთში  
გზაზე, რომელიც ასე ტანჯვით გამოგივლიათ.

ბერონი

თქვენზე დახარჯულს არააოდეს არაფერს ვითვლით.  
მოვალეობა გვაქვს იმდენად უხაზღვროს, უხვი,  
რომ შეგვიძლია დაგაზარაოთ უანგარიშოდ.  
გაგვხადე ღირსი, დავინახოთ შხეხაზე შენი,  
რათა დავემხოთ, თაყვანიც გცეთ ვით ველურებმა.

როზალაინი

ო, ხახე ჩემი მთვარეა ოდენ, თანაც ღრუბლები ფარავს.

მეფე

მე იმ ღრუბლებად მაქცია ნეტავ, სხვას ვინატრებდი არას.  
ნათელს მთვარევ, თქვენც ვარსკვლავებო, გამოანათეთ მალე  
და ღვთაებრივი აღირსეთ შუქი სევდიან, წულიან თვალებს.

როზალაინი

თუ თხოვნა არის, რამე მეტი ითხოვე ბარემ;  
ემუდარებო, რათა წყალში იშოროს მთვარემ.

მეფე

რახან ასეა, მაშ მეცეკვოს თქვენი მშვენება.  
ვფიქრობ, ეს თხოვნა უცნაური არ გეჩვენებათ.

როზალაინი

აბა, მუსიკა დაუკარით. მომუევიტ ჩქარა.  
თუმც... არ მსურს ცეკვა. შევიცვალე მე მთვარის დარად.

მეფე

აღარ გსურთ ცეკვა? რამ შეგცვალათ უეცრად ასე?

როზალაინი

იცვლება ხოლმე, მთვარე მუდამ არ არის ხახე.

მეფე

ვიცი მთვარე ხარ, მე მოკვდავი კაცი ვარ ოდენ,  
მუსიკა უკრავს და აშუევი, რომ ერთად ვჭროდეთ

როზალაინი

ჭობს ავაყოლოთ მოტივის ყურები.

მეფე

კი მაგრამ, ფეხებს რად ემდურებით.

როზალაინი

უცხოედებო, ცუდად მაინც ვერ გაგიმეტებთ,  
ბა, ჩემი ხელი, მაგრამ ცეკვის ნუ გაქვს იმედი.

მეფე

ხელს რადად გვაძლევთ?

როზალაინი

მეგობრებად დავცილდეთ რათა.  
თავი დავუკრათ; დებო, ცეკვის გავიდა ვადა.



მეფე

ცოტა რამ კიდევ, ნუ გვექცევით ესოდენ შაკრად  
როზალაინი

მეტის არ ძალგვიძს ჩვენ მოცემა, მიიღებთ არცრახ.

მეფე

თქვით ფახი, თქვენთან ახლოს ყოფნა რა ელირება?

როზალაინი

შორს ყოფნა თქვენო.

მეფე

რა სახტიკი არის პირობა.

როზალაინი

მაშ ვერ გვეყოფით და ვაპრობაც მორჩენ ჩვენს შორის,  
თქვენ — ხანაზევროდ დღეგრძელობა, თქვენ ნილაბს — ორი.

მეფე

ჩახან ცეკვაზე გამაწბილეთ, გთხოვთ ვისაუბროთ.

როზალაინი

ოღონდაც ცალკე.

მეფე

ეს მანდოდა ყველაზე უფრო.  
(ავერღზე გაღიან.)

ბერონი

ქათქათა ქალო, ტუბილი სიტყვა მითხარი რამე.

პრინცესა

თაული, შაქარი, რძე... ერთის წილ ისმინე ხამი.

ბერონი

ფიქა, ნექტარი და ბადაგაც დავურთოთ მაშინ,  
ხამს კიდევ ხამი; კამათელზე გამოჩნდა შაშა —  
სულ ექვსი კბილი.

პრინცესა

კარგად გნახე, მუშვიდ ტუბილო.

მე უალობანდთან არ ვთამაშობ, ნულარახ ცდილობ.

ბერონი

ერთ სიტყვას გეტყვით.

პრინცესა

მწარე იყოს.

ბერონი

ნაღველა მიწვის.

პრინცესა

ნაღველა დასტურ მწარე არიხ.

ბერონი

არ უნდა ექვა.

(გინზე გაღიან.)

დიუმენი

ერთმანეთს თითო სიტყვა ვუთხრათ, ცოტა ხანს დარჩით.

მარია

თქვით!



კარგო ლედი! დიუმენი

მარია

კარგო ლორდო! ვართ ბარი ბარში.  
სხვა რაღა გნებავთ?

დიუმენი

ნამუსია ჩემი თავდებად,  
ერთ ამდენს კიდევ ცალკე გეტყვიო და გათავდებო.

(განზე გადიან.)

კეთრინი

თქვენი ნიღაბი ხომ არ დარჩა გარეშე ენის?

ლონგვილი

გასაგებია, ლედი, ჩემთვის შეკითხვა თქვენი.

კეთრინი

მეც მსურს გავიგო, ბრძანეთ ჩემდა გასაოცებლად.

ლონგვილი

თქვენ ორი გერგოთ, მე მიპირებთ ერთის მოცემას,  
რადგან მუნჯი ვარ, ენას თქვენსას გამოყოფთ ორ წილს.

კეთრინი

შოლანდიელმა თქვა: ხომ ხბოა საქონლის ხორცი?

ლონგვილი

მაშ, ლედი ხბოა?

კეთრინი

არაფერიც, მოწვერო — ლორდო.

ლონგვილი

ეგვეც გავიყოთ.

კეთრინი

არ მსურს სიტყვა, ზიარი ორთა.  
თავად გაზარდეთ ეგ მოწვერი, რომ იქცეს ხარად.

ლონგვილი

თითონვე ერჩით საკუთარ თავს, დაციწვა კმარა.  
უბიწო ქალო, რქებს რად მადგამთ, უფრთხილდით ცოდვებს.

კეთრინი

თუ არ გსურს რქები გაგეზარდოს, მაშ მოკვდი ხბოდვე.

ლონგვილი

გთხოვთ, ერთი სიტყვა მათქმევინოთ სიკვდილის ფასად.

კეთრინი

ხმადაბლა, თორემ ეგ წმული მიწვდება ყახაბს.

(განზე გადიან.)

ბოიეტი

მქირდავ დიაცთა ენა გახლავთ ისე მახვილი,  
სამართებელი გეგონება — ელვარე, ბასრი,  
ზედ შეეპრება ბეწვი, თვალით დაუნახველი,  
ელვის სისწრაფით, აზრს მერე მიყვება აზრი;  
გონება მათი გაკვეთს ყველა ზღუდეს და ნაპირს, —  
ტყვიაზე, ფიქრზე, ისარზედაც ის არი სწრაფი.



როზალინი

მორჩა, გათავდა, უცხოელებს ხმას ნურვინ გაცემს,  
ბერონი

ამდენი ლანძღვით და დაცინვით, ჩვენ ვგავართ ნაცემს.

მეფე

დავეშვიდობოთ, ამ სულელებს თავი ვანებოთ.  
(მეფე, ლორდები და შაგკანიანები გადიან.)

პრინცესა

მოსკოველებო, კარგად გნახეთ, თქვე მცივანებო.  
გასაოცარი ამთ ჰქონდათ ჭკუა და გონი?

ბოიეტი

სანთლები იყვენენ, თქვენს სუნთქვაზე სუყველა ჩაქრა.

როზალინი

უშნოდ მასხრობდნენ, ალბათ ტვინზე დაედოთ ქონი.

პრინცესა

მეფე, უკბილოდ რომ ხუმრობდა, შეხურდა მაგრად.  
რა დარჩენიათ: ხეზე თოკით ჩამოკიდება  
ან ის — უნიღბოდ დაგვანახვონ სახე და პირი.  
თვითონ ბერონსაც, თავაშეებულს შეცვლოდა წირი.

როზალინი

საოცრად წახდნენ, საღდა იყო ძველი დიდება.  
მეფე, ტკბილ სიტყვის მოლოდინში, ლამის ტიროდა.

პრინცესა

მთელი ქვეყანა დამიმტკიცა ფიცით ბერონმა.

მარია

მიმსახურეთო, დიუმენმა: მე, ჩემი დაშნა...  
„ბლაგვია-მეთქი“, რომ ვუთხარი, გახედვა, გაშრა.

კეთრინი

ლონგვილმა მითხრა: თავბრუს მახვევ, მერევა გული;  
და რა მიწოდა იცით?

პრინცესა

ვიცი. ალბათ ნარწყვეი.

კეთრინი

ჰო, სწორედ ასე.

პრინცესა

თუ ასეა, წახვალთ ნაწყენი.

როზალინი

ქკვიანს უბრალო ქული ხურავს, ასეა თქმული.  
როგორ მებრფოდა, ხომ გაიგეთ სიტყვა მეფისა?

პრინცესა

ხელის მოხვნელად მე მოქნილი ბირონი მერგო.

კეთრინი

ლონგვილმა, შენი მონა ვარო, ასე შემფიცა.

მარია

ისე მიკვროდა დიუმენი, როგორც ხეს — ქერქი.



ბოიეტი

მე თქვენ მოგმართავთ — პრინცესას და მშვენიერ ქალებს,  
აქ გაჩნდებიან უმეპელოდ ისინი მალე,  
თავიანთ ნამდვილ ტანსაცმელში. მოვლენ გმირები,  
გაუჭირდებათ მონღლები იმ დამცირების.

პრინცესა

დაბრუნდებიან?

ბოიეტი

რა თქმა უნდა; სულ ფრენა-ფრენით;  
თუმცა კოქლობენ და ეტყობათ ნაცემი თქვენი.  
ისევ გაცვალეთ საჩუქრები, მოსულან ვიდრე,  
გაშლილ ვარდებელ მოეფრქვეით ზაფხულის მინდვრებს.

პრინცესა

გაშლილ ვარდებელ, აგვიხსენი, ვიქცევით როგორ?

ბოიეტი

ნიღბიანები, ლამაზებო, თქვენ გავლით კოკორს:  
ულრუბლო ცაზე ანგელოსებს რომ ემართებათ,  
ღათმეთ ნიღბები და იქეცით გაშლილ ვარდებელ.

პრინცესა

კმარა ლაყბობა! ამ ყოყმანში და ამდენ ცდაში  
კვლავ საარსიყოდ რომ მოგვადგნენ, რაღა ვქნათ მაშინ?

როზალაინი

ერთ რჩევას მოგცემთ, არა მგონი, იყო საცილო;  
ნიღბით დავცინეთ, უნიღბოდაც, მოდი, დავცინოთ.  
კარგი იქნება, რომ ამბავიც ვუთხრათ წვეულთა,  
მოსკოველებელ გადაცმულთა, იმ დამთხვეულთა.  
ვითომ არ ვიცით, ვინ იყვნენ და გამართეს რაზე  
ეს უსუსური წარმოდგენა, პროლოგი ასე  
ყალბი რომ იყო, ისიც ვუთხრათ, რომ ჩვენს კარავთან  
იმათი გრება — უშნო, ტლანქი — მხოლოდ გვზარავდა.

ბოიეტი

თუ არ წახვედით, აქვე მოვლენ ისინი ხელად.

პრინცესა

ჩქარა კარვისკენ, როგორც შვლები გარბიან ველად.  
(პრინცესა, როზალაინი, კეთრინი და მარია მიდიან.)

ინგლისურიდან თარგმნა ემზარ კვიტაიუვილიმა.

დასასრული იქნება



უილიამ ზემსპირი

## აქაო გარჯა სიყვარულისა

შემოდინ მეფე, ბერონი, ლონგვილი და დიუმენი; ჩვეულბრივი სამოსი აცვიათ.

მეფე

კეთილო კაცო, მე პრინცესას მინდოდა ნახვა.

ბოიეტი

თუ რამე გნებავთ, გადავცემდი, კარავში გახლავთ. მიზრძანეთ, დილო მეუფეო, მოგემსახუროთ.

მეფე

თხოვეთ მიმიღოს, ორიოდ სიტყვის თქმა მსურდა.

ბოიეტი

თქვენს დასახვედრად, მეც და ისიც, მზადა ვართ მულამ.

(გაღის.)

ბერონი

სხვათა ხუმრობებს ეს ვაჟკაცი მტრდევით კენკავს, მერე, შემოხვევა თუ მიეცა, მოაბნევს უველგან. მეწვრილმანეა, ჭკუით ვაჭრობს, გარეშე რიღის, ბაზარში, ლხინში, ხალაუბოში დააქვს და ყიდის; ჩვენ კი, ბითუმად მოვაჭრენი, მოგეხსენებათ, ჩვენი საქონლის ვერ ვახერხებთ ქებას, ჩვენებას. ქალების დევნა გაუხდია ხელობად, ჩვევად; აღამი იყოს, შეაცდენდა, იცოცხლე, ევას. ჭრის კერძებს, ენა ერლიქება, არა აქვს მოცლა, მარჯვნივ და მარცხნივ ჰაეროვანს არიგებს კოცნას. სიწუსტე უყვარს, მაიმუნი ყოფილა მოღის, მოთამაშეა და კამათელს აგორებს ოდეს, თავაზიანად იგინება, მღერის კიდევაც, ხაკმაოდ ცუდად; სხვა მხრივ ვერვინ შეეკიდება. ღამაზმანები ვერ ძღებთან მისი ყურებით, კიბეზე ტერფებს უკოცნიან საფეხურები. ყველას უცინის ეს ყმაწვილი, სუყველას ეტრფის, იცის, კბილები აქვს ვეშაპის ძვალივით თეთრი. ვისაც კი უნდა, პატროსნად ჩავიდეს საფლავს, ამბობს, რომ ენა ბოიეტის დნებაო თაფლად“.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ქცისკარი“ 1976 წ. № 10, 11, 12, 1977 წ. № 1, 2.





მეფე

ძირში აქვს ენა მოსაქრელი, ე მაგის ყბაში  
მტერი ჩავარდეს, დაგვიბნია არმადოს პაუი.

ბოიეტს შემოპყავს პრინცესა; შემოლიან როზალაინი, მარია და  
კეთრინი.

ბერონი

შეხეთ, ზრდილობავ, რა იყავი შენ ამ კაცამდე,  
ვიდრე გაგწვრთნიდა, მიაღწევდა თავის საწადელს?

მეფე

სალამი ყველას, მზიანი დღის ხარობდეთ შუქით!

პრინცესა

რა სურვილია, მზიანი დღე თავისით დგება.

მეფე

ჩემი ნათქვამი თუ არ მოგწონს, თქვენა თქვით უკეთ.

პრინცესა

ჯობს უკეთესი რამ მისურვოთ, მე გაძლევთ ნებას.

მეფე

გეწვიეთ, თქვენი სასახლეში მიყვანა გვინდა,  
წინ წაგიძლევებით, მთავარია იყოთ თანხმა.

პრინცესა

მე აქ დავრჩები, თქვენ კი ფიცი ატარეთ წმინდად,  
ფიცის გამტეხთა ღმერთსა და მე არ გვსურს დანახვა.

მეფე

ფიცი თქვენს გამო გავტეხე და ნუ დამდებთ ბრალად,  
მაგ თვალთა ძალა მაიძულებებს დალატს, დაცემას.

პრინცესა

რალაც გეშლებათ — ნამდვილ ცოდვას უწოდებთ ძალას,  
სათნო ძალისგან, როდის იყო, სცოდეს კაცებმა.  
თუ რამედ მიღირს ხელუხლები ეს სიქალწულე.  
შროშანასავით უბიწო და წმინდა რომ არი,  
ათასი ტანჯვა მიჩრევნია, ვფიცავ, გარწმუნებთ,  
ვიდრე დავაანხმდე — თქვენი სახლის ვიყო სტუმარი.  
დაურღვეველი (ო, სურვილი რარიგ ღიღია),  
დარჩეს ის ფიცი, პატიოსნად რომ დაგიდიათ.

მეფე

არვინ გინახავთ, არც გწვევიათ, ძალიან ვწუხვარ,  
მოგწყინდებოდათ სიმარტოვე, ალბათ დარდობდით.

პრინცესა

ბირიქით, ვფიცავ, ყველაფერი ვიგეშეთ უხვად,  
არ დაგვკლებია დროსტარება და გასართობი.  
წელან რუსები გავისტუმრეთ, მოსულნი შორით.

მეფე

რაო, რა ბრძანეთ? რუსებიო?

პრინცესა

სწორედ ასეა.

ზრდილები იყვნენ, ამუღავნებდნენ ოქროს ხასიათს.



როზალაინი

მეფე, რაც ახლა მოისმინეთ, არ არის სწორი: ჩვეულებრივი ამბავია, როგორც დღეს ხდება, პრინცესას ჩვენსას უღირსების დასჩემლა ქება, ოთხივეს გვერგო, მართალია, შემთხვევა ნახვის ოთხთა, რუსულად ჩაცმულების, საათი დაყვეს ჩვენთან, იუბედეს, იქაქანეს, შედეკათ სუნთქვა, ამ ხნის მანძილზე ჭკვიანური სიტყვა არ უთქვამთ. გიჟებს არ გავდენენ, თუმც გიჟებსაც ასეთი რამე არ შეეშლებათ — თუ სწყურიათ, სიამით სვამენ.

ბერონი

ხახა გამიშრო მაგ ხუმრობამ, ძალუქს თქვენს ენას, ბრძენი სულელად აქციოს და სულელი ბრძენად. ცის თვალს ცეცხლოვანს როცა ვუშვერთ წადილით, რილით, სინათლეს ვკარგავთ, ჩვენ ნათელი გვაბრძავენს დიდი. მდიდარს ღარიბად გადააქცევთ, თქვენ გაქვთ უნარი სწორედ ასეთი — გამართლოთ გასამტყუნარი.

როზალაინი

ბრძენი ყოფილხართ, სიმდიდრითაც უნდა ელავედეთ.

ბერონი

სუფთა სულელი, სიღარიბით სავსე ყელამდე.

როზალაინი

ენიდან მტაცებთ სიტყვას, თუმცა რა დამარჩენია, რა გაგიმტყუნოთ, იმას მტაცებთ, რაიც თქვენია.

ბერონი

სულმთლად თქვენი ვარ, ო, ნუ მტყუვით უარს ამაზე.

როზალაინი

მთელი სულელი?

ბერონი

ნაკლებს როგორ შემოგთავაზებთ.

როზალაინი

გთხოვთ მიპასუხოთ, თქვენ რომელი ნიღბით იყავით?

ბერონი

რას მეკითხებით? რა ნიღაბი? რისი ნიღაბი?

როზალაინი

ა ის ნიღაბი, ღრუ ზედმეტი, გადასაღებში, ცული მიჩქმალა, მომაჩვენა კარგი ნაკვთები.

მეფე

სუყველაფერი გაუგიათ, გაგვამახსრებენ.

დიუმენი

თვით ვალიართ, ხუმრობაში ჭობს ჩატარება.

პრინცესა

რალაც ვერა ხართ გუნებაზე, რა მოგდით, მეფევე?

როზალაინი

გაფითრდა, ხელი შეაშველეთ, გული თუ მისდის, ზღვამ თუ დასცადა: მოსკოვიდან ჩამოსულია.



ბერონი

ფიცის გამტენებს ვარსკვლავები დაატებს რისხვას,  
 კამეჩის შუბლი თუ გაუძღვებს განაჩენს მხოლოდ,  
 განმგმირე ენით, შებრალებას არ ვითხოვ მისხალს,  
 შენ ზელთ ვარ, ლედი, მაგ დაცინვით მომიღე ბოლო,  
 შენი გონების მესობოდეს უფიცს, ეკლები,  
 მაგ აღესილი პასუხებით დამფლითე, მოდი,  
 ამიერიდან არასოდეს არ გეცმკავები  
 და აღარც რუსულ ტანსაცმელში დაგიწყებ ლოდინს.  
 დაწერილ სიტყვას, ლდის შემდეგ, უნდა ვერიდო.  
 და არც ბიჭუნას მოქნილ ენას არ დავაფასებ,  
 არ მივადგები სატრფოს ნიღბით ამიერიდან,  
 სად შე, სად ლექსი? ბრმაც დაუკრავს ასე არაფე.  
 ხავერდის ფრაზა, აბრეშუმის სიტყვით გალობა,  
 ჰიპერბოლები, გაფრენილი და გაპრანჭული, —  
 როგორ მბერავდნენ ეს ზაფხულის ბუნანკალები  
 ბაქიაობით, მათგანა ვარ ასე ტანჭული.  
 ამიერიდან მათ უარვყოფ და ვიტყვი ასე:  
 ჩემს თეთრ ზელთათმანს გეფიცებით, აწ და მარადის,  
 თუ სიყვარულზე საკუთარი მექნება აწრი  
 გამოვთქვა იგი ტილოს „ჰო-თი, ჯვალოს „არა“-თი.  
 ღმერთო, მიშველდი მშვენიერო, შე შენთვის ვიწვი,  
 სიყვარულს ჩემსას არ დაყვება ხორკლი და ხიწვი.

პრინცესა

მოკლელ მოსჭერთ.

ბერონი

იხვე ძველი მიხსენებს სენი,  
 არ მოვრჩენილვარ ჯერ, წყალობა მჭირდება თქვენი,  
 გამივიღის. ამ სამს ჩამოვკიდოთ ყელზე წარწერა:  
 „ერიდეთ“ — რადგან სამივენი ღმერთმა გასწირა, —  
 ჭირი სჭირთ გულში, უკურნავი შეყრიათ შამი,  
 იცოდეთ თქვენი თვალგებია მიწეში ამის.  
 იგივე სენი, რაც ამათ ჭირთ, სახეზე გიჩანთ,  
 თავისუფლები არც თქვენა ხართ, თქვენც გატყობთ ნიშანს.

პრინცესა

ნიშნის მომცემნი თვით არიან თავისუფლები.

ბერონი

მთლად ნუ გავფთეღავთ, ხომ გავკოტრდით ყველა უკლებლივ.

როზალანო

თავს ნუ გვაცოდებთ, არა გავხართ მშრალზე დარჩენილს,  
 გაკოტრებულებს რად გჭირდებათ ნეტა სარჩელი?

ბერონი

გაჩემდით, თქვენთან არაფერი არ მესაქმება.

როზალანო

საკითხავია, ვინ ირჭება მეტად, ჩვენ ორში?

ბერონი

ყველამ თავის თავს მოუაროს; შე უკვე მოვრჩი.

მეფე

იქნებ გვასწავლოთ, გვითხრათ თუ არ დაგეზარებათ,  
 ცოდვის ვით შევძლოთ გამოსყიდვა?

პრინცესა

აღიარებით.

თქვენ არ იყავით, ნილაბი რომ პირზე გებურათ?

მეფე

ღიახ, მე გახლდით.

პრინცესა

ჩაიღინეთ ეს შეგნებულად?

მეფე

ღიახ, სავსებით.

პრინცესა

ნუ იქნებით გეთაყვა, ურჩი, რა უჩურობდით, რა უთხარი თქვენს ლედის ყურში?

მეფე

რომ ქვეყანაზე არავინ მუავს მე მისი ფასი.

პრინცესა

ვთქვით დაგეთანხმათ, უარს იტყვით თუ არა მაშინ?

მეფე

ფფიცავარ, არა.

პრინცესა

დაძვრა აღარ გაბედოთ ხმისა; ერთხელ გატყნეთ ფიცი, ახლაც იმასვე იზამთ.

მეფე

თუ ამ ფიცს გავტყნ, სიყვარული აქციეთ ზიზღად.

პრინცესა

მაშ აასრულეთ, თუ არა და, მაგიერს გიზღავთ, როზალაინი ახლავ გეტყვის იმ რუსის ნათქვამს.

როზალაინი

ვინ მოსთვლის, რას არ შემადარა, ქადაგად დადგა, შენ ხარო ქვეყნად ყველა განმზე უძვირფასესი. შეფიცებოდა — სილამაზით ღვთაების მსგავსო, ან შენ შეგიერთავ, ან მოვიკლავ, იცოდეთ, თავსო.

პრინცესა

გულით ვისურვებ ამ ვაჟკაცთან ბედნიერებას, ფიცს აასრულეხ, როგორც რაინდს შეეფერება.

მეფე

რისი თქმა გინდათ? სიტყვა ჩემი მუდამ მტკიცია, ამ ლედისათვის, ვფიცავ, ფიცი არ მიმიცია.

როზალაინი

როგორ თუ არა, შემომფიცეთ, ზეცაა მოწმე, ესეც მაჩუქეთ. შემძლია უკანვე მოგცეთ.

მეფე

პრინცესასთან მაქვს ერთგულება დანაფიცარი და ნაჩუქარი ბრილიანტით კიდევ ვიცანი.

პრინცესა

სერ, მაპატიეთ, მაგისია ეგ ბრილიანტი; მე კი, არ ვნანობ, გული ჩემი ბიროს მივანდე. რა გნებავთ — მე თუ მარგალიტი, დღეს ნაჩუქარი?





ბერონი

არცერთი. მე ვერ გადამაღლავთ თხოვნით, მუქარით,  
 აქ ოინს ვხედავ. შეთქმულების სცოდნით უადრი,  
 ჩვენი ხუმრობა გაუგიათ, ეტუობა, ადრე.  
 ვით საშობაო კომედიის, ისურვეს ჩაშლა,  
 ვილაც მლიქვნელი, ჭორიკანა საკმაოდ დაშვრა.  
 ტაკიმასხარამ, მოთვალთვალემ, მუქთმა ლექიამ,  
 უშნო სიცილით პირის კანი რომ დაღმეჭია,  
 ვისაც პრინცესას ევალდება სიმხიარული.  
 უველანი გაგვცა, ჩვენი ზრახვა გათქვა ფარული.  
 ქალეზმა ჩვენი საჩუქრების მოასწრეს გაცვლა,  
 როცა დავუწყეთ არშიუობა, მოვტუუვდით მკაცრად.  
 ზედიზედ ორჯერ ჩავიდინეთ ცოდვა ნამდვილი;  
 წელან-შედლომით, ის პირველი — ჩვენი წადილით.  
 ეს ასე მოხდა (ბოეტს) თქვენ ხომ არ ხართ მრჩეველი მათი  
 ჩვენი განზრახვა სალაღობო რომელმაც გათქვით?  
 თქვენ ხართ, ვინც იცის ჩემი ღიღის ფესსაცმლის ზომა,  
 თვალის ჩაკვრაზე ვინც მზადაა, გამართოს ღზინი?  
 იმის ზურგსა და ბუხარს შუა თქვენ გიწვევთ დგომა,  
 იცინით, ხუმრობთ, თანაც ხელში გიჭირავთ სინი?  
 პაჟის დამზნევე, არ დაგჭირდეთ ბევრი მუღარა;  
 თუნდ ღღესვე მოკვლით — კაბა იუოს თქვენი სუღარა.  
 რისთვის მიუურებთ გოროზად, ცერად?  
 გამგმირავია დაშნასავით ამგვარი მზერა.

ბოიეტი

მხნელ, ელვასავით მოიარა არენა მთელი.

ბერონი

აშკარად მიწვევ, მეც მზადა ვარ, შეტევას ველი.  
 შემოდის გოგრა.  
 წმინდა გონებავ, ორთაბრძოლა ჩაშალე ძნელი.

გოგრა

ო, ღმერთო, მე იმ სამი გმირის გაუწყებთ წადილს,  
 უნდათ გაიგონ — ღირს თუ არა გამოსვლა მათი.

ბერონი

სამნია მხოლოდ?

გოგრა

ო, არა, სერ, არც რამე წახდა.

თითო სამს უღრის.

ბერონი

სამჭერ სამი ცხრა არის ნაღდად.

გოგრა

არა და არა, კალნიერთ გარწმუნებთ ფიცით,  
 არ არის ასე, ჩვენი საქმე ჩვენ თითონ ვიცით.  
 მე ვიმედოვნებ, სამჭერ სამი —

ბერონი

ცხრა არ იქნება?

გოგრა

სწორი პასუხის შემეძლება, ვგონებ, მიგნება.

ბერონი

იუპიტერს გეფიცებით, მუღამ მიმაჩნდა რომ სამჭერ სამი ცხრაა.



**გოგრა**

ო, ღმერთო ჩემო. რა საცოდაობა იქნებოდა, თქვენ რომ ანგარიშით მოულოდბედეთ ლუკმაპურს.

**ბერონი**

მაშ რამდენი გამოდის?

**გოგრა**

ღმერთო ღიღებულყო. სერ, თითონ ისინი, მსახიობები გაჩვენებენ, რამდენიც იქნებიან. შე საწყალმა კი, ჩემდა თავად, როგორც იმათა თქვეს, მხოლოდ ერთი როლი უნდა შევასრულო, პომპიონ დიდისა, სერ.

**ბერონი**

შენც გმირი ხარ?

**გოგრა**

მათ მოხსურებს, მეთამაშა გმირის როლი, პომპიუს დიდისა. რამდენად იყო გმირი, რა მოვახსენოთ, ეს კია, რომ მისი განსახიერება მომიწევს.

**ბერონი**

წადი, უთხარი, მოემზადონ.

**გოგრა**

ყველაფერს საუკეთესოდ გავაკეთებთ, სერ. ცდას არ დავაკლებთ. (გოგრა გადის.)

**მეფე**

ბირონ, სირცხვილს გვაკმევინ ეგენი. ჭობს, არ გამოვანიჩნოთ.

**ბერონი**

უფრო დიდ სირცხვილს, ხელმწიფეო, არ ვჭამთ აროდეს, ჩვენზე ცუდები თუ გამოვლენ, ის გვიხაროდეს.

**მეფე**

ნუ ვთქვი, რომ ისინი არ გამოვინდენ.

**პრინცესა**

კეთილმო მეფევ, გაცხარება არ მომწონს თქვენი, გულუბრყვილობა, სიმარტივე ხუმრობას შეენის. ბევრის წაღილი, ბევრი ზრუნვა ვინ თქვა — კარგია, გულმოდგინება მეტისმეტი აქ არ გვარგია. რას არ ვინდომებთ, ლობე-ყორეს უქმად ვედლებით და დიდ განზრახვას ძირში ვაშთობთ, გადამეტებით.

**ბერონი**

ჩვენი განზრახვის ჭეშმარიტი ნახეთ სურათი.

**შემოდის არმადო**

**არმადო**

ღვთისგან ხელდასხმულო, გვედრებით, შემომწიროთ თქვენი უნაზესი აღმოსუნთქვა, იმდენი, რაოდენიც ორიოდ სიტყვის წართქმას დასჭირდება.

(განზე გამღვარი მეფეს ესაუბრება და ქაღალდს გადასცემს.)

**პრინცესა**

ეს კაცი ღვთის მსახურია?

**ბერონი**

რაზე შეკითხებით?



პრინციპა

რატომ აღამიანურად არ ლაპარაკობენ?

არმადო

ეგ ხომ სულიერთია, ჩემო მშვენიერო, ძვირფასო, უტკბესო მონაქო. უნდა მოგახსენოთ, რომ სოფლის მასწავლებელი მეტად უცნაური კაცია. ძალზე, ძალზე თავდაჭერებული, ძალზე, ძალზე პატივმოყვარე. მაგრამ ჩვენ, როგორც იტყვიან, ისევე fortuna della guerra-ის უნდა მივინდოთ. სულიერ სიმშვიდეს ვუსურვებ უმადლეს საკრებულოს.

(არმადო მიდის.)

მეფე

როგორც ჩანს, მალე ვიზილავთ დიდებულ გმირთა გამოსვლას. აი ეს კაცი ტროელ ჰექტორს წარმოვადგენს; მწყემსი პომპეუს დიდი იქნება; სოფლის დიაკვანი — ალექსანდრე; არმადოს პატი — ჰერაკლე; სკოლის მასწავლებელი კი — იუდა მაკაბელი. თუ არ გამოდგა ოთხი გმირის გამოსვლა ცუდია, მათვე მოუწევთ წარმოდგენა დანარჩენ სუთის.

ბერონი

ისინი ახლაც სუთინ არიან.

მეფე

თქვენი გამოთვლა ერთობ მცდარია.

ბერონი

მასწავლებელი, ბაქია, დიაკვანი, მასხარა და ბიჭი. ქვეყნად სუთიანს ვერვინ დასვამს ნამდვილს ამ ათზე, მთელი ცხოვრება აგორებდეს თუნდაც კამათელს,

მეფე

მოდის ხომალდი, რა ხანია, უკვე გამართეს.

შემოდის პომპეუსად ჩაცმული გოგრა.

გოგრა

„პომპეუსი ვარ“...

ბოიეტო

ტუთილან აშმაბ, არა ხან იღა.

გოგრა

„პომპეუსი ვარ“...

ბოიეტო

მუხლზე თავი მიგიკრავს ჯიქის.

ბერონი

ყოჩაღ! გცოდნია შენ მასხრობის წესი და რივი.

გოგრა

„პომპეუსი ვარ, პომპეუსი, სახელად ზორბა“...

დიუმენი

დიდი.

გოგრა

დიან, სერ, დიდი.

„... პომპეუსი, სახელად დიდი,

მტერს ბრძოლის ველზე თავზარს ვცემდი, შუაზე ვჭრიდი,



ვიმოგზაურტ, ნაპირები ზღვის მოვიარტ,  
ფრანგთა ასულის ფერხთით ვაწუხ ახლა იარაღს“.

თუ თქვენი უდიდებულესობა მეტყვის: „გმაღლობთ, კომპეტუს“,  
ჩემი როლი დამთავრებული იქნება.

პრინცესა

პომპეუს დიდს დიდი მადლობა.

გოგრა

ასე დიდადაც არა ვღირვარ. ისე, ვფიქრობ, არა მიშავდა. „დიდ-  
თან“ შემეშალა პატარა.

ბერონი

ქულს დავდებ გროსის სანაცვლოდ, კომპეტუსი საუკეთესო იქნება  
გმირთა შორის.

შემოდის ნათანიელი, ალექსანდრედ მოკაზმული.

ნათანიელი

როცა ვიყავი ქვეყნად, მეფე ვიყავი ქვეყნის,  
ოთხივე კუთხით მე მსოფლიო მყავდა ძღვეული,  
აღისანდრე ვარ, ღერბს ვიმოწმებ, გარეშე კვეხნის...

ბოიეტო

თქვენი ცხვირი კი უარს ამბობს, გაქვთ აწეული.

ბერონი

თქვენი კი, ვატუობ, ნაზია და უნოსვას ჩვეული.

პრინცესა

ნუ აფრთხობ მეფეს. ალექსანდრე, განაგრძეთ, მიდით.

ნათანიელი

„როცა ვიყავი ქვეყნად, მეფე ვიყავი ქვეყნის“...

ბოიეტო

მწამს, აღისანდრე, რომ ხელმწიფე იყავით დიდი.

ბერონი

პომპეუს დიდი

გოგრა

გახლავართ გოგრა, თქვენი მსახური.

ბერონი

გაიყვანე აქედან დამპყრობელი, გაიყვანე აღისანდრე.

გოგრა

(ნათანიელს)

ო, თავი მოგეპრათ, ბატონო ჩემო, თქვენცა და თქვენს დამპყრო-  
ბელ აღისანდრეს გაგზდიან მაგ მოხატულ სამოსელს; მაგ ლომს,  
ცულმომარჯვებული რომ ზის ღამის ქოთანზე და ყველაფერს აიპქს  
გადასცემენ, მეცხრე გმირს. გამომივიდა დამპყრობელი, ხმას ვერ  
იღებს შიშით! ის დროა, სირცხვილისგან გარბოდე, შე მართლა აღი-  
სანდრე! (ნათანიელი ვადის). რა თქმა უნდა, არ მოგეწონებოდათ,  
სასაცილო ხდება, იმდენად მორცხვია, წესიერი კაცია, ოღონდ იოლად  
იბნევა. მეზობლად დმერთმა მოგცეს, ბურთულეების თამაშზეც ემარ-  
ჯვება. აღისანდრეს როლში — ნურას უკაცრავად. თავად ნახეთ —  
დიდი ვერაფერი შვილია. ახლა რომ გმირები გამოდიან, ისინი სხვა-  
ნაირად იტყვიან თავიანთ სათქმელს.





**პრინციპი**

გვერდზე მიღებული, ძვირფასო პომპეუსი

შემოდინ იუდალ ჩაცმული ჰოლოფერნი და  
ჰერაკლედ გამოწყობილი ფარვანა.

ჰოლოფერნი

ჰერაკლე გახლავთ გმირთაგმირი, ბიჭუნა მარდი,  
ვინაც ცერბერი მოკლა კვერთხით, სამთავა canus,<sup>18</sup>  
როს ჩვილი იყო, თოთო ბაღლი, პაწია ბღარტი,  
გველი მოგუდა საშინელი, ჩასჭიდა manus.<sup>19</sup>

Quoniam,<sup>20</sup> ჯერეთ უმაწვილია, ახალი ნერგი,  
აპოლოგია ჩემი, erგო,<sup>21</sup> მიტომაც ერგო.  
ღირსეულად გაიარე და მოშორდი აქაურობას.

ფარვანა გადის.

„მე იუდა ვარ“...

**დიუმენი**

აჰ, იუდა!

ჰოლოფერნი

ნუ შემადარებთ ისკარიოტელს.  
„მე იუდა ვარ, მკაბეღლად უხმობენ რომელს“...

დიუმენი

ჩამოაცილე მკაბეღლი, იუდა დარჩეს.

ბერონი

ღალატის ამბორს, თქვი, იუდავ ვით უქცევინარ?

ჰოლოფერნი

„მე იუდა ვარ“...

დიუმენი

ვერ წაუხვალ, მით უფრო, სირცხვილს.

ჰოლოფერნი

რისი თქმა გსურდათ?

ბოიეტი

ჩამოიხრჩოს იუდამ თავი.

ჰოლოფერნი

ხე, ხე... ეგ საქმე ჩემზე აღრე თავად გეხებათ.

ბერონი

შშვენიერი პასუხია: იუდამაც ხეზე ჩამოიხრჩო თავი.

ჰოლოფერნი

მე თავს არავის დავაჩაგრინებ.

ბერონი

მერედა სადა გაქვს თავი?

ჰოლოფერნი

აბა ეს რა არის?

ბოიეტი

კითარის თავია.

18 ძალი (სწორია canis) (ლათ.)  
19 ხელი (ლათ.)  
20 რადგანაც (ლათ.)  
21 ამდენად (ლათ.)



დიუმენი  
ლურსმანის თავი.

ბერონი

ბექედში ჩასმული მკვდარი თავი.

ლონგვილი

ძველ რომაულ მონეტაზე ამოკვიფრული სახე, გაცრეცილი.

ბოიეტი

კეისრის ხმლის ვადა.

დიუმენი

ძვლის საპირისწამლეზე ამოკვეთილი სახე.

ბერონი

წმინდა გიორგის პროფილი, ბალთაზე ამოჭრილი.

დიუმენი

ოღონდ ტყვიის ბალთაზე.

ბერონი

რომელიც კბილის ამოშთხრელს უკეთია ქულზე.

ახლა განაგრძე. შენი სახე უკვე დავადგინეთ.

პოლოფერნი

თქვენ ყოველგვარი სახე წამართვით.

ბერონი

პირიქით: უამრავი სახე მოგანიჭეთ.

პოლოფერნი

ეს იმიტომ რომ არავითარი სახე არ შემრჩენოდა.

ბერონი

ლომიც რომ იყო, ნადირთა მეფე, მოგაქცეოდით ასე.

ბოიეტი

რადგანაც იგი მხოლოდ ვირია, გავუშვათ თავის გზაზე.

რალას უდგებარ, იუდავ ჩემო, წასვლის ვერ გატყობ წადილს.

პოლოფერნი

სრულად წარმოთქვი სახელი ჩემი.

ბერონი

ვირს დავუმატებ, ძმობილო, წინ და გეტყვი: ვირუდავ, წადი.

პოლოფერნი

ადარც რიდი და დიდსულოვნება, ვატყობ ზრდილობაც, გაქრა.

ბოიეტი

გზა გაუნათეთ ბატონ იუდას, ფეხი არაფერს წაკრას.

(პოლოფერნი გადის).

პრინცესა

ოი, საბრალო, შაკაბელო, რა გაგამახსრებს.

შემოდის არბადო, ჰექტორად აღჰქურვილი.

ბერონი

ჯობს თავს უშველო, აქილევისო, ჰექტორი მოდის.

ბოიეტი

ყველა ხუმრობა ჩემს თავს მოდის, გავერთო მაინც.



შეფე

ჰექტორი მხოლოდ იმით ჯობდა, ტროელი იყო.

ბოიეტი

ეს ჰექტორია?

დიუმენი

ასეთი ტანი, არა მგონი, ჰქონოდა ჰექტორს.

ლონგვილი

ჰექტორს ამხელა არც ფეხები არ ექნებოდა.

დიუმენი

წვივები ბევრად ღონიერი აქვს.

ბოიეტი

იგი ვერ მოვა ამასთან ახლოს.

ბერონი

არა, ჰექტორი ეს არ იქნება.

დიუმენი

რა სიფათები დაახვავა, ღმერთს გავს თუ მხატვარს.

არმადო

„სწორუპოვარმა შუბოსანმა მძლეობამდე მარხმა უბოძა ჰექტორს“...

დიუმენი

მოოქროვილი კაკალი.

ბერონი

ლიმონი.

ლონგვილი

ბზავაურილი.

დიუმენი

არა, დაბზარული.

არმადო

დაწუნარდით!

„სწორუპოვარმა შუბოსანმა, მძლეობამდე მარხმა უბოძა ჰექტორს, ილიონის მემკვიდრეს, პატრონს, ძალა იმგვარი, რომლის მსგავსი უნახაეთ არხად, ეომებოდა ღღე და ღამე, მოსულეებს ხამტროდ. ის ყვედილი ვარ“...

დიუმენი

პიტნა.

ლონგვილი

ომბალო.

არმადო

ძვირფასო ლონგვილი, იქნებ მოხდოთ ენას ღაგამი.

ლონგვილი

მიჯობს მივეშვა, რომ ჰექტორის შესძლოს დაწევა.

დიუმენი

ჰექტორი თითონ არის მწვევარი.

არმადო

სახელოვანი მეომარი მოკვდა და მიწამ შექამა. ხაყვარელი ბაღლებო, დაყენეთ საფლავში მიხი ძვლები, ოდეს სუნთქავდა კაცი იყო. თუმცა, დროა განავარძო ჩემი როლი. (პრინციპსა) უძვირფასესო პრინციპავ, გაიმეტეთ ჩემთვის გრძნობა სმენისა.  
(ბერონი წინ წამოდგამს ნაბიჯს, გოგრას ელაპარაკება)



პრინცესა

ილაპარაკე, მამაცო ჰექტორ, სიამოვნებით დაგიგდებთ უფრს.

არმადო

თქვენი უდიდებულესობის ფეხთა მტვერს ვეთაუფანები.

ბოიეტი

(გადაულაპარაკებს დიუმენს)

მაგის სიყვარული ფეხისგულებს არ სცილდება.

დიუმენი

(გადაულაპარაკებს ბირონს)

უფრო მაღლა ვერ შესწვდება.

არმადო

„ჰექტორმა თავად ჰანიბალსაც გადააშეტა“...

გოგრა

ვერ არის საქმე კარგად, ძმავო ჰექტორ, ვერ არის. ორი თვეა, უკვე გზაშია.

არმადო

რას გულისხმობ?

გოგრა

რას და ხანაში თქვენ პატიოსან ტროელს არ ითამაშებთ, საწყალი გოგო დაილუბება. წკიპზუა. ბავშვი უირას გადადის მუცელში. თქვენგან ჰუავს.

არმადო

როგორ ბედავ და მარცხვენ ამ დიდებულ ხალხში? სიკვდილს იმსახურებ.

გოგრა

ჰექტორს კი ვაროზგვა ეკუთვნის. იმის გამო, რომ უაკნეტა დაამაქა, ჩამოხრჩობა კი იმისთვის, პომპეუსი რომ მოკლა.

დიუმენი

უბადლო პომპეუსი!

ბოიეტი

სახელგანთქმული პომპეუსი!

ბერონი

დიდთა შორის უდიდესი დიდი, დიდი, დიდი პომპეუსი! უზარმაზარი პომპეუსი!

დიუმენი

ჰექტორი შედრკა.

ბერონი

პომპეუსი დრტვინავს. მიდი, ატა, მიდი, ატა, შეახურე, შეახურე ორივენი.

დიუმენი

ჰექტორი ბრძოლაში იწვევს მტოქებს.

ბერონი

თუნდაც რწყილის სამყოფი სისხლი არ ჰქონდეს მკერდში.

არმადო

დიდი დათვის სახელთ ბრძოლაში გიწვევ.

გოგრა

დათვებთან ბრძოლა არ მებერება. შემიძლია გაგაპო. ხმალი დაგკრა. დამიბრუნეთ, თუ შეიძლება, ჩემი იარაღი.



დიუმენი

ადგილი მივცეთ გააფთრებულ გმირებს.

ვთგრა

მე პერანგისამარა ვიბრძოლებ.

დიუმენი

შეუღრეკელი პომპეუსი!

ფარვანა

ბატონო ჩემო, ნება მიბოძეთ ღილები შეგისხნათ. ნუთუ ვერ ხედავთ, პომპეუსმა საბრძოლველად მოიწვილია. რაღას უცდით! დალუპავთ თქვენს რეპუტაციას.

არმადო

ბატონებო და ჭარისკაცნო, ბოდიშს ვისდი; მე არ შემძლია პერანგისამა ვიბრძოლო.

დიუმენი

თქვენ არა გაქვთ უარის უფლება: პომპეუსმა გამოგიწვიათ.

არმადო

ძვირფასებო, ჩემი საქმე მე ვიცი.

ბერონი

რა მიზეზი გაქვთ საამისოდ?

არმადო

შიშველი სიშართლე თუ გინდათ ეს არის: პერანგი არა მაქვს. მეგრძალება. პირდაპირ შალის კაშხოლს ვიცვამ.

ბოიეტი

მართალი გახლავთ და ეს აკრძალვა რომში დაუწესეს, ვინაიდან თეატრულს არ ხმარობდა. იქიდან მოყოლებული, შემძლია დავიფიცო, არც მიუყარებია, გარდა უაქნეტას საქუბნაოს ჩურისა, ვულთან რომ ატარებს სამახსოვროდ.

შემოდის მარკადი, როგორც მაცნე.

მარკადი

ღმერთო ფარავდეს ჩვენს პრინცესას!

პრინცესა

შობრძანდი, მარკად,

თუმც ჩაგვიშალე მხაარულა ხანახაობა.

მარკადი

უწომოდ ვწუხვარ, ენა ჩემსას უჭირს გადმოგცეთ შიმე ამბავი. მამათქვენი, ხელმწიფე ჩვენი...

პრინცესა

აღარ მყავს? ღმერთო!

მარკადი

სულ ეს იყო ჩემი სათქმელი.

ბერონი

დაიშაღენით, გმირებო, სცენაზე ღრუბლები ჩამოწვა.

არმადო

მე კი შვებით ამოვისუნთქე. გონიერების ჭუჭქრუტანიდან მწუნარების დღე განვევრით და მალე შევძლებ ჩემი ჭარისკაცული ღირსების დაცვას.

(გმირები ვადიან).



მეფე

თავს როგორა გრძნობთ, პრინცესა?

პრინცესა

ბოიეტ, წავალთ ამაღამვე, მოემზადებით!

მეფე

გემუდარებით შეიცადოთ, როგორმე დარჩეთ.

პრინცესა

მივდივართ, გესმით? დიდად გმადლობთ, კეთილშობილწო, ამ საუცხოო დახვედრისთვის და მინდა გთხოვოთ, დამწუხრებული სულის ხათრით იყოთ მოწყალე, მაგ თქვენმა სიბრძნემ მოგვიტევოს ანდა დამალოს წრეგადასული, თავხელური გამოსხლმები.

თუ საუბარში ვერ მოვწომეთ და ბევრი რამე გადავაჭარბეთ — თავად თქვენი რაინდობაა ამის მიზეზი, მშვიდობით, მეფე.

ენამრავლობა არ შეფერის გულს, მგლოვიარეს. გთხოვთ მპატიოთ, ასე ძუნწად გიხდით მადლობას სიკეთისათვის, თქვენ რომ უხვად გამოიმეტეთ.

მეფე

დრო მაშინ, როცა იწურება, უკიდურესად სწრაფად აგვარებს უველა მიზეზს განწრაზულისა. ხშირად უბრალოდ გადაწყდება, უმტკივნეულოდ, ის, რაც ვერაფრით ვერ გადაჭრა ხანგრძლივმა დავამ.

თუმცაღა სახე მგლოვიარე ქალიშვილისა არ ეთავსება სიყვარულის უნაზეს დიმილს, მიდრეილს წმინდა მიწებისაკენ, რადგანაც უკვე სიყვარულის გზზე შემდგარა, რა უფლება აქვს სევდის ღრუბელს, მას ეს განწრაზვა დათმობინოს. გარდაცვლილთა სახელზე გლოვა არ არის ისე სასარგებლო და გონივრული; ახლადშეძენილ მებგობრებში ჯობს გალაღება.

პრინცესა

ვერაფერს მივხვდი, მწუხარება გამოიორკეცდა.

ბერონი

უბრალო სიტყვა უფრო წვდება მწუხარე სმენას; რად არ გენიშნათ ჩვენი მეფის მინიშნებანი.

შემოგნატროდით, თქვენთვის დრო არ დაგვიწოგია, არად ჩავადეთ მტკიცე ფიცი, თქვენმა მშვენებამ გადაგვაკეთა, შეგვიცვალა ზნე, ხასიათი, ჩვენი განწრაზვა ხაბოლოოდ ჩავგაშლივინა.

თუ რაიმეთი ჩვენ ვიყავით სასაცილონი, მიზეზი იყო სიყვარულის უცნაურობა.

ჭირვეულია, როგორც ბავშვი, ანციც, დიდგულიც.

იგი თვალისგან იბადება, მსგავსია თვალის —

სახსე ათსგვარ სახეებით, ნაირ ფორმებით, მუდამ იცვლება ისე, როგორც ერთი საგნიდან მზერა გადადის მეორეზე, დაფეთებული.

თქვენს ციურ თვალებს სასაცილოდ თუ ვეჩვენებთ, ამჩატებულნი, სიყვარულის ჭრელ სამოსელში, რაც არ შეფერის თავდაპერას, დადებულ აღთქმას, თქვენმა თვალებმა, ჩვენს ცოდვებს რომ ხედავენ ახლა, თვით გვაიძულეს უველაფერი. ამგვარად, თქვენ ხართ

ნათავე ჩვენს სიუვარულს, თქვენს ბრალსა  
რაც ჩვენ გვეშლება. ჩვენ აღმოვჩნდით მოლაღატენი,  
ერთხელ გავტეხეთ, მშვენიერსო, თქვენს გამო ფიცს,  
რომ სამულამოდ ისევ თქვენვე დამონებოდით.  
თუმც ეს ღალატი, თავისთავად, ცოდვაა, მაგრამ  
განიწმინდება და სიკეთედ გარდაიქმნება.

#### პრინცესა

მივიღეთ თქვენი ბარათები, აღერსიანი;  
და საჩუქრებიც — სიუვარულს მოციქულები;  
ასე გავიჭრა ქალის ჭკუამ: ჩვენ ეს ჩავთვალეთ  
სახიამოვნო ხუმრობად და პატვისცემად,  
როგორც ამბავი გასართობი, თავშესაქცევი.  
ჩვენს მიმართ მეტი ღირსებისად ვერ მივიჩნიეთ  
თქვენი მოქცევა. აგდებულად იმითმ შევხვდით  
სიუვარულს თქვენსას, რომ ხუმრობა გვევონა იგი.

#### დღემენი

ის წერილები მეტი იყო, ვიდრე ხუმრობა,

#### ლონგვილი

და მწერაც ჩვენი.

#### რთხალაინი

ჩვენ კი ასე არ გავგვიგია.

#### მეფე


ამ უკანასკნელ საათს მაინც გავგზადეთ ღირსი  
სიუვარულისა.

#### პრინცესა

ვფიქრობ, ეს დრო ძალზე მცირეა,  
რომ შეთანხმება მოვახდინოთ სამარადუამო.  
არა და არა, მეფევ, თქვენ ხართ სიტყვის გამტეხი,  
მძიმე ცოდვები გაქისრიათ; თუმცა ვერ ვატყობთ  
სიუვარულს ჩემსას, მაგრამ ჩემთვის თუ რაიმესი  
გსურთ გაკეთება, მაშინ ასე უნდა მოიქცეთ:  
მე არა მჭერა თქვენი ფიცის; ახლაც წადით  
საღმე უკაცურ, მიტოვებულ, ურთ მონასტერში,  
მოშორებული ამქვეყნიურ სიამეთაგან.  
ვიდრე თორმეტი ნიშანი ცის არ ჩათვდება,  
არ შეიკვრება წელიწადში იქ უნდა დარჩეთ.  
წინადადება, ცხელ გულზე რომ შემომთავაზეთ  
თუ არ დათრგუნა ვანდგილის ცხოვრებამ მკაცრმა,  
თუ ვერ დააზრო უინვამ, მარხვამ, თხელმა სამოსმა  
ყვავილი თქვენი სიუვარულისა,  
გაუძლო ყველა განსაცდელს და უცვლელი დარჩა,  
მაშინ, როგორც კი წელიწადი ჩამოთავდება,  
გამომეტყვადე და სანაცვლოდ ცოლობა მთხოვე.  
ხელს გეფიცები ქალწულისას, ხელში რომ გიდექს,  
შინს ვიქნები. ახლა წავალ, ჩავიკეტები,  
დამწუხრებული ჩემს ხედვიან, მოწყენილ სახლში.  
უნდა ვიგლოვო და ცრემლები დავღვარო ცხარე,  
ნათელი სახე მოვიგონო მამაჩემისა.  
თუ ხელს არ გაძლევს ეს პირობა, ხელს ნულარ მართმევ,  
ჩვენი გულებიც დაცალკევდნენ, გზა მიღვეს ფართე.

#### მეფე

თუ ამ განსაცდელს, ან უფრო მეტს, დავემალები,  
განმარტოებით თუ ვერ შევძლო ლოდინი, თმენა,



სიკვდილის ხელმა დამიხუჭოს უმალ თვალებში  
ამიერიდან ჩემი გული იგულღე შენად.

ბერონი

მე რა ვიღონო, სიუვარულო, მე რა ვიღონო?

როზალინი

თქვენი ცოდვებიც მძიმე გახლავთ, განწმენდა გმართებთ,  
ჩვევად გქონიათ ორპირობა, ფიცის გატეხა,  
თუ გინდათ, გრძნობა რომ გამიჩნდეს, ეს თორმეტი თვე,  
მუხლჩაუსრელად, ავადმყოფთა შესწირეთ მოვლას.

დიუმენი

მე რა ვაკეთო სიუვარულო, მე რას მისურვებთ?

კეთრინი

წვირებს, ურყველ ჯანმრთელობას, პატიოსნებას;  
სამშაგი გზნებით ვისურვებდით სამივეს ერთად.

დიუმენი

თუ შემიძლია, მშვენიერო, ცოლი გიწოდო?

კეთრინი

ამ თორმეტ თვეს და კიდევ ერთ დღეს, არვის მივხედავ,  
არ მსურს მოსმენა ბრტყელირიან მოარშიუეთა.  
თანამეცხედრე რომ გახდება პრინცესა მეფის,  
ვეცდები მაშინ, სიუვარულის გარჯუნო შხეფი.

დიუმენი

თქვენი მსახური, უურმოკრილი, მანამ დავრჩები.

კეთრინი

ნუ ფიცავთ, ფიცის გატეხას ხართ, ვიცი ნაჩვევი.

ლონგვილი

მარია, ვისმენ.

მარია

ჩათავდება ეს ვადა მკაცრი  
და ჩემს შავ კაბას მეგობარზე, ერთგულზე, გავცვლი

ლონგვილი

მოვითმენ, მაგრამ თორმეტი თვე ძალზე გრძელია.

მარია

უმაწვილკაცებში თქვენზე გრძელი სხვა რომელია.

ბერონი

რამ დაგაფიქრათ? შემომხედეთ, ძვირფასო ლედი,  
თვალები ჩემი ფანჯრებია ჩემი გულიხსა.  
მოკრძალებული თხოვნა ჩემი მოელის პასუხს.  
მიზრძანეთ რამე, სიუვარული გიჩვენოთ ჩემი.

როზალინი

ბევრჯერ მსმენია, ლორდო ბირონ, თქვენი ამბავი,  
ვიდრე განხავდით. ლაპარაკობს მთელი ქვეყანა,  
ამბობენ თითქოს საშინელი იყოთ მქირდავი,  
ოსტატი ათას დაციწვათა, შედარებათა,  
უველას ამასხრებთ განურჩევლად, არავის ინდობთ,  
თუკი უმთხვევა მოგეცათ ამის.

ამ გლეხრახანან თქვენი ტვინი რომ გასუფთავდეს  
(ანედაც იზამთ, ჩემი გულის თუ გსურთ მოგება,





ამის გარეშე, არც იფიქროთ, რომ შეგიყვარებთ),  
 თქვენც თორმეტი თვე მოვიხდებათ, უოველდღიურად,  
 დამუნჯებული ინახულოთ ავადმყოფები,  
 ვინც კვნისის, იმათ ებაასოთ, იმდენს ეცადოთ,  
 თქვენი მახვილი, დაუმცხრალი ენის წუალობით,  
 დავრლომილები გააცინოთ უნუგეშონი.

ბერონი

როგორღა უნდა ვახარხარო სიკვდილის ხახა?  
 ვეჭვობ, რომ შევძლო გაკეთება შეუძლებელის —  
 აგონიაში სულს რას არ გეხს მხიარულება.

როზალანინი

დაცინვას მხოლოდ ასე დათმობს ენაკვიმატი,  
 ვისი გავლენაც ემყარება უაზრო სიცილს,  
 რომლითაც ბრწყვი მსმენელები ანებივრებენ,  
 ხუმრობის ძალა, წარმატება მსმენელის უურიოთ  
 განიზომება, არა ენით წარმომთქმელისა,  
 რომელიც ხუმრობს. თუკი მძიმე ავადმყოფები,  
 დაურუებულნი თავიანთი ხელებით, კვნისით,  
 თქვენს ფუჭ ხუმრობას მოუსმენენ, განაგრძეთ მაშინ,  
 მე მზად ვიქნები, ამ ნაკლითაც მიგიღოთ მერე,  
 ოსტატი ათას დაცინვათა, შედარებათა,  
 თუ არ ისურვეს, მიატოვეთ ეს ჩვეულება,  
 განახეთ სრულიად თავისუფალს ამ ნაკლისაგან  
 და გამახარებს გარდაქმნა თქვენი.

ბერონი

რა გაეწყობა. თქვენ მავალბოთ, აღვის სადარო,  
 ავადმყოფებთან თორმეტი თვე ვილაზღანდარო.

პრინცესა

(მეფეს)

ძვირფასო მეფევ, დადგა უამი გამოთხოვების.

მეფე

ჩვენ გაგაცილებოთ, არ იქნება მარტო გაშვება.

ბერონი

ძველი ფარსივით არ დასრულდა ეს თამაშობა;  
 იქ ბედნიერი იყო ბოლო: ჯეკს დარჩა ჯენი,  
 ჩვენ კი ხელიდან გაგვიფრინდენ ქალები ჩვენი.

მეფე

ბოლო თორმეტი თვის მერეა, ნუ დეღავ, მოდი.

ბერონი

პიესა ძნელად თუ აიტანს ერთი წლის ლოდინს.

შემოდის არმადო.

არმადო

თქვენო უდიდებულესობავ, ნება მიბძოეთ...

პრინცესა

ეს ხომ ჰექტორია?

დიუმენი

სახელგანთქმული ტროელი გმირი.

არმადო

მე ვემთხვევი თქვენს მეფურ თითებს და დაგტოვებთ. აღთქმა  
 მაქვს დადებული: უკნეტას შევფიცე, რომ სამ წელიწადს სახნისს

ჩავუღდე კვალში, მისი უტკბესი სიუვარულის ნიშნად. ახლა კი, დი-  
დად დაფასებულა უდიდებულესობავ, თუ თქვენ ინებებთ, მოვის-  
მენთ დილოვს, ორმა სწავლულმა ბუსა და გუგულის ქებად რომ  
შეთხზა. ამით შეგვეძლო დაგვესრულებინა ჩვენი წარმოდგენა.

მეფე

უხმეთ ხასწრაფოდ; მოვისმინოთ.

არშადო

პეი, თქვენი გამოდით.

ყველანი გამოდიან.

ერთ მხარეს ვახლავთ Hiems, ზამთარი. მეორეზე — Ver, გაზაფ-  
ხელი. ერთს ბუ განასახიერებს, მეორეს გუგული. Ver, დაიწუდ.

გაზაფხული

როცა ზინილა და ლურჯი ია,  
შროშანა, ცვარშეუმშრალი ჭერეთ,  
ერთიც, „გუგულის კაბა“ რომ ჰქვია,  
ველს მოხატავენ უთვალავ ფერით,  
გუგული ხიდან, გამკივან ხმაზე  
ცოლიან კაცებს დასცინის ასე:  
„გუ-გუ“, „გუ-გუ“... — ისმენენ მის ხმას —  
ცოლიანების ზაფრას და რისხვას.

როცა საღამურს აკენებს მწყემსი,  
და ეწყვილება მერცხალი მერცხალს,  
მხენელებს ტოროლას გალობა ესმით  
და გოგობი იწყებენ რეცხვას,  
ამ დროს გუგული გამკივან ხმაზე  
ცოლიან კაცებს დასცინის ასე:

„გუ-გუ, გუ-გუ“ ისმენენ მის ხმას,  
ცოლიანების ზაფრას და რისხვას.

ზამთარი

როცა ირთვება ჰირხლით მინები  
და მწყემსი დივი უინვაში ხენეშის,  
შინ მიტანამდე რძე იყინება  
და ტომს შემოაქვს ღერები შეშის.  
გზას რომ გაუვები ჭყაპიანს, საშიშს,  
ბუ ღამის ჰანგებს დასძახის მაშინ:  
„ტუ-ჰუ, ტუ-ჰუ“ — ხმა გესმის ღხენის  
თუ წვნიანს ხარხავს ფაშფაშა ჭენი.

როცა ქარბუქი მოთქვამს და ტირის  
და ხოფლის ხუცესს ახრჩობს ხველება,  
ფრთებით ქექავენ თოვლს ფრინველები  
და მარიანას ულუის ცხვირი,  
როცა შემწვარი შიშინებს ვაშლი,  
ბუ ღამის ჰანგებს დასძახის მაშინ:  
„ტუ-ჰუ, ტუ-ჰუ“ — ხმა გესმის ღხენის,  
თუ წვნიანს ხარხავს ფაშფაშა ჭენი.

არშადო

აპოლონის სიმღერის შემდეგ მერკურის სიტყვები ყურს ებაჟუ-  
შება. დავიშალოთ: ჩვენ ჩვენი გზით წავიდეთ.

(გადიან)

ინგლისურიდან თარგმნა ემზარ კვიციანიშვილმა.